




საქართველოს მემკვიდრეობა

საქართველოს
მემკვიდრეობის





ქართული
ზნელოვნობა

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

დირექტორის მოწვევა
 გილოცავთ!
 დეკლარაცია
 თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის რექტორის
 მოწვევა
 1969 წლის 1 იანვრისათვის
 გადასახდელი
 500,000 ლარი

საქართველოს
საბიბლიოთეკო
კარტოქა

საქართველოს ბიბლიოთეკა — ბიბლიოთეკის განყოფილება

1967

1968

1969

1970

1971

1972

1973

რექტორის
მოწვევა

ქველის ქობარი

კრიბული მცხრამბტა

დასავლეთ-დასუბურული კობარი

ქველის ქობარი - მატერიალური კულტურის ძეგლია, რომელიც შეიქმნა საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების სერიაში. ეს ძეგლი შეიქმნა ქველის ქობარში, რომელიც მდებარეობს ქველის ქობარში, ქველის ქობარში. ქველის ქობარი - მატერიალური კულტურის ძეგლია, რომელიც შეიქმნა საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების სერიაში. ეს ძეგლი შეიქმნა ქველის ქობარში, რომელიც მდებარეობს ქველის ქობარში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

განმარტვის საერთაშორისო სტანდარტი

საკრედიტო კოლეგია: იკავებს აბაზიძე, ფალავა ამირანაშვილი, ანდრია
აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, ლევან გომთა, ლადო
გუდიაშვილი, ოთარ თაბთაყიშვილი, თეიმურაზ
კანდელაკი, იკავიანი ჯაბარაშვილი, ნიკო კაცო-
შვილი, ლევან მატაკაძე, ოთარ სანუაშვილი, ჯიბრა
სტურუა (პ/მგ. მღვიმე), გიორგი ჩიბაია, გიორგი
ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, ლევან ხიფიუ-
შვილი.



ქუთაისი. ბაგრატიის ტაძარი. კაპიტელი

კოლაუ ნადირაძე

ქაბლთა მშვიდობა

(ბაგრატი და გელათი)

გოლიათებად ხართ ამართული
თქვენ— ჩვენი ერის ორი მშვენიერა!
უმჯერათ ერთმანეთს, და შეჩვენება,
რომ ხართ წარსულზე ფიქრით გართული

როცა ხარობდა,

როცა გალობდა

ჩვენი მშობელი, მიწა ქართული!
თქვენ განსოფთ შუბი მძლედ შემართული.
აელუარება რაინდთა ხმლები,
მათი შერნების ველად ჭენება,

დიდი ბრძოლები, ზეიმის ხმები,
 და ვაჟაკური მკერდიდან სიტყვის—
 რუსთველის ერთ ამომღერება!
 ბაგრატიის ტაძრის წინაშე მდგომი,
 თბილისისათვის ამხედრებული,
 დიდი დავითი—მებრძოლი ლომი,
 მურისძიებით გამეხებული,
 მტკიცედ რაზმაგდა დიდგორის ჯარებს,
 აქ მან ილოცა როს მიდიოდა...
 მზე გამარჯვების ამოდიოდა,
 ახნივოსნებდა ივერთა მხარეს,
 და ჩვენი ბედი გადაიმებული
 ისევე გვიდებდა ძეგლების კარებს.
 ჩვენო გელათო, გუმბათი შენი,
 დავითის სიბრძნით ამონაშენი,
 ისევე ზვიადი და დიდებული,
 დიდ კამარებში ნაფიქრებული.
 ქარიშხალს შენს და ბაგრატიის თავზე,
 აბობოქრებულს საზარელ ხმაზე
 ათასჯერ მანც გადაუქროლია,
 მაგრამ სიკვლე, მტრობა, ვარაში
 და კაემანი გულშემზარავი
 ქარიშხალს ისევე თან გაჰყოლია!
 აქ, შენთან განჩნდა კერა სიბრძნისა,
 ქართული აზრის, ფერის, სიტყვისა!
 წარსულზე ფიქრი—დარდად ნუ გაწევს,
 მხნედ გადამტანო ჟამთა სიკვის,
 თამარის მუქი გფარავს და გარწევს
 მისთა წამწამთა ნაზი ნიკვი...

ვერავინ შესძრავს თქვენ ძალს და ღონეს—
 უღიადესი წარსულის მქონეს...
 თვით უკვდავება—მე მეჯერება,
 როდესაც შორს მყოფს; ვით მოჩვენება—
 ჩემს თვალწინ ჩნდება თქვენი მშვენიება!



ქართული
ლიბრეოთეკა



ოშის მონასტერი, 1917 წ.

აკვარელი ლ. გუდიაშვილისა

მშვენიერების ტყვეობაში

(სამხრეთ საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად)

უარეს ბედნიერებად ვთვლი, რომ მე წილად მხვდა წვერობა იმ ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების შემსწავლელი მხატვრული და არქიტექტურული ექსპედიციისა, რომელსაც საკუთარი ინიციატივით სათავეში ჩაუდგა დიდად ცნობილი, ჩვენი ღვაწლმოსილი, აწ განსვენებული მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი. სრული დარწმუნებით შემიძლია აღვნიშნო, რომ თუ არა დიდებულ მეცნიერის ასეთი თავგამოდება და მეცნიერული უდრეკობა, დღეს ჩვენ არ გვექნებოდა ზუსტი დათარიღება, ყოველმხრივი აღწერა, დეტალური მასალა ისეთი ბრწყინვალე ქართული ძეგლებისა, როგორც არის ოშკი, იშხანი, ხახული, ბანა და სხვა, რომლებიც თურქეთის მიწა-წყალზე მდებარეობენ... და მათი მხოლოდ ნიმუშები, ფრესკების ასლები, აღწერანი და დეტალები ექვთიმე თაყაიშვილის თქმით „ერთ მუზეუმს ეყოფოდა“!

1917 წლის ექსპედიციამ, რომლის წევრები გახლდით: იჩინერ-არქიტექტორი ა. ნ. კალგინი, მხატვრები დიმიტრი შევარდნაძე, მიხეილ ჭიაურელი, პოეტი ილია ზდანევიჩი და მე. ბატონ ექვთიმეს უშუალო ხელმძღვანელობით, გადმოვიღეთ ფრესკების ასლები, ტაძრების გეგმები და ჭრილების ნახატები. ვაკეთდა მულაჟი მათი ზარეღიფებისა და ა. შ.

ყველაფერი ჩამოვიტანეთ თბილისში და დღეს მუზეუმის საკუთრებას შეადგენს.

ექსპედიციამ ზუსტად გაარკვია, დაადგინა ტაძრების, ეკლესიების, ციხეების სახელწოდებები და ადგილმდებარეობა, რაც აღნიშნულ ექსპედიციამდე უცნობი და შეუმოწმებელი იყო მეცნიერულ ლიტერატურისათვის.

ჩვენ ვმუშაობდით ყარსის, არტაანისა და ოლთისის ვრცელ არეში. აქ მდებარე ძეგლთა შორის არიან ჩვენი ხუროთმოძღვრების შედევრებიც — იშხანი, ხახული, ოშკი, ბანა, ოთხთა ეკლესია და პარხალი. ამ დაუღალავ მეცნიერის წყალობით, დაზუსტდა მათი შექმნის თარიღები, დეტალურად გაირკვა მრავალი წარწერა, დადგინდა მოხსენებულ პირთა ვინაობა და სახელები, ცხადი გახდა მათი დიდი მნიშვნელობა და როლი საქართველოს კულტურის ისტორიაში.

უზომო სიყვარულისა და სიხარულის გრძნობით ვიგონებ ბატონ ექვთიმესთან მუშაობის დროს. ამ დიდად განსწავლული მეცნიერის გული აღსავსე იყო სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, ქართველი ერის შემოქმედებითი ენერჯისა და პოტენციის ძველი კულტურის გამოვლენის სურვილით.

მე და მიხეილ ჭიაურელი დავფოფხავდით ამ ძეგლებზე, მათ ნანგრევთა კედლებზე, იქვე ჩვენ ახლოს იდგა ექვთიმე და გაფაციცებით მოგვეპასოდა:

— ყმაწვილებო! კარგად დააცქერდით ქორონიკონებს! თარიღის აღმნიშვნელ ასოებს, ზუსტად ამოიკითხეთ ყოველი მათგანი! — თვითონაც როგორც „ქორო-



ნიკონი“ იღვა, დურბინდით ათვალიერებდა ამ ნიშნებს და ხშირად გვეითხავდა, — მიშა, ლადო, ახლოს მიდიხარ წარწერებთან, სათითაოდ მიკარნახეთ! — ჩვენ წარწერებთან უფრო ახლო, უფრო გაბედულად მივფოფხდებოდით, ხმამაღლა ვუშეორებდით ყოველ ნიშანს და ვერ წარმოიდგენთ, როგორ აღფრთოვანდებოდა, როცა ჩვენი ნათქვამი მის მიერ ნაგარაუდევს დაემთხვეოდა.

მას საოცარი მეცნიერული წვდომა ჰქონდა, ძველი წარწერების წაკითხვის შეუდარებელი უნარი. უმრავლესობას იქვე, გადმოღებისთანავე, კითხულობდა, ზოგს, უფრო რთულს, სადგომში მისვლისას. ჩვენ, ახალგაზრდები, ვისვენებდით, იგი კი უჯდა სქემებს, ფოტოებს, კალკებს, ნახატებს და არც დარჩენია ნაპოვნი რამ ამოუკითხავი.



ექვთიმე თაყაიშვილი.

თუ რაიმე ახალს, მნიშვნელოვანს ამოიკითხავდა, ხოლო აქ ყველაფერი ახალი იყო, დღისით იქნებოდა ძეგლზე თუ ღამით, დასვენებისას... ახალგაზრდულად წამოვარდებოდა, ქალაქს დროშასავით ააფრიალებდა, აღფრთოვანებით შესძახებდა: — აღმოჩენაა!.. ახალი აღმოჩენა!

ჩვენც ვიზიარებდით სიხარულს, ვიცოდით, ჩვენი ისტორიის ახალი, უცნობი ფურცელი იშლებოდა, ჩვენც გვედებოდა მისი აღფრთოვანება: აღარც ჩვენ ვი-



ზოგადდით თავს. ვცოცავდით კლდეებსა და დანგრეულ კედლებზე. გრძობდით, გრძობდით წერდით, ვხატავდით, ვეკულისხმებოდით ყველაზე უფრო „ექვთიმეს სამყაროს“!

მცოცავთა შორის, ყველაზე „აკრობატი“ ილია ზდანევიჩი გამოდგა; ყველაზე მუყაითი, მუდამ დაულალავი დავით შევარდნაძე იყო... ექსპედიციის მთავარი მხატვარი, კედლის მხატვრობის კარგი მცოდნე. კეთილი მოქართულე და ქართულ ფრესკების დიდი მოტრფიალეც.

ჩემი ექსპედიციაში წაყვანაც, სწორედ დავით შევარდნაძის მეშვეობით მოხდა.

ყველაზე ხალისიანი და მუდამ დაუცხრომელი ხომ მიხვილ ქიაურელი იყო. ერთხელ მახსოვს, ჩუმად მინარეთზე აძვრა და „მრეელი“ უდროოდ დროს „ალოცა“.

რუსეთ-თურქეთის ომი ჯერ კიდევ მიქინვარებდა. ფრონტის ხაზი, ხშირად, არც თუ ისე შორს იყო ჩვენგან. ცისარტყელების ნაცვლად, მძიმე არტილერიის უხილავი ყუმბარები და ხმა გადაგვივლიდა. ამ რთულ ვითარებაში განსაკუთრებით ჩანდა დაუცხრომელი ზრუნვა ჩვენი ექსპედიციის მომმარაგებლისა, თარჯიმანისა და ტრანსპორტის გამრიგებელის ალექსანდრე ციციშვილისა, ჩვენი ქვეყნისა და მისი ძეგლების გულდაგული პატრონისა.

დანარჩენებს არ შევეხები, მათი მოღვაწეობა და ღვაწლი ცნობილია.

ჩემზე დ-უციწყარი შთანებქდილება დასტოვეს იქ ნანახმა ძეგლებმა და ადამიანებმა. თითქმის ყოველ ხუროთმოძღვრულ დიდ ნაშთთან გვხვდებოდნენ ვაწამებული ადამიანები, ქართულად შემოგვხაროდნენ და შემოგვტვიროდნენ.

ერთი წყაროსთან, ბიბლიურ წლისა და სახის მცხოვანი უძრავად იწვა. სიბერისაგან ფეხზე ვეღარ დგებოდა, მხოლოდ იცრემლეობდა და ჩურჩულებდა:

— წყალი ივლის, ივლის... თავის ნაგუბარში ჩადგება!

ჩვენ კარგად ვიგრძენით, რას გულისხმობდა მცხოვანი.

ერთიც შევამჩნიე. სამხრეთ ქართველებს—ძველი ტაძრების, ქართული კულტურის კერების გაგლეჩა, მიუხედავად სრული გაპაპმადიანებისა, ახლაც ეტყობოდათ. კრძალვა და რიდი მაინც ჰქონდათ მამა-პაპური სალოცავებისა. ქალებიც მაინცდამაინც თავს არ უდებდნენ ჩადრს. ჩვენ ვთხოვეთ და ყველამ ადვილად გადაიხსნა, სახე დაგვანახა, სურათიც კი გადაგვაღებინა... ჩვენს წინაშე კვლავ გაბრწყინდა ქართული ჯიშის დახვეწილობა და სილამაზე.

ძველთა უხვ სამკაულებს შორის განსაკუთრებით ჩანარჩა ხახულში ნანახი, ქვაში ტვიფრული სიმბოლო — ქართული ფასკუნჯი — მუდმივი აღორძინების იდეა.

ეს კლასიკური ნიმუში ნოტრ-დამის ქიმერების შემოქმედსაც შეეხარბება!

საერთოდ ჩუქურთმების, შემკული სვეტებისა და კვარცხლბეკების, გორელიეფების, ფერად-სხიფური წყობისა და კამარების მთელი ქართული შემოქმედური გულუხეობა არის წარმოდგენილი.

მაგონდება ერთი შემთხვევაც. ოშკში წმიდანების გორელიეფები ვნახეთ. ერთ-ერთს თავი აკლდა.

ქვევით, კედლის ძირში, ნამსხვრევების გორა ეყარა. დავძებნე და წმიდანის თავს მივაგენი. მივაწომი და სწორად ჩაჯდა. ექვთიმე თაყაიშვილმა გულმხურვალედ გადაამკოცნა.

— მთლიანობის აღდგენა, უძნელესი და უკეთილშობილესი შემოქმედება! შენ თითქოს იმედი გამიმთელე!

ჩემი მოხვედრა ექსპედიციაში განსაზღვრა იმ ლტოლვამ, რომელიც მეს სიყრმიდან მამოქმედებდა. — ყველგან ქართულ ძეგლებსა და კედლის ნახაზებს შორის ვეძებდი „მხატვრულ ქართულობას“ და ეს მით უფრო სამხრეთ საქართველოში იყო საძებარი.

ჩემი ცხოვრების რთული და ეკლიანი გზით უკმაყოფილო მაინც არა ვარ. ამ შემთხვევაშიაც მე, ახალ სამყაროს გარემოში აღმოვჩნდი, რომლის კარი პირველად ჩაკეტილი დამიხვდა. მაგრამ ცნობისმოყვარეობითა და სითამამით აღჭურვილმა, უკან აღარ დავიხიე, დიდი იყო მშობლიურობა და ცდუნება ამ ფანტასტიკური საიდუმლოების გაგებნისა.

ვიგრძენი თუ არა მისი სიდიადე, ამ ეროვნული კულტურის საუნჯის სიღრმეში უმალვე ჩავიძირე. ჩემი მხატვრული შემეცნების წინაშე გადაიშალა საოცარი, ფერწერული ხილვებით აღსავსე სამყარო. ამ კედლების მხატვრობამ დამატყვევა სურათოვანების ორიგინალობით, მაღალი ხატოვნების თავისებურებით, მეტად ინდივიდუალური წყობის მქონე სტილით. ფრესკები გასაოცარი პარმონიით ერწყმოდნენ ტაძრის არქიტექტურას, ნაგებობათა მთელ ანსამბლს, ასევე მთელ გარემოს.

ამ უბრწყინვალესი მხატვრობის თემები, უმთავრესად სასულიერო ხასიათისა იყო. უნატიფეს და უღამაზეს წმიდანებს მზექალების და მწევრების სახეები ჰქონდათ. რა ძალით გვიცქეროდნენ ღვთისმშობელი და მისი დობილები, მათ სურთ ავს აგვაშორონ. ავერ მზექაბუცი თეთრ ბეადურზე, იგი საქართველოს მცველი და მფარველი უნდა იყოს. ამ პერსონაჟებს საოცარი მიმზიდველობის ძალა აქვთ, მათი კეთილშობილება გზიბლავს, მზად ხარ მათ მიენდო, ისინი გაჯერებენ, რომ ქართველი ერის შემოქმედებითი გენია არ გაპქრება.

უმშვენიერესი ბუნების გარემოცვაში დგანან ეს ბუმბერაზი ძეგლები, თითქმის უპატრონონი, საუკუნებრივ ძილსაც კი მისცემიან, მაგრამ თითქოს ისინი მშობლისა და მფარველის განუწყვეტელ ლოდინში იყვნენ, ალერსს ითხოვდნენ, იქნებ ქამთა სვლა და სიავე მათ ფერფლად ქცევასაც კი უქადა, მაგრამ ჩვენ დროულად შევადეთ ამ ტაძრების საუკუნეთა მანძილზე დაზოული კარები, ძველი შემონახული ბეგრებისა და ხმების პირველწყაროს საკვირველი ძალით წვდებოდა ჩვენი ინტუიცია, გრძობდა ჩვენი გულისყური. ჩვენც, ყველანი „ექვთიმოსნები“ გავხდით!

ამ ფრესკებში მე დაგინახე საუკუნოებრივი განძი და უკვდავება. კომპოზიციებმა, სცენებმა და პერსონაჟებმა ამ კედლებზე, ასე მაღალ მხატვრულად წარმოდგენილმა, ჩემ ფიქრებში აღადგინეს და გააცოცხლეს ძველთაძველი ეპოქები, მრავალსაუკუნოვანი სანახაობები. მე გატაცებით ვეწაფებოდი იმ დიდი ადამიანების მიერ დატოვებულ გენიალურ ქმნილებებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს ადამიანთა ბედნიერებას.

ამ ფრესკებში გენიოსთა მიერ გარდაქმნილი სამყარო, პარმონიულად შერჩეულ ჭეშმარიტებასა და სიმართლეზე აავებს, ავთა და უგუნურთა დასავგობად. რა დიდი ნეტარება განმაცდევინა ამ მშვენიერების გარემოში ხანგრძლივად ყოფნამ! ხოლო მის სულიერ გავლენას მარადეამსა ვგრძნობ!

რა შეიძლება მოგვეცეს ამ მხატვრობამ, ან რით შეიძლება დაეხმაროს ეს კულტურის ტრადიციები ჩვენს დღევანდელ სახვითი ხელოვნების მუშაკებს?

ჩვენი დღევანდელი მხატვრობის გზები ძალიან რთული და საკმაოდ მიხლართულ-მიხლართულია. ფიქრობენ, რომ რენესანსის ეპოქამ სავსებით ამოსწორა



ქართული
ენობის
სამეცნიერო
ცენტრი



ჩანახატი იშხანის ფრესკიდან, 1917 წ.

აკვარელი ლ. გუდიაშვილისა



აკადემიური სკოლების შესაძლებლობანი. ევროპელმა მხატვრებმა ლეონარდო და ვინჩი ამ გაეხედათ. ზეუმის ირგვლივ რკინის გაუვალი კედელი აღმართეს, რათა იქით არ გაეხედათ. მტყიცებას არ საჭიროებს არც ის ფაქტი, რომ ლეონარდო და ვინჩი მაქსიმალურად გამოიყენა გონების ძალა და რესურსები. მაშ რა გზას ეწიოს თანამედროვე ხელოვანი ამ ცივილიზაციაში, როდესაც ასე მოჭარბებულია მეცნიერული აღმოჩენები, გაძლიერებულია ტექნიკა, მექანიზებულია მთელი ჩვენი თანამედროვე ცხოვრება. სად და როგორ ეძიოს ახალი სასიცოცხლო საშუალებანი? აქვს თუ არა უჩინარი ვიტალური ძალები ხელოვანს საკუთარ შინაგან სულიერ ბუნებაში? რა თქმა უნდა, დიდ შემოქმედს მუდამ დიდი შინაგანი იღუმალი ძალა გააჩნია. ჩემი წინაპრები, რომელთა ქმნილებების წინაშე მე ამ ტაძრებში უტყვი ვიდექი, ვხედავდი, რომ ისინი თავის გენიალურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ გრძნობითა და ინტუიციით ნაკარნახევი ხერხებითა და საშუალებებით. ეს მაღალი პრინციპი, ჩემის აზრით, გასდევს და უდევს საფუძვლად „მხატვრულ ქართულობას“.

ამ კედლის მხატვრობის ნახვა და შესწავლა, აგრეთვე დამეხმარა იმის დადგენაში თუ რა კომპონენტებისაგან უნდა შედგებოდეს სტილი, ან რაშია სართულე, როგორც ცნობილია, სტილი არის ესა თუ ის მანერა, რომელსაც ხელოვანი იყენებს თემის სიუჟეტის, იდეის ხორცშესასხმელად. მანერაში, რა თქმა უნდა, შედის ხელოვანის ნატურის, ტემპერამენტის, ხასიათის, ეროვნული თავისებურების პიროვნული ნიშნები. სტილში ნათლად გამოსჭვივის პიროვნების შემოქმედებითი პროცესის დინება, მისთვის დამახასიათებელი ტემპი, რიტმი, ალტყინების, მღელვარების, თავშეკავების ძალა, ხელოვანის მხატვრული მეტყველების მრავალმხრივობა და მრავალფეროვნება. მე მჯერა, რომ არა მარტო ზილული და უზილავი ინდივიდუალური თვისებები ან სულიერი შეხება, რომელიმე კონკრეტულ ფაქტთან ქმნის სტილს, არამედ ყველაფერი ის, რაც შეადგენს ინდივიდუალის შინაგან სულიერ სისტემას.

ჩემი მხატვრული სტილის ჩამოწოტობაში, ქართულმა ფრესკამ, რომელიც მე მშობლიურ პირველწყაროდ მიმაჩნია, კეთილი, სულიერი ხელი დამდო.

ხახულის ტაძარში, მოხდა ჩემი პირველი, შემოქმედებითი შეყრა ფრესკასთან. აქ, ექვთიმე თაყაიშვილის თხოვნით, გავაკეთე კედლის მხატვრობის ასლი „იერუსალიმში შესვლა“ საკმაოდ დიდი ზომისა. გარდა ამისა, მე გადმოვიღე პირები „ქრისტეს ფიგურისა“ და რამდენიმე წმიდანის მთლიანი კომპოზიციური პორტრეტი.

ახლა ჩემს გონების თვალწინ, დიდ ფრესკად აღმართულა წარსულის იქედანი მწიგნობარი — თვით ექვთიმე თაყაიშვილი.

გულწრფელად უნდა აღვნიშნო, მე მრავალმხრივი განათლება და უფრო ჩაღრმავებული შემოქმედური ჰერეტიკა მომცა ამ მოგზაურობამ. ამ მხატვრულ განძთან შეხების საშუალებით მე ვეზიარე ცხოვრების საწყისს, ქალწულებრივ სიწმინდეს, ბუნების სტიქიას, პირველყოფილ სიჯანსაღეს და სილამაზეს. მე კი, როგორც ძალზე ცივილიზებული და ინტელექტუალური ეპოქის შვილს, სწორედ ეს მაკლდა.






ანდრია ავაქიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

ძველი ქალაქი - არქეოპოლისი ნოქალაქეში

ქართულ და უცხოურ საისტორიო მწერლობაში შემონახულ ცნობათა მიხედვით ნოქალაქევი უძველეს დროიდანვე მნიშვნელოვანი და ცნობილი ცენტრი ჩანს; თანაც ისე დაწინაურებული, რომ იქ უკვე ამ ორიათას ორას — ორიათას სამასი წლის წინ ქალაქი და ციხე-სიმაგრე იგულისხმება.

„მეფეთა ცხოვრების“ ავტორი — XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი — ამ უძველესი ქართული ციხე-ქალაქის მშენებლობას მია-




ნოქალაქევი. სამრეკლო

წერს ქართველთა პირველი ქართლოსიანი მეფის ფარნავაზის ხანას. (ძვ. წ. III საუკუნის I ნახევარი). სახელგანთქმული ქართველი ისტორიკოსის ცნობით ევრისისა და სვანეთის ერისთავად ფარნავაზის მიერ დამტკიცებულმა ქუჯიმ — ფარნავაზ მეფის სიძემ „ალაშენა ციხე-გოჯი“.

ამრიგად, ციხე-გოჯი ანუ ქუჯის ციხე (ქუჯის ციხე-ქალაქი) ქართულ საისტორიო წყაროთა ცნობით ადრეელისისტორი ხანის ქართულ ქალაქთა შორის იგულისხმება.



ეროვნული საისტორიო ტრადიციის ასეთ მითითებას მხარს უჭერს ბერძნული (საკუთრივ ბიზანტიური) საისტორიო მწერლობაც. ასე მაგალითად, ნოქალაქევის ძველ, ბერძნულ სახელწოდებას („არხაიაპოლის“) გადმოგვცემს ორი ისტორიკოსი — პროკოპი კესარიელი და აგათია. ბერძნული ციხე-გოჯის სახელი ორი სიტყვისაგან შედგება: „არხაია“ — „არქაია“ ნიშნავს ძველს, ხოლო „პოლის“ — ქალაქს ან ციხე-ქალაქსაც. ე. ი. ნოქალაქევის უძველეს სახელად „ძველი ქალაქი“ უნდა ვივარაუდოთ და „არქეოპოლისი“ („არხაიაპოლის“) ამ ქალაქის ადგილობრივი, ქართული სახელის ბერძნულ ენაზე ნათარგმნად უნდა მივიჩნიოთ. ბერძნები ჩვეულებრივ ასე იქცეოდნენ: გამოიკითხავდნენ ადგილობრივ სახელს, გაიგებდნენ მის მნიშვნელობას და თარგმნიდნენ ბერძნულად. ამ გზით ბერძნებმა ქართული ციხე-ქალაქი „ვარდ-



ნოქალაქევი გალენის ხედი

ციხე“ „როდოპოლისად“ აქციეს („როდოს“ ბერძნულად ვარდსა ჰქვია, ხოლო „პოლის“ — ციხეს, ქალაქს). ცხენისწყალი — ჰოპოს-ად („ჰიპოს“ — ცხენი) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მსგავსი ბედი ეწია ჩვენს „ძველ ქალაქსაც“, იგი „არქეოპოლისად“ მონათლეს.


ბერძნული საისტორიო წყაროები ამ საინტერესო სახელწოდებების შემონახვასთან ერთად ქალაქის სიძველესაც მიუთითებენ. პროკოპი კესარიელის ცნობით „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მღებარეობს მდინარის აქითა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველი ითგანვე აქ უშენებიათ; მათ შორის არის



არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და სიტონის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი — იბერიის საზღვრებისაკენ“. ახლა, მოტანილ ცნობაში ხაზი უნდა გაესვას იმას, რო არქეოპოლისი ადგილობრივ მცხოვრებთაგან ძველი თგანვე აშენებულ ქალაქად მიაჩნდა პროკოპი კესარიელს.

სპარსელთა მხედართმთავრის მერმეროეს ლაშქრობის აღწერისას პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს: მერმეროემ მდ. რიონი გადალახა და „წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის, არქეოპოლისის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაშიო.“

იუსტინიანეს ნოველებშიაც თითქმის იგივეა ნათქვამი: „არქეოპოლისი და როდოპოლისი, უდიდესი და ძველი სიმაგრეებიაო.“



ნოქალაქევი, კოშკი

არქეოპოლისის სიძველის შესახებ საუბრისას ყურადღებას იქცევს ძვ. წ. VI ს. ბოლო წლების ბერძენი მოგზაურის სკილაქს კარიანდელის მიერ ნახსენები „დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც მედუა იყო“. შესაძლებლად მიიჩნევენ სკილაქსის „დიდი ბარბაროსული ქალაქი“ ნოქალაქევად (არქეოპოლისად) ჩათვალონ.*

თუ ამ თვალსაზრისს ანგარიშს გავუწევთ, ნოქალაქევი — არქეოპოლისი

* შტრ. თ. ყუბნიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I. თბ. 1967, გვ. 23, 36.



ერთ-ერთ ყველაზე უძველეს ქალაქად უნდა მივიჩნიოთ, საქართველოში მკინცულა
როგორც ვხედავთ, „ძველი ქალაქი“ ბიზანტიელ ისტორიკოსთა მხრიდან
ბას იქცევა პირველყოვლისა იმის გამო, რომ ის ლაზიკის სამეფოს დედაქალაქს
წარმოადგენდა — „კოლხეთის ანუ ლაზიკის პირველ და უდიდეს ქალაქად, მა-
შასადაძე. დედაქალაქად „ძველი ქალაქი“ (არხაიაპოლისი, ნოქალაქევი) იყო
ცნობილი — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.

პროკოპი კესარიელი და აგათია საიმედო საისტორიო წყაროებით რომ სარ-
გებლობდნენ, ეს ეჭვს არ იწვევს. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართული
საისტორიო წყაროების თანახმად ძვ. წ. III საუკუნის I ნახევარში ქუჯი ერის-
თავის მიერ აშენებული ციხე-ქალაქი — ახ. წ. VI საუკუნეში, ე. ი. აშენებიდან
თითქმის 1 000 წლის შემდეგ, ბიზანტიელ ისტორიკოსებს „ძველი ქალაქის“ სა-
ხელწოდებით მოუხსენებიათ — სწორედ „ძველი ქალაქისა“ და არა „ნაქალაქე-
ვის“, რადგან არქეოპოლისი პროკოპი კესარიელის დროს ქალაქი ყოფილა, თანაც
მთავარი და უდიდესი ქალაქი და არა ნაქალაქევი — ნაქალაქარი.

„ნოქალაქევი“ უფრო გვიან შერქმეული სახელი ჩანს. ის არ არის „არქეოპო-
ლისის“ თანადროული. ნათქვამის გასამაგრებლად საკმაო იქნება შვეიხსენოთ
მურვან ყრუს ლაშქრობის ეპიზოდი. შემთხვევითი როდი იყო, რომ მერვე საუკუ-
ნის პირველ ნახევარში, ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს ცნობის თანახმად, მურვან ყრუმ ევ-
რისის ქვეყნის ყველა ქალაქსა და სიმაგრესთან ერთად გაანადგურა არქეოპო-
ლისიც: „ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი“ „შემუსრნა“.

როგორ ჩანს, „ციხე გოჯი“, „ძველი ქალაქი“ (არქეოპოლისი) „ნო-
ქალაქევი“ — ეს ერთ-ერთი უძველესი ქართული ქალაქი ევრისის (ლაზიკის) სა-
მეფოს ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდის მოწმე და მონაწილე
ყოფილა. მას დიდხანს არ დაუკარგავს პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნე-
ლობა დედაქალაქის ქუთაისში გადატანის შემდეგაც.

ქართულ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროთა ცნობებს მხარს უჭერს არქეო-
ლოგიური კვლევის შედეგებიც. 1930—1931 წლებში ნოქალაქევის გათხრისას გა-
მოვლინდა არა მარტო ბიზანტიური ხანისა და მერმინდელი, არამედ გვიანანტიკუ-
რი და რომაული ხანის ნაგებობათა ნაშთებიც. ამასთანავე, თავი იჩინა შინ სახ-
მარმა თიხის ჭურჭელმა და ცხადი გახდა, რომ შედარებით უკეთ შემონახულ ბი-
ზანტიური ხანის ციხე-ქალაქის ადგილას უძველესი საცხოვრისი არსებულა.

ასევე საყურადღებოა 23 გვიანანტიკური ოქროს ფული (რომაული სოლიდი),
აღმოჩენილი ერთ-ერთი კოშკის თხრისას.

ძალიან საყურადღებო არქეოლოგიური მასალა გამოვლინდა ნოქალაქევიში
1966 წელს, საძიებო არქეოლოგიური კვლევისას; ერთ-ერთ სასინჯ თხრილში არ-
ქეოლოგმა გ უ რ ა მ გ რ ი გ ო ლ ი ა მ ქუჯი ერისთავის ხანის კულტურული
ფენა შენიშნა და მცირე აზიურ ქალაქ სინოპეს მიდამოებიდან მოტანილი თიხის
ორყურას (ამფორის) ნატეხები აღმოაჩინა. ე. წ. ელინისტური ხანის არქეოლო-
გიური მასალის აღმოჩენა ნოქალაქევიში იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ის ეხმა-
ურება ლეონტი მროველის ცნობას ქუჯი ერისთავის სამშენებლო მოღვაწეობის
შესახებ, ე. ი. ქუჯის დროინდელ ვითარების წარმოდგენაში გვეხმარება. აღმოჩე-
ნილი მასალა ქალაქისა თუ საცხოვრისის სიძველის მაჩვენებელიცაა და ქართულ
საისტორიო წყაროთა ცნობების სისწორის მომასწავებელიც.

ქუჯის ციხიდან ქალაქ ფაზისისკენ მიმავალი ზოლი, როგორც ბოლო წლე-



ბის არქეოლოგიური ძიებანი გვიჩვენებენ, უძველეს დროიდანვე ყოფილა აქ არსებული ადამიანის საცხოვრისად. ამას ამტკიცებს სოფ. კოტიანეთში, შხედში, მენჯში და სხვ. აღმოჩენილი ქვედაპალეოლითური (სახელდობრ მუსტიერის) სადგომები, ზედაპალეოლითური ძეგლები და ახალი ქვის ხანის ადამიანთა ნახვლავიც კი.

მკვლევართა ყურადღებას დიდი ხანია ნოქალაქევის საკულტო ძეგლებიც იქცევენ. პროკოპი კესარიელი არქეოპოლისის ეკლესიის განახლებას იუსტინიანე მეფეს მიაწერს. იგი აღნიშნავს, რომ ეკლესია ძველი და დაზიანებული იყო, ამ შემთხვევაშიაც იუსტინიანეძევილი ძველი ეკლესიის არსებობაა ხაზგასმული. გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევით ნოქალაქევის „ორმოცი მოწამის“ ეკლესია აშენე-



ნოქალაქევი. ქვათლითა წყობის დეტალი

ბულია V საუკუნეში. შესაძლოა, სწორედ ეს ეკლესია დაუზიანებიათ სპარსელებს და განუახლებიათ ბიზანტიელებს, როგორც ამას პროფ. ს. ყაუხჩიშვილი ვარაუდობს; თუმცა აქ უფრო ადრინდელი საკულტო ძეგლიც უნდა არსებულებო — ქუჯისდროინდელი მაინც.

ნოქალაქევის ეკლესია შემდგომშიც არა ერთხელ დაზიანებულა. უკანასკნელად 1963 წელს დაიწყო ამ ეკლესიის შეკეთება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ. საკონსერვაციო სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს.

უძველესი ქართული ციხე-ქალაქის — არქეოპოლისის დიდებული ნანგრევები: ზღუდეები, ჯიხა-კოშკები გვირაბი მდ. ტეხურისკენ და გრანდიოზული გალავნები „სამზღუდე ციხე-ქალაქისა“ კვლავაც იზიდავენ მნახველებს, ელიან არქეო-



ლოგთა ნიჩაბსა და წერაქვს. ნოქალაქევის არქეოლოგიური შესწავლა პრაქტიკულად დგას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სათანადო დაწესებულებათა დღის წესრიგში.

ახალმა ხიდმა მდ. ტეხურაზე ციხე-ქალაქს შარავზა ააცილა. ციხე-ქალაქის ტერიტორიიდან ადრე აშენებული ფარდულიც გაიტანეს. წელს ეკლესიის შეკეთება დასრულდება. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმმა დააყენა საკითხი ციხე-ქალაქის ტერიტორიის ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. ახლა ციხე-ქალაქის შიგნით გამართულ სასაფლაოს სასწრაფოდ გადატანა უნდა განხორციელდეს და უკვე მომავალ წელს ნოქალაქევი არქეოლოგიური კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი იქნება საქართველოში. ნოქალაქევი ამას ნამდვილად იმსახურებს.



ძებლების ცხოვრება

(ფიქრები და ფაქტები)

„მომხალი ყოველ ქართველს თითო ძეგლი მაინც უზის გულში ხატად. წინაპარბი“ ზოგმა იცის ეს, ზოგმა არ იცის.. ძეგლი კი მაინც უზის, ბაღ-ლობიდან თან გამოყოლილ სიზმრად, სოფლის გაღაგანში შეტაძრულად, წყაროსთან ჩუქურთმიან აბჯარში მჯდარად ან კლდეზე არწივად აფრენილად და „შეკედლებულად“.

ჩვენი ერი, საერთოდ—მაშენებელი, კერძოდ—ხუროთმოძღვრული, ძეგლთ-მაშენებელი ერია... უფლისციხე, სულორის ვანი, ციხე-გოჯი, დავით-გარეჯი, მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, ზაგრატი, ბანა, ხახული, ალავერდი, გელათი, სამშვილდე, გეგუთი და სხვა მრავალი, კეთილად ჩამოსათვლელი, ჩვენამდე მოღწეული და მოუღწეველი, თავიდან დიდებული, უკვდავების ძეგლებად იყვნენ ზრახულნი ან ერის სულიერი ლტოლვით ამაღლებულნი. მათ ყოფის უბრალო თავშესაფრებად, ან მხოლოდ კულტის საწესო ადგილებად ვერასგზით ვერ ჩავთვლით.

თითოეული მათგანი უფრო მეტია ვიდრე მხოლოდ ტაძარი, მხოლოდ ქვაბ-ქალაქი, მხოლოდ ციხე, მხოლოდ სასახლე! მათ ალაღმაში უკვე იგრძნობა ქვაში შთაბერილი სული, ნიჭი და ლტოლვა შემოქმედი ერისა!

არც ის არის შემთხვევითი, რომ ისტორიულად, ჩვენს სულიერ აღორძინებას, როგორც მახარობელი, ყოველთვის წინ უსწრებს, მერმე აემგზავრება, ხუროთ-მოძღვრულად ამაღლებული ძეგლთმშენებლობა!

საერთოდ, ჩვენი ძეგლები, უშუალოდ, ცოცხლებივით მონაწილეობენ „ქართლის ცხოვრებაში“, მრავალმხრივ ნიშანდობლივი და გამრულია მათი ღვაწლი!.. ვგონებ საქართველოზე ყველაზე უფრო ითქმის — „მაჩვენეთ თქვენი ძეგლები — მე მოგიხარობთ თქვენს ისტორიასა და თქვენი სულიერი ავლა-დიდების სურათს!“

წარმართულ დროიდან, ქართველ და ქართველურ ტომების მისტიურ ხილვაში, წინაპრების კულტი ფრიადის ძალით გამოსჭვივოდა. ამის დადასტურებას „ქართლის ცხოვრების“ არაერთ ფურცელზე ვპოვებთ. იგი ახლაც, ჩვენს ცხოვრებაშიაც, ხშირად იგრძნობა, მრავალ გარდმონაწესთა შორის. არც ის არის შემთხვევითი, რომ ახლა ჩვენს ძეგლებს, სულ ხშირად, ცოცხალ წინაპრებად ვთვლით!

აქ, ჩვენის აზრით, საოცარი სულიერი და ფსიქოლოგიური დანაცვლებაა, როდესაც ტარებმა, ციხეებმა, ძველმა სასახლეებმა დაპკარკეს თავისი პირველადი, გამოყენებითი დასახულობა... გამოცხოველდა მათი უფრო ღრმა, ზოგადი მნიშვნელობა. ისინი დღეს ჩვენ წინაპრების სახელსა და ერის სულიერ შემოქმედებას დაუკავშირდნენ.

ამასთან ერთად, სხვა ფრიად მნიშვნელოვანი ძვრაც მოხდა. ჩვენმა ძეგლებმა ახალი, რეალური, მეცნიერულ-ესთეტიკური ღირებულება, საყოველთაოდ მოი-



პოვეს და განიმტკიცეს! ისინი დიდი კვლევისა და შესწავლის, დაცვისა და შენახვის
შემეცნების უკეთილშობილეს ასპარეზად იქცნენ.

წარსულის დიდი მაცნენი, „ცოცხალი წინაპრები“, ასე თავისებურადაც დაუ-
კავშირდნენ თავისი შემქმნელი ხალხის აწმყოსა და მომავალს.

500.000... ახლა გაცოლებით უფრო ფართოდ დგას ძეგლთა დაცვის, აღდგე-
ნის, შემტკიცების საკითხებიც. ვფიქრობ ახლა ჩვენ, უფრო მეტი მატერიალური
შესაძლებლობანი მოგვეპოვება, ვიდრე გვიგროვდება პრაქტიკული შედეგები ჩვე-
ნი ძეგლების აღდგენა-დაცვისა. ახლა უკვე ჩვენ ერთი-ორი ათეული შეკეთებული
ძეგლის, წლის ბოლოსი, ჩამოთვლით ვეღარ დაეკმაყოფილდებით. ჩვენ გვესმის
მთელი სირთულე ამოცანისა, მაგრამ სწორედ ამ დიდი ამოცანის სიმაღლეზე დგო-
მა გაამართლებს ჩვენს საქმიანობას. ჩვენ როგორღაც ვერ შევათანაბრეთ ერ-
თიანი აღმავლობა ძეგლთა დაცვაში. ყველაფერი მატულობს, ახალი ძეგლების
აღრიცხვა, ვათხრა, მეცნიერული კვლევა-ძიება, ძეგლთმცოდნეობა, მეთოდოლოგია,
შეგნება, სახსრები... ხოლო გარდა რამოდენიმე დიდ, გზებთან ახლო მდებარე ძეგ-
ლების შემტკიცება-აღდგენისა, ეს არ იგრძნობა.

რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ და ვიამაყოთ კიდევაც ზოგი
ძეგლის დაცვა-შეკეთებით, მაგ.: სვეტიცხოველი, გელათი, წრომი, გეგუთი, ბაგ-
რატი, წაღუნჯიხა, წილკანი, ანანური, უბისა და სხვა... მაგრამ პირდაპირ უნდა
ვთქვათ, საერთო დონე ჩვენი ძეგლების მდგომარეობისა განუხრელად ქვევით
იწვეს. შესაკეთებელ ძეგლთა სიმრავლე გვძლევს. სახელოსნოთა სიმცირეა ჩვენი
უსუსტესი ადგილი.

ჩვენ სათანადოდ ვერ ვებრძვით დროსა და სტიქიას!

ამის ძალა და სახსრები კი უკვე შეგვწევს. მარტო ის ფაქტი რას ნიშნავს,
რომ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრთა რიცხვმა
1969 წლის 1 იანვრისათვის, გადააჭარბა 500.000 წევრს! დიხა! ნახევარი მი-
ლიონი მეგობარი ჰყავს საქართველოს ძეგლებს!.. და ეს საზოგადოების პირველი
ათი წლის არსებობის განმავლობაში. ჩვენი ამოცანაა, საქართველოში ყველა
გახდეს ჩვენი საზოგადოების მოქმედი წევრი, ძეგლების შეგნებული მფარველი
და მოამაგე.

ორი ძეგლის მამატიონ ისტორიკოსებმა და მწერლებმა. ასეთი სურათი
სხვადასხვა ბაჟი წარმომიდგა...

ივრის ახალ წყალსაცავში, ახალგაზრდა თიანელმა მწეყმსმა ნახირს წყალი
დააღვიწია, გული მოიხალვათა და ბექობიდან, გამჭვირვალე წყალში, ნემსკავი გა-
დააგდო... ანაზღად უცნობ მგზავრებს მოჰკრა თვალი, წყალსაცავის პირ-პირ,
გზააზნეულად დადიოდნენ.

— ვინა ხართ ძმობილებო, რას დაეძებთ!..

— მდინარეს... — ყრუდ ამოსძახა ერთმა.

— იორს! — ჩააზუსტა მეორემ.

— ჰოდა ეგ არის... იორია! რა ვუყოთ, რომ ცოტა შეისვენა... იქნებ ახლა
ჩაღდა ნამდვილ ჯაფაშია!.. — საუბარი აქეთ მიდრია მწეყმსმა, მაგრამ წყალი
სხვაგან გადაუწურეს...

— მერმე თიანეთის სიონი რაღა იქნა!?

— ძეგლი სადღა არის ან აკლდამა?..



— პოო, ეგრე გეთქვით... საყდარი და აკლდამა გადასახლდნენ ქალაქშია
ნახირსაც ხმა მისცა, შემოაბრუნა.

მოსულეზმა იწყინეს, თავადაც გაუქილიკეს:

— გადასახლდა რა... მწყემსი ხომ არ არის, ახლა სხვაგან დაუდგეს ნა-
ხირს!

— კუმ ფეხი გამოკყო — მეც ნახირ-ნახირო! — დაურთო მეორემ.

მწყემსმა ნემსკავი ამოკრა, ციდა თევზი ხმელეთზე ამოავდო...

— პო და ეგრე... ძეგლი აქ აღარ არის! — კვლავ დაუდასტურა და ახლა მათ
შეეკითხა, — თქვენ კი რაღა მწყემსები ხართ!?

— მე ისტორიკოსი გახლავართ...

— მე მწერალი...

— არა, ახალგაზრდები კი ყოფილხართ, ჩემი არ იყოს!... მაგრამ ცოტა ჩა-
მორჩენილხართ იგრის დინებასა!

ასეთი საუბარი, სულ ბუნებრივად, შეიძლება მომხდარიყო. ბევრმა ახლაც
არ იცის, რომ საქართველოს ძეგლთა დაცვის საქმეში ახალი ფურცელია გადა-
შლილი.

თიანეთის სიონი და დიდი აკლდამა (VIII—IX ს. ს.) წყალსაცავის ფსკერზე
რომ არ აღმოჩენილიყვნენ, დანიშნულად დაშალეს, დედა-ქალაქში გადმოიტა-
ნეს და ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფის მუზეუმის არეზე აავგეს.

ამ ძეგლმა და აკლდამამ მეორე ათასწლეული ახალ ადგილზე დაიწყეს. ახ-
ლა ჩვენ ძეგლთა დაცვაში „იორის პრინციპი“ გაგვაჩნია, ხოლო დედა-ქალაქში
ორი სიონი — თბილისისა და თიანეთისა. აგებულია აკლდამაც... ახალგაზრდა
მწერლებსა და ისტორიკოსებს ვიწვევთ პირველ სტუმრებად...

ჩვენ გვახსენდება მეორე ძეგლიც, წალკის დიდ წყალსაცავის შუაგულში ჩარ-
ჩენილი.

უკუღმართ ბედიან ბაზილიკის სახელი ვისღა ახსოვს. თევზები პპატრონობენ
ჩამოშლილ ფრესკებსა და ლიბოებს... წყლის დონის ყოველ დაკლებიას ძველთა
ძეგლი ძეგლი უტყვ საყვედურად გამოჩნდება, თავის შემოქმედის შთამომავლებს
გადაჰხედავს... წყალუზვობისას კი კვლავ ჩაიფარება და არის ასე.

ამ ძეგლის ბედი მართო საუკუნეთა სიღრმით არ განისაზღვრა! ჩანს ძეგ-
ლებსაც პქონიათ თავისი ბედისწერა და მათ დაცვაში, იორის პრინციპთან ერ-
თად, ჩვენ ჩვენი ბაზალეთიც გვაქვს!

**ხაჰისაჰარის ახალი შარშანდელ ზაფხულის მოგზაურობის დროს, სოფელ
მრავალთა**

მღეთში კითხვა-კითხვით მივაკვლიე ლომისას დეკანოზს
მსცოვან ხევისბერს შიო ბურდულს. ჩვენი ნაცნობობა იმით დაიწყო, რომ ლომი-
სას ჯვარზე ჩამოვუვდეთ სიტყვა, ჩანს არ მენდო, შორს დამიჭირა. წიგნი დავიშუა-
მაგლე, ჩემი „მატიანური“ ვაჩუქე. ამ ჯმუხმა, სიტყვაჭვირმა მსცოვანმა, თვალით
ამზომ-დამზომა, მერმე წიგნს დაჰხედა, ჩაჭიებით დათითა გვარ-სათაური. შუბლი
შეკრა. რაღაც მძიმე საფიქრალს შენისლულად შეუდგა.

აივანზე ვისხედით. მთის ირიბი შხაპუნა უთვალავ სიმებად სერავდა ხეობას.
ლომისას მთა ნისლა-ბურად იყო.

მოულოდნელად ოთახის ღია კარიდან ქალის ხმა მოისმა:

— სტუმარმა თავისი წიგნი მოგვცა... მწერალიც ქალაქელი ხევისბერია!
ეგვე მისი გულის ნადებია!.. შენც ენდე — ლომის-პაპავ!




შიოს ყურმიძის შიშველი. თუმცა ეს სიტყვა ჩანს გაიგო. ალბათ ვადას
ყვეტას ერთი წიპარტი აკლდა. შიომ წიგნი ოთახში შეიტანა, ჩემი წინააღმდეგ
ქალის ხმას წააკითხა, გასაღებების შეკვრა გამოიტანა და მე უსიტყვოდ
გამიყოლა.

წვიმა ცისარტყელაში გაძვრა და გადიკარა. სოფლის თავში, გზის პირას,
არც თუ ძველ საყდარს მივადექით. დარკინული კარიბჭე რამოდენიმე ბოქლომ-
ურდულით იყო დაკეტილი. შიო ბოქლომებს ხელჩვეულად ალებდა და მე ეჭვი-
ნად მიმზერდა:

— ქალაქელო! შენ პირველი ხარ. ვისაც ვენდე! გაჩვენებ ლომისას ჯვრებსა
და შენაწირს... გფარავდეს მისი მადლი! სანანებელი არ შემექნას!...

ვანუბეშე და შიგ შევყვივი. ასე ვნახე პირველად, ხალხის მიერ დაცული, მრავალი
თვალსაზრისით, საყურადღებო და მნიშვნელოვანი ლომისას განძი: დიდი,
წინგასაძლოლი, ვერცხლისა და მოოქრული წარწერიანი ჯვრები, კეთილნაჭედი



შიო ბურდული. ლომისას ხევისბერი

სამწერობლები, ხატები, უამრავი შემოწირული თასები და ყანწები. (უფრო
დაწვრილებით იხ. აქვე, ო. სანებლიძე სოფ. მღეთში დაცული ლომისას საგან-
ძური).

იმავე კვირაში კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ექსპედიციამ
ო. სანებლიძის, გ. აბრამიშვილის, ირ. ზაქარიაშვილისა და ლ. გოთუას შემად-
გენლობით. ყველაფერი დაწვრილებით აღწერა, აღრიცხა, გადაიღო და ისევ შიო
ბურდულს ჩააბარა დასაცავად. ამიერიით ხევისბერი შიო ბურდული ჩვენი საზო-
გადოებრივი მცველია!

ეს მეტად თავისებური შერწყმა, ფრიად ნიშანდობლივი ახალი ფორმაა ჩვენი
ძეგლების ცხოვრებაში და, ვფიქრობთ, სხვაგანაც უნდა გამოვიყენოთ, მაგ. ხეესუ-
რეთში, სვანეთში და ა. შ.



ლომისას საგანძურის მიგნებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს მთაში გარდა სვანეთისა, რომელიც ცნობილია, კიდევ ბევრი არის საყურადღებო ქედური მისაკვლევე და აღსარიცხი. ჯერ ბევრი რამ არის, ვგონებ უკანასკნელი ხვეისბერების ხელში. ჩვენ მათთან უნდა გავდოთ ნდობის ხიდი და ისევ ისინი უნდა გავხადოთ, ჩვენი მამა-პაპური კეთილნარეული ჯვარ-სალოცავების, საზოგადოებრივ მცველებად. ასეთი ორმაგი თვალყური, აღრიცხვასთან ერთად, უკეთ დაიცავს მატერიალურ კულტურის ძეგლებს ახლაცა და მით უფრო მომავალში.

2250 წლის ციხე-

ძალაძის ზიზი

...და ამჟვე ფარნავაზ ალაშენა ორნი ციხენი, შორაპანი და დინა... — „ქართლის ცხოვრების“ ეს სტრიქონი დაედო საფუძვლად შორაპნის ციხის აღშენების დათარიღებას. ყვირილასა და ძირულას ბერთვისში, აღმოსავლეთ — დასავლეთის, ისტორიულ საქარაენო გზაზე, მაღალ თხემსა და კლდეზე, უძველეს დროიდან არის გაშენებული შორაპნის ციხე-ქალაქი.

ანტიკური დროის გეოგრაფები ყვირილასაც ფაზისად სთვლიდნენ. შორაპანში თავდებოდა სანაოსნო გზა, აქედან უკვე როკითით გადადიოდნენ მტკვრის ხეობაში.

ჩვენი ერის ანტიკური ცხოვრების ფურცლები მხოლოდ ახლა იწყებენ თავის იდუმალებათა გახსნას. მათი გამომწვევა-შესწავლა, დაცვა დღის წესრიგში ჩამომდგარი უდიდესი ამოცანაა.

ანტიკური შორაპნის ციხე-ქალაქსაც ფრიად მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ისტორიის წინაშე. ამის აღსანიშნავად, შარშან, შემოდგომაზე, დედაციხის ნანგრევებს შორის შემოკრბენ შორაპნელი მოქალაქენი და სტუმრები, მსცონები და ახალგაზრდანი, უამრავი მოსწავლენი.

შორაპნის ციხე-ქალაქის 2250 წლისთავის შესრულების საზეიმო ჯარობა გახსნა ზესტაფონის რაიადმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ სალარიძემ. საზეიმო სიტყვებში სულ ხშირად გაისმოდა შორაპნის გმირული მოღვაწეობის უძველეს დამმოწმებელთა სახელები: სტრაბონისა და პროკოფი კესარიელისა, ლეონტი მროველისა და ჯუანშერისა... ბროწლიანით შემოსილ კედლებს შორის თავშეყრაზე, მასწავლებელ თეიმურაზ სალარიძეს სცვლიდა მოსწავლე ლეილა კვინიკაძე, მეცნიერებს — გურამ ცქიტიშვილსა და ოთარ სანებლიძეს, ძველ ნაბურჯალზე, აღელვებულ სიტყვებით ენაცვლებოდნენ მწერალი, მუშა და კოლმეურნე. ყველას საზეიმო თარიღი აერთიანებდა.

ასევე ერთსულოვნად ჩატარდა დაბა შორაპნის, ელემენტების ქარხნის კლუბში, ამ თარიღისადმი მიძღვნილი, ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის გამსვლელი სამეცნიერო სესიაც.

ეს პირველი ანტიკური ძეგლია, რომელსაც ჩვენში თარიღი აღენიშნა, ხოლო რამდენი ძეგლი ელის თავის მიმხედველს, შემსწავლელსა და აღმნიშვნელს!

ჩვენ ერთი საოცრებაც მოგვივიდა. ტყის იქით — ტვერი დაგვრჩა შეუცნობელი! ჩვენ თვალი მოგვჭრა ადრე და შუა საუკუნეების მართლაც დიდებულმა ძეგლებმა და მათ მიღმა უყურადღებოდ დაგვრჩა თითქმის მთელი ჩვენი ანტიკური ხანა... ზღვიანეთიც. ციხისძირი, ოჩხამურ-ფიჭვნარა, გონიო, ფაზისი, დიოსკურია და სახმელეთოც! შორაპანი, სკანდა, ქუთათის-უქიმეროინი, ვარდციხე, ციხე-გოჯი, ასკანა, სხვა მრავალი... უფლისციხესა, სულორის ვანსა და მცხე-



ერეკლემი. კართველია ჯგერო.



თას აღარ ვჩივი, რადგან მათი გათხრა-შესწავლა უკვე დიდ შედეგებს „ჩანახა-ზე“ შემდგარი.

ჩვენ თაობას უნდა ახსოვდეს, რომ ანტიკურ საქართველოს დიდი კარის შე-
ლებაც ჩვენი საპატიო და გადაუღებელი ამოცანაა.

ერის მომავალი არამარტო წინაა, არამედ სიღრმეშიაც!

დაუფიქრადი მოგზაურობა სათაურისათვის გთხოვთ მაპატიოთ... ამჯე-
...ართულ პალესტინაში“ რად ჩვენ ფეხი არ მოგვიცვლია, ხოლო ჩვენს

წინ კი იშლებოდა უჭაღარესი მიწის შთამბეჭდავი სურათები.

დიახ, ეს ისტორიულ რეალიებზე დამყარებული, მეცნიერულ კონსულტა-
ციით კარგად შერჩეული, მაღალი შემოქმედებითი თვალთ დანახული ქართული
პალესტინა“ იყო.

ფილმმა კარიდანვე „უცხენოდ და უაქლემოდ“ გადაგვტყორცნა „აღთქმულ,
ქვეყანაში“, ბიბლიურ გზებზე... და ახლა ამ კინოსურათზე რომ ვფიქრობ, თავი-
დანვე მომეგულისხმა დიდი საცერი ისტორიისა!.. დიახ, ისტორიას აქვს არა მარ-
ტო თავისი რეალური არსი და ნაშთი, სულიერი და ლიტერატურული გაგრძე-
ლება, არამედ ძნელად დასანახი, პლასტიურად მეტყველი სახე. ნანგრევების ვა-
დალება ადვილია, ძნელია მისი შემოქმედურად შევსება, ძირითად ნიშნის პოვნა
და ყველასათვის მისაწვდომად ამეტყველება!

სწორედ ეს პლასტიური სახე ზედმიწევნით მოუპოვა თავის „უძნელეს მასა-
ლას“ შემოქმედმა სამეულმა, მწერალმა ილია რურუამ, რეჟისორმა გურამ პატა-
რაიამ და ოპერატორმა გივი მელქაქემ. შემდგომ კი მთელმა გადამღებმა ჯგუფმა.

პალესტინა, ისტორიულ მემკვირვების შთასახვიდან, მრავალ ეპოქათა განმე-
ლობაში, მრავალ თვალსაზრისით საკვანძო წამოსაბრუნავს წარმოადგენდა. მარ-
ტო ისიც კმარა, რომ სამი მსოფლიო სარწმუნოების აკვანია! აქედან არიან მოსეც,
ქრისტეც და მამამადიც!

აურაცხელმა დამპყრობლებმაცა და კეთილმა მაშენებლებმაც დასტოვეს აქ
თავისი შესაფერისი კვალი.

ჩვენ, ფილმის ჯადოქრულ ძალით, ქართველთა სახელოვან ნაკვალევს გაე-
ყვით.

სწორედ ამ მიზნით, 1966 წელს ჩავიდა საქართველოს ტელეხელოვანთა ჯგუ-
ფი პალესტინაში. მათი გზა და სავალი მშენებელი წინაპრებისა და თანამედროვე
ქართველი მეცნიერების მიერ იყო შეპირობებული და გაკაფული. მაგრამ ის, რაც
დღემდე თითო-ოროლა მეცნიერის ნამუშევარსა და ცოდნის მარტვალს შეადგენ-
და, ამ ჯგუფმა ეს საქვეყნოდ შეჰკრა, ნანგრევებსა და ახალ ნაშენებში გამოსცრა-
გამონახა, სიჩუმესა და დავიწყებას გამოსტაცა და სამშობლოს ხელოვნების
გზით დაუბრუნა.

ასე წარმოიშვა ფილმი „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოება“.

...და აი, ჩვენს თვალწინ ეპიური თხრობით იშლებიან შორეული პალესტინის
ქართული ადგილები... ახა ერთ ფილმში რა ამოსწურავს ამ დიდსა და დიდებულ
თემას, მაგრამ ჩვენი ხელოვნების წარგზავნილებს თავდადებით უღვაწიათ, მრავალი
უაღრესად მნიშვნელოვანი, ხშირად ჩვენთვის სრულიად ახალი, ხელშეუხე-
ბელი მასალა მიუკვლევიათ და მოუტანიათ...

... იერუსალიმის ქართველთ-ჯვარი, ერიქონი, ბეთლემი, საბა-წმინდა, კატა-
მონი, მალხა და სხვანი... აქ ყველაფერი გაღვლებს, ისტორიით შესულდგმულე-



ბული საერთო ხედი თუ მხატვრული ხედვით მიგნებული დეტალი... თითქოს საუკუნეების სიღრმეში მიმავალი ქვის კიბეები და მარტოსული ძველი ვაზი!.. შორეული, ჯერ უხილავი, იქნებ უკვე გადასული ადამიანის ფეხის ხმა და ხვიფლოვან კედლების სიჩუმეში ჩარჩენილი, ოდესღაც დარჩეული გალობა ქართველ მამათა.

ფილმის შემქმნელთ მართებულად მიუგნიათ იერუსალიმის ქართველთ-ჯვარის მონასტრის სიმბოლიური გასაღებისთვის. იგიც სამთავანაა, როგორც მრავალი ციხე-ტაძარი ჩვენში — წიგნის, სარწმუნოების, თავდაცვის კერა ერთად!

ეს ხუროთმოძღვრული სულისკვეთება აქაც კარგად იგრძნობა, მიუხედავად მრავალ, შემდგომი დროის გადაკეთებისა... ხოლო რა ვუყოთ, რომ ამჟამად ტაძრის კარის გასაღები სხვის ხელშია! ზღურბლის მიღმა, ჯერაც ჭიერს და პლადლებს ასომთავრულში შეაბჯრული ქართული სიტყვა — „სღექ მტკიცედ და ურყევად!“

სწორედ ეს გახლავთ სურათის ძირითადი კილოც და იგი, წარმოშობის შემდეგ ქვეშეცნეულად გასდევს მთელ თხრობას.

ეს უკვდავი ძახილი ასულდგმულებს ათასწლოვან ქარბუქების მოწმე ქართულ უნგრეე-ნანგრეეებს, სხვის ტყვეობაში ჩარჩენილ ტაძრებს, სანახევროდ სახეჩამოშლილ ფრესკებს, მშობლიური ჩუქურთმებისა და თაღების შეტეხილ ცისარტყელებს, ჩვენი ხელნაწერების დაფანტულ ფურცლებს!

ასე ერთიან თხრობად, შემკვიდროებულად, იშლებიან ჩვენს წინაშე, შორს გაშენებული, ქართულ სამყაროს, დიდი, თავის დროზე, ამალღებული მწიგნობრული და სულიერი ოაზისები!

საქართველოს კულტურული გარეკერები, მუდამ თავისი დედა-სამშობლოს სიცოცხლითა და ისტორიით საზრდოობდნენ, ცხოვრობდნენ და არსებობდნენ. მის, ასე ვთქვათ, საგარეო ლევაკიებს წარმოადგენდნენ. ამ მხრივ მათი ღვაწლი კიდევ მოელის საამაყო საქმეთა გამოვლენას.

აბა გაიხსენეთ, ფილმში აღბეჭდილი პალესტინის სხვადასხვა ქართულ ძეგლზე მოხსენებულნი: მარუანი (პეტრე იბერის საერო სახელი), ბურჯენი, პაპა ბაკური, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, ლევან დადიანი, ქაიხოსრო ზედგინიძე, მამისიძედი, პატრიძე და ბოლოს ყველა სახელთა გვირგვინი შოთა რუსთველი. ხოლო ჯერ რამდენი სახელია ამ კედლებზე ამოუკითხავი, ალაპებსა და წიგნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ! რამდენი საიდუმლოა ამოუხსნელი! აქ წარსული --- ჩვენი კვლევისათვის ჯერ კიდევ მომავალია!

ფილმის შემქმნელებს, ბუნებრივია, ქართულ თემასთან გზადაგზა, ისტორიულად თუ ბიბლიურად ცნობილი ადგილები და ღირსშესანიშნაობანი გადაუღიათ.

მალღმზახტვრული კადრებით გვაზიარეს გუთსიმანიის ბაღს, ელეონის მთას, იერუსალიმის კედელს, ომარის მიწვითს, ქრისტეს საფლავს, გოლგოთას, სხვა ტაძრებს, ბაზრებს, ქუჩებს... ყველგან ამჟღავნეს ლაკონიური ჩაწვდომის უნარი, დიდი ზომიერება და მხატვრული ტაქტი.

სომხების იერუსალიმელ საპატრიარქოში, იაკობის ტაძარში, სომხურ წიგნებს შორის აღმოაჩინეს 32 გვერდი აქამდე უცნობი ქართული ეტრატისა. აი კიდევ ნიშანი იმისა, თუ რამდენი რამ აქ საკვლევეი და საქებარია!


სოფლის წარმავლობა, ყველაზე უფრო მაინც ნასოფლარში იგრძნობა. ფილმმა იერუსალიმის მახლობლად, ძველი ქართული ნასოფლარი მალხა აღბეჭდა.



მისი დასახლება, გადმოცემით, ვახტანგ გორგასალის სახელთან არის დაკავშირებული.

ვაგლახ, მეორე სამშობლომაც ვერ შეიფარა მალხელები. ისინი ამ რამოდენიმე წლის წინათ იორდანიაში წასულან, არა ძველებური წესით—ქართულ კერების გურჯი-მცველებად, არამედ უკვე უსახო ლტოლვილებად... იმათი კვალის მიგნებაც არ იქნება ურიგო საქმე!

ხატონად გადაღებულია იორდანე, ეს ლეგენდებში გადასული მდინარე, გიკვირს მისი გამსჭვირვალება... მაინც ახლა! იგი ამჟამად ხომ ფრონტის ზაზია! საერთოდ ფილმში გარემოს ფერიც შესანიშნავად არის დაჭერილი. იგი ხელს უმართავს საერთო განწყობილების შექმნას... აქ მიწაც კალარაა და წყალიც კამკამა!



იონე ნათლისმცემლის ტაძრის სვეტის თავები. პალესტინა, მდ. იორდანე

მკვდარი ზღვაც, თითქოს უძირო სარკვეა გადასულ ჩრდილთა და ლანდთა! და გჯერა, რომ იგი შეჯერებულია არა მარტო მწარე და მძიმე მარილებით, არამედ გამწარებული ისტორიის ნალექებითაც!

დაე მეზატიოს პარადოქსი — ამ კეთილ ფილმში გაცოცხლებულია არა მარტო დადუმებული გარექართული ძეგლები, არამედ თვით მკვდარი ზღვაც!

სულის მოუთქმელად მიჰყვებით ამ სრულმეტრაჟიან, ფერად პლასტიურ თხრობას, ხილვასავით ამაღლებულ კადრებს და ყოველ მიჯნაზე შინაგანად ვრძნობთ, როგორ ხელჩართულად იბრძვიან — შემოქმედება და დავიწყება!



— „ვინ ვის!“ — აი სურათის კონტრაპუნქტი!.. ხოლო არსად არ არის ისეთი უძირო და ადვილი დაეწევა, როგორც აზიის ისტორიულ გზებზე!

... აი ბეთლემის მიდამო, უძველესი ქართული ტაძრის ნანგრევები. მის გათხრის დროს იტალიელმა მეცნიერმა კორბომ აღმოაჩინა მოზაიკური ქართული წარწერები. ერთი მათგანი ოთხას ოცდაათიან წლებისა, რაიც ნახევარ საუკუნეზე მეტით უსწრებს ბოლნისის 492 წლის, აქამდე ცნობილ, დათარიღებულ უძველეს წარწერას.

იერუსალიმის ბერძნულ პატრიარქიაში ახლაც ინახება ქართული ხელნაწერების კარგა დიდი, გადარჩენილი ნაწილი. ფილმში ნაჩვენებია ეს ქართული მწიგნობრული განძი, ერთ ერს სულ რომ ამოუვსებდა უმწიგნობრო ისტორიას!

-- სდექ მტკიცედ და ურყევად! — თითქოს ახლაც გაიძახიან სხვის კარადებში ჩარჩენილი ჩვენი წიგნები!

კიდევ ერთხელ აიღო რევანში შემოქმედებამ, სძლია დუმისსა და დაეწეებას!

მთელი ეს შესანიშნავი ფილმი თითქოს ასომთავრულით არის „დაწერილი“. განცდილი და განხორციელებული მრავალ ადგილას, თითქოს გამჭვირვალეში გამხდარან უძველესი კედლები, გამომეტყველდნენ უცხო ბათქაშში და ნახატში ჩამარხული ქართული კედელხატულები!

საქართველოს კინოთვალს ასე კარგად, ასე ღრმა და საფუძვლიან, მეცნიერულ კონსულტაციის წყალობით, ასე მაღალი ცოდნით ვგონებ არც გადაუღია საქართველოს გარე, ჩვენი კულტურული კერები. ჩვენ კი არა მარტო შინა, გარეისტორიაც გაგვანინია! იგი ქართლის ცხოვრების განუყრელი ნაწილია და ჩვენევე სულიერი საპატრონო.

სურათის შემქმნელთ, შეგნებულ ისტორიზმთან ერთად, სრულიადაც არ პლატატობთ თანამედროვეობის გრძნობაც. ყველაფერი თანამედროვე ქართველის თვალთ არის დანახული. ობიექტივის უკან თანამედროვე ქართველის გული პფეთქავს. ამიტომ არის ეს სურათი ასე ერთობლივად ჩამწვდომი, დიდ შემოქმედების უნარის მქონე, კეთილი გრძნობების აღმძვრელი...


მათ წარსულის გრძნობასთან ერთად, თანამედროვე მკვლევარობაც ახასიათებთ და ორივე საწყისი დიდი სიყვარულითა და შემოქმედური წვით მკეს და თესეს! მკეს და თესეს!

ქართველები ოდესღაც გაშლილ დროშით შედიოდნენ იერუსალიმში. ახლაც იმ მედროშეების შთამომავლებმა ამ „ქართულ პალესტინის“ გაშლილი ფილმი — სურათი ჩამოგვიტანეს. ეს ფრად მნიშვნელოვანი მხატვრულ დოკუმენტური და ზოგად შემეცნებითი ფილმი უდაო მიღწევაა ჩვენი ეროვნული კინო და ტელებელოვნებისა და იგი არ უნდა დაგვრჩეს სახელოვნად აღუნიშნავი.



სამწერობელი.

ფოტო გ. აბრამიშვილისა



სოფელ გლითში დაცული ღობისას საგანძური

საქართველოს მატერიალური კულტურის საგანძური მეტად მდიდარია ქედური ხელოვნების ნიმუშებით, მათ არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, არამედ დღესაც ხელოვნების ამ დარგში შემოქმედების წყაროს წარმოადგენენ.

ქედურ ხელოვნებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე საკმაო რაოდენობის უნიკალური ქედური ნიმუ-



წინასაძლიო ვერცხლის ქარი

შებია შექმნილი. საკმარისია მოვიგონოთ თრიალეთის, სამთავროს, არმაზის, ბაგინეთის, ახალგორისა და ახლახანს აღმოჩენილი ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, შორეულ წარსულშივე ქედური ხელოვნების განვითარების მაღალ დონეზე



ისტორიულად, ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების უმაღლესი საფეხური ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების ზენიტს (X—XII სს.) ემთხვევა. ეს ბუნებრივიაა, რადგან ამ პერიოდში „კეთილშობილი ლითონები“, როგორც მხატვრული წარმოების მასალა, მრავლად იშოვებოდა, რაც უქმნიდა პირობას ძვირფასი მასალა—ლითონის ნივთების ფართო დამზადება-მოხმარებას. მეორე მხრივ, ეკლესია, რომელიც თავიანთ საჭიროებდა ძვირფასი ლითონისაგან ნაკეთებ მრავალ ნივთს, ნებსით თუ უნებლიეთ გამოდიოდა აღნიშნული დარგის ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის როლში. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს ისტორიული და ხელოვნების მუზეუმის საგანძურებში დაცული ჭედური ხელოვნების უმდიდრესი ფონდი, რომელიც თავისი ისტორიულ-მხატვრული ღირებულებითა და სიმრავლით ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში.



წინასაძღოლა ჭვარი რელიეფური ჭედურა კომპოზიციებით

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გარდა მუზეუმებში დაცული ძეგლებისა, ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც მოითხოვენ ზრუნვა-პატრონობას. მათ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. ასე მაგალითად: სვანეთში, კერძო პირთა ხელშია დიდი რაოდენობის ჭედური ხელოვნების უნიკალური ძეგლები, რომელთაგან უმრავლესობა მეცნიერულად შესწავლილი და გამოქვეყნებულია, მაგრამ ბევრი მათგანი მოითხოვს სათანადო დაცვასა და შესწავლას. უნდა გამოენახოთ ფორმები მათი შემდგომი დაცვისა და შენახვისა.

ეს, პირველ ყოვლისა, ძეგლთა დაცვის საზოგადოების და ძეგლთა დაცვის სახელმწიფო დაწესებულებების საქმეა.



ამ მიზნით, ძველთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმმა, მწერალ ლევან გოთუას ინიციატივით, მოაწყო ექსპედიცია სოფელ მლეთში. ექსპედიციამ მონაწილეობდნენ; პრეზიდიუმის სწავლული მდივანი ირაკლი ზაქარიაშვილი, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი გურამ აბრამიშვილი და ამ წერილის ავტორი.

სოფელ მთელში წმინდა გიორგის სახელწოდების ეკლესიაში დაცული აღმოჩნდა დიდი რაოდენობის ქედური ხელოვნების ნიმუშები, რომელთაც გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. მათგან ზოგიერთს აქ აღვწერთ:

1. წინგასაძლოლი ჯვარი ვერცხლისა, ზომა 44X39 სმ., ჯვარის პირზე ცენტრში წმინდა გიორგის გამოსახულებაა, შუბით და ფარით ხელში, ზედა მკლავზე მრგვალ ნაწილში ღვთისმშობელია გამოსახული, მის ქვევით ღვთისმშობელი ყრბით. მარჯვენა და მარცხენა მკლავებზე კი ჯვარცმის კომპოზიციებია, მთლიანად ჯვარი დაფარულია შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი რელიეფური მცენარეული ორნამენტით, რომელზედაც შემორჩენილია ზედ დაკრული ორი ქვა ლურჯი და წითელი. ჯვარის კიდეები მთავრდება სადა წრიული სფეროებით. ქვედა მკლავზე მიმაგრებულია, ხელში დასაკავებელი, მრგვალი ღერძი. ჯვარის ზურგზე ვერტიკალურად მოცემულია 18 სტრიქონიანი ასომთავრული და ხუცური ერთმანეთში არეული წარწერა, რომელიც ჯვარის მარცხენა მკლავზე გრძელდება. წარწერაში ვკითხულობთ:

1. ქ: სახელით(ა) ღვთისაით(ა) ესე
2. ხატი ჩვენ შევაქმხ
3. ევინეთ ბურ
4. დულმ(ა), ცხოვრე
5. ბელმ(ა)
6. ნუგზარ
7. ერისთავი
8. ისა ჭამსა (ოდეს)
9. გატეხილ (იყო)
10. მთავარმოწამე
11. ლომმ(ისა)ო
12. ჩემის სი
13. მრთელის
14. გულისთ (ვის)
13. ჩემის (ულ) ლის
16. საქონელისათვის
17. შევაჰედი
18. ნე ესე
19. ხატი წმიდაო
20. გიორგი
21. შევცვალე
22. ღმერთმან მომივ
23. ლინოს მკედარსა
24. შეუნდვენენ ღმერთმან.



როგორც ზემოთ მოყვანილი წარწერიდან ირკვევა, ადგილობრივ მაცხოვრებელ ბურდულს (დღესაც სოფ. მღეთი უმთავრესად ბურდულების გვარის ხალხით არის დასახლებული) შეუკეთებია ეს ჯვარი „ნუგზარ ერისთავის ქამსა“, (ოდეს) გატეხილ (იყო)“ ე. ი. ზემოთ დასახელებული ჯვარი ნუგზარ ერისთავის ცხოვრებაში ყოფილა მოჭედილი.

2. წინგასაძლოი ჯვარი ზომით 96X65 სმ. ს მოოქრული ჯვრის პირი დაფარულია რელიეფური ქედური კომპოზიციებით: შუა ტანზე მოცემულია ჯვარცმის კომპოზიცია. ვერტიკალურად ზემოდან ქვევით, წმინდა გიორგის გამოსახულება ცხენზე მჯდარი, შუბით გველეშაპს ლახვრავს, მის ქვევით გრძელდება იგივე კომპოზიცია, მაგრამ უფრო მომცრო სახით, შემდეგ ამალლების გამომსახველი სიუჟეტია, ქვევით ღვთისმშობლის ყრმით გამოსახულება, ქვედა ტოტზე გრძელდება იგივე სიუჟეტები შენაცვლებით და ქვედა ნაწილზე ცხენზე მჯდარი წმინდა გიორგის გამოსახულებით თავდება. ჯვარის მარცხენა და მარჯვენა მკლავებზე მეორდება იგივე სიუჟეტები და აქაც კიდურები მთავრდება წმინდა გიორგის ცხენზე მჯდარი გამოსახულებებით. მთლიანად ჯვარი დამაგრებულია სფეროზე და გრძელ ღერძზე. ჯვრის უკანა მხარეზე მოცემულია ერთმწკრივიანი ასომთავრული წარწერა, რომლის ამოკითხვა არ ხერხდება. ეს ჯვარი ისე, როგორც წინა ჩვენ მიერ აღწერილი ერთი და იგივე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს, რაზედაც მისი შესრულების მანერა მეტყველებს.

3. სამწერობელი — ზომით 37,5 X 28, 10 ვერცხლის, შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს გვიან ფეოდალური ხანის ქედურ ხელოვნებაში, სამწერობელის ოთხ მკლავზე განაწილებულია მახარობელთა სიმბოლური გამოსახულებები სახარებებით: მშვენიერად არის განაწილებული ექვსკრთიანი ანგელოზის ფრთები სამწერობელის ტოლ მკლავებზე. მთლიანად კი იგი დაფარულია XVI საუკუნის აღმოსავლური ქედურა სკოლასათვის დამახასიათებელი რელიეფური ორნამენტით და თითონ ძეგლიც XVI საუკუნით უნდა თარიღდებოდეს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებისა, სოფ. მღეთის ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიაში ჩვენ მიერ აღწერილია სხვა მრავალი ძეგლი. მათ შორის: ჯვრები, ხატები, თასები, რომლებიც ეშვება რეშე დად ინტერესს იწვევს და მათი სათანადო შესწავლა საინტერესო მასალას მიცემს ამ დარგის მკვლევართ.



„მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია
წმიდის გიორგისა, წოდებული
ლომისა, უგუნჯათო. არს მრავალნი
ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლი-
სანი, დახიზნულობით“.

ვახუშტი." გვ. 65

ლომისას მცველი ხევისბერა შიო მამუკას ძე ბურდული.

ლომისას ჯაჭვის ლექსი

შიო ბურდულის მიერ „წინაპართაგან გაგონილი“


„ლომისას ჯაჭვი ჰკიდია
არვინ არ იცის ვისია
მოვიდა ქალი, შეტირა
„ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია,
შავეთით გამოტანილი
შავგვრემანაის ყმისია!“
„დაეხსენ ჟანგმა შასჭამოს
ლომისას საკადრისია,
დედ-მამის გაუგონარსა,
ესამც დღე დაადგისია!“

ამ ლექსის არა ერთი ვარიანტი დაბეჭდილია ჩვენს სათანადო ლიტერატურაში. დაწვრილებით იხილეთ ელ. ვირსალაძე — ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვაობა (მთიულეთი, გუდამაყარი).

ეს ვარიანტი ჩავაწერინა თავად „ჯაჭვის“ მცველმა. დაახლოებით 2,5 ფუთამდე ჯაჭვი ახლაც დაცულია ლომისას სალოცავში ლომის-ალევის ქედზე.

ჩასწერა ლევან გოთუამ 1968 წ.

სოფ. მლეთში.



საქტიტორო წარწერა დეტალი

გურამ აბრამიშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი


ატენის სიონის საქტიტორო წარწერა

ატენის სიონის მხატვრობის თარიღის განსაზღვრა დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ საკითხს. აღნიშნული ძეგლისადმი დაინტერესება იმით იყო გამოწვეული, რომ ატენის სიონის მოხატულობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფეოდალური ხანის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიაში. ბუნებრივად იყო ასეთ საექტაო ნაწარმოებს ჯეროვანი ყურადღება დასთმობოდა. გარდა ამისა, მოხატულობის თარიღის განსაზღვრას უნდა გაერკვია ვინაობა იმ გვირგვინოსან ქტიტორებისა, რომლებიც ტაძრის დასაველეთის აფსიდში არიან გამოსახულნი. ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობა იმით იყო გამოწვეული, რომ მკვლევარები ატენის სიონის მხატვრობას სხვადასხვა დროით ათარიღებდნენ. აკად. შ. ამირანაშვილი მოხატვის თარიღად 904—906 წლებს მიიჩნევს (Ш. Я. Амиранашвили, История груз. искусства, 1, 1950, გვ. 185). რ. შმერლინგის მოსაზრებით, მოხატულობა 1072 წ. შემდეგ ხანას განეკუთვნება (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VIII, № 4, 1947, გვ. 267).



1955-56 წლებში ატენის სიონის კედლის მხატვრობის გაწმენდისა და გამაგრების დროს მხატვარმა რესტავრატორმა შ. აბრამიშვილმა გამოავლინა მანასლეუცნობი ისტორიული ხასიათის რამდენიმე ფრესკული წარწერა. აქედან ერთი მათგანი, რაც მხატვრობის შესრულებას შეეხება, დასავლეთის აფსიდის სამხრეთის ფრთაზეა მოთავსებული.

1956-57 წლებში აღნიშნული წარწერა ორჯერ გამოაქვეყნა თ. ბარნაველმა (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVII, № 3, 1956, გვ. 281—286; თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ. 1957). ავტორის წაკითხვით, ატენის სიონის მოხატვა შეუსრულებიათ გიორგი II ნოველისიმოსის მეფობის მერვე წელს. მკვლევარის აზრით, მერვე სტრიქონი ქორონიკონს შეიცავს, რაც 1080 წ. უდრის. ეს თა-



საქტილორო წარწერა ულტრაიისფერი სხივების შექმნე

რილი გაიზიარეს სამეცნიერო წრეებმა (თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, ქართ. ხელ. ისტ. ინსტიტუტის XIII სამეცნ. სესია, თბ; 1958, გვ. 8—9), თუმცა იგი ეჭვის ქვეშე მანც დგებოდა (Ш. Я. Амираншвили, Ист. груз. монументальной живописи. I. Тб; 1957, გვ. 98).

1961 წელს ატენის სიონის მოხატ. დამატარილებელი წარწერის გაცნობის დროს შევამჩნიეთ ერთგვარი შეუსაბამობა, რაც მხატვრობისა და წარწერის სინქრონულობას გამორიცხავდა. ჩვენი დაკვირვება, რაც 1963 წ. გამოაქვეყნეთ (იხ. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXX, № 5, 1963, გვ. 685—690), შემდეგ შენიშ-



ვნებს შეიცავდა; საქტიტორო წარწერა მოხატულობაზე შედარებით მრგვალი ხანას ეკუთვნის და ამდენად არ შეიძლება იყოს მხატვრობის დამატარიღებელი. ამის საბუთად მოგვყავდა დასავლეთის აფსიდის სამხრეთის ფრთაზე მიკვლეული ფრაგმენტები ერთ-ერთი წინასწარმეტყველის ძალზე დაზიანებული გამოსახულებისა, რაც გვიან ხანაში შეუღლესავთ და მასზე შემოადინიშნული საქტიტორო წარწერა მოუთავსებიათ (1966 წ. ინფრაწითელმა დასხივებამ გამოაჟღერა ამ წწ-მეტყველის სახელის ფრაგმენტი... „მ ი ა“ [იერემია?]). აღნიშნული წარწერის სამი სტრიქონი და სტრიქონის ბოლო ნაწილი მოხატულობის თავდაპირველ ბათქაშზე იწყება. ხოლო მომდევნო სტრიქონები და მათ შორის მეოთხე სტრიქონის დასაწყისი იმ შეღესილობაზე გრძელდება, რასაც შემოადინიშნული წინასწარმეტყველის გამოსახულება დაუფარავს. ამგვარად, მეხუთე, მეექვსე და მერვე სტრიქონები, სადაც თ. ბარნაველი „მეფე გიორგისა ნოველისიმოსისა“ და „ქრონიკონს“ კითხულობს, სწორედ გვიანი ხანის შეღესილობაზე არის შესრულებული (ნახაზზე დატანილი გვაქვს გვიანი ხანის ბათქაშის კონტური). გარდა ამისა, ეჭვი გამოვთქვით მერვე სტრიქონის წაკითხვის სისწორეში. კერძოდ, იქ სადაც თ. ბარნაველი ქორონიკონის აღმნიშვნელ რიცხვით ნიშნად „ტ“-ს კითხულობს (300), ამ ასოს წინ გავარჩიეთ „დ“-ს მკრთალი მოხაზულობა. „ტ“-ს წინ „დ“-ს მოთავსება ამ სტრიქონზე ქორონიკონის წაკითხვის შესაძლებლობას გამოირიცხავდა, რადგან ასოთა ასეთი თანმიმდევრობა (დტ) მათი რიცხვითი მნიშვნელობის ფუნქციათა მატარებლად ვერ ჩაითვლებოდა (პირველი ასო „დ“ ოთხს, ხოლო მეორე „ტ“-სამასს უდრის, დტ = 4 და 300?). თუ თ. ბარნაველის წაკითხვას დავეყრდნობით მკვლევარი ამ სტრიქონზე კითხულობს „ქრონიკონსა ტ-სა“, მაგრამ არც ეს ჩანს მართებულად, რადგან სიტყვა „ქრონიკონი“ „დ“ ასოს არ შეიცავს. ამრიგად, აღნიშნული წარწერის წაკითხვა დაზუსტებას მოითხოვდა.

1966 წელს ხელოვნების მუზეუმმა ატენის სიონში სპეციალური ექსპედიცია მიაგვლინა, რომელიც ულტრაიისფერი და ინფრაწითელი გასხივების აპარატურით იყო აღჭურვილი. მხატვრობის დამატარიღებელი საქტიტორო წარწერის ულტრაიისფერი სხივების შუქზე გადაღებამ, რაც მუზეუმის ფოტოგრაფმა ივორ გილგენდორფმა აწარმოვა, გამოავლინა მისი თითქმის გამჭრალი სტრიქონების უმეტესი ნაწილი. ამან საშუალება მოგვცა ტექსტი მთლიანად დაგვედგინა. მოგვყავს ი. გილგენდორფის მიერ შესრულებული სამუშაოს ტექნიკური მონაცემები: „ატენის სიონის ფრესკული წარწერების ულტრაიისფერი და ინფრა-წითელი სხივებით ფოტოფიქსირება ხელოვნების მუზეუმის სპეციალური ლაბორატორიის პირველ საველე ექსპერიმენტს წარმოადგენდა. გადაღება მიმდინარეობდა ღამით, სრულ სიბნელეში. შედარებით ეფექტურ საშუალებათა გამოხაზვისათვის დაგვიჭირდა პრაქტიკულად განკვეხორციელებინა ლაბორატორიული ცდების დროს გამოყენებული ყველა ძირითადი ოპტიკურ-ტექნიკური საშუალებანი, საქტიტორო წარწერის გადაღება წარმოადგენდა არა მხოლოდ მეცნიერულ ინტერესს, არამედ ტექნიკურსაც, რადგან წარწერის გამაგრების მიზნით კედლის ეს მონაკვეთი წებოვანი ხსნარით იყო დაფარული. ეს საკმაოდ ართულებდა საქმეს,



რადგან შესაძლო იყო წებოვან გარსს სხივებზე უარყოფითად ემოქმედებდა და შედეგად
თა ნაკვალევი არ გამოველინებინა. სხვადასხვა ხერხით განათების დროს შედეგი
მოგვეცა მხოლოდ ულტრაიისფერი სხივების არეკვლამ (365 მიკრონი). რაც შეეხე-
ბა იმ დაზიანებული წინასწარმეტყველის ვინაობის მათუწყებელ წარწერას, რაც
ვიზუალურად სრულიად უხილავია, გამოვლინდა ინფრაწითელი სხივების არეკვ-
ლით. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ორი წარწერა შესრულებულია სხვა-
დასხვა შემადგენლობის საღებავით" (ი. გილგენდორფი).

იმის გამო, რომ თ. ბარნაველისა და ჩვენს წაკითხვაში საკმაო სხვაობაა, სა-
ჭიროდ ვცანიტ ახალი ფოტომასალის გარდა პატრეცემული მკვლევარის მიერ გა-
მოყვნილ წარწერის მონახაზი და წაკითხვა აქვე, ჩვენის პარალელურად მოგვე-
ყვანა. პირველ ორ სტრიქონს და მესამე სტრიქონის დასაწყისის ისევე გვითხუ-
ლობთ, როგორც თ. ბარნაველს აქვს განმარტებული. მესამე სტრიქონის ბოლოს
აღვადგენთ სიტყვას „მფარველ“-ს, რადგან აქ გაირჩევა „რვე“ ასოები. მეოთხე
სტრიქონზე იკითხება „და მხ ექმენ შესა“ „და მ(ეო)ხ(ექ)მენ შე(ნი)სა“ („თ. ბარ-
ნაველი ამ სტრიქონზე კითხულობს--„ადიდე მეფობა ღმრთივ დამყა(რე)ბულისა“).
მეხუთე სტრიქონზე იკითხება: „ლოცვა სვანთ მყსა“ ლოც(ი)თა სვ(ი)ან(ი)თ
მყ(ოფელი)სა. სხვაობა მოგვეცა მეექვსე სტრიქონშიც. თ. ბარნაველი ამ სტრი-
ქონზე კითხულობს: „გიორგისა ნოველისიმოსისა“, რომელსაც მეფე გიორგი
მეორესთან აიგივებს. ულტრაიისფერმა სხივებმა კი გამოავლინა სახელი გრიგო-
ლი. არც მომდევნო სიტყვის „ნოველისიმოსისა“ წაკითხვა აღმოჩნდა სწორი,
აქ მკაფიოდ გამოჩნდა შემდეგი ასოები „ლ ბ ტ“ და შემდეგ „თორლს“ რომლებიც
ერთმანეთისაგან ერთი ასოს მანძილზე არიან დაშორებული. პირველი სამის ასოს
„ლბტ“-ს გახსნა ვფიქრობთ, მხოლოდ ლიბარიტად შეიძლება „თორლს“ კი ვკი-
თხულობთ „თორელის.“ ამგვარად, მეექვსე სტრიქონი ასეთ სახეს იღებს:
„გ[რი]გ[ო]ლსა ლ[ი]მ[პ]არიტ თორ[ე]ლ[ი]ს [ქესა]“. ეს უკანასკნელი სიტყვა „ქესა“
სავარაუდოა, თუმც, კონტექსტით ასეთი აღდგენა შესაფერისად მოჩანს. მერვე
სტრიქონის ერთ ნაწილს, სადაც იკითხება: „რ[ომ]ლის მ[ი]ერ მოხბატა“,
თ. ბარნაველი სწორად კითხულობს, მომდევნო ნაწილს კი მკვლევარი ასე აღად-
გენს — წმიდაა [საყდარი ესე]. ეს აღდგენა არასწორი აღმოჩნდა. ულტრაიის-
ფერმა სხივებმა აქ გამოავლინა სიტყვა „კედელი“. ამგვარად ეს სტრიქონი ასე უნ-
და წავიკითხოთ: „რ[ომ]ლისა მ[ი]ერ მოხბატა კედელი“.


მერვე სტრიქონის ულტრაიისფერი სხივებით განათებამ და ფოტოფიქსირე-
ბამ ცხადყო თ. ბარნაველის წაკითხვის მცდარობა. მკვლევარი მერვე სტრიქონს
კითხულობს, ხოლო მეცხრე სტრიქონს შემდეგი სახით აღადგენს: B. „[ქ]რონიკონ-
სა ტ-სა წელ[სა მეფობისა] 9.[მათისასა]“. ფაქტიურად, აქ სულ სხვა შინაარსის
წარწერა გამოვლინდა, სადაც იკითხება „ესე დასავლისაა ა ასო „დ“,
რაც 1961 წ. შევნიშნეთ და რის საფუძველზეც გამოვთქვით ექვი მერ-
ვე სტრიქონზე ქორონიკონის არსებობაზე, სიტყვა „დასავლეთისაა“-ს პირველი
ასო აღმოჩნდა. მეორე ასო, რასაც თ. ბარნაველი „ტ“ (300)-დ კითხულობდა,
ფაქტიურად არის ასო „ა“ მერვე სტრიქონის დასასრულს ტექსტის დამთავრე-
ბის ნიშანი ზის, რაც უფლებას გვაძლევს წარწერა რვასტრიქონიანად ჩავთვა-
ლოთ (და არა ცხრასტრიქონიანად).



ამგვარად, თ. ბარნაველისა და ჩვენს წაკითხვაში შემდეგი სწავლობის
მოჩნდა:

თ. ბარნაველის წაკითხვით:

ჩვენი წაკითხვით:



ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

ქ. ყოვლა

1. [ქ. ყოვლა]დ წმიდაო დედ[ოფალო]

1. [ქ. ყოვლა]დ წ(მი)დაო დედ[ოფალო]

2. [ღმრ]თის მშობელო, მარადის [ქალ]

2. [ღმრ]თის მშ(ო)ბ(ე)ლო, მ[არა]დის

3. წულო მარიამ

3. ქ[ალ]წ[უ]ლო მ[ა]რ[ია]მ [მფა]რველ

4. ადიდე მეფობა ღმრთივ დამყარე

4. და მ[ეო]ხ იეძმენ შე(ნი)სა

5. ბულისა მეფეთ[ა] მეფისა]

5. ლოცვ(ი)თა სვ(ი)აწ(ი)თ

6. გიორგისა ნოველ[ისი]მოსისა],

მყ(ოფელი)სა

6. გრ[ი]გ[ო]ლსა ლ[ი]პ[არ]იტ თორ[ე]

7. რომლისა მიერ მოიხატა წმიდაჲ
[საყდარი] [ესე]

ლ(ი)ს [ძესა].

7. რ[ომ]ლ[ის]ა მ[ი]ერ მოიხ[ა]ტა

8. [ქ]რონიკონსა ტ-სა წულ[სა] მეფო-
ბისა]

კედელო

8. ესე დასავლისაჲ;

9. [მათისასა]



ატენის სიონის საქტიტორო წარწერა გვაუწყებს, რომ გრიგოლ ღმრთობით
თორელის ძის ქტიტორობით დასავლეთის კედელი მოუხატავთ. მართლაც, წარწერა დასავლეთის აფსიდშია მოთავსებული. როგორც ირკვევა, წარწერა ამ კედლის მოხატულობის გარკვეული ნაწილის გაცხოველება-შეკეთებაზე გვაუწყებს და არა ტაძრის თავდაპირველ მოხატვაზე.

რა დროსა უნდა იყოს ატენის საქტიტორო ფრესკული წარწერა? თ. ბარნაველის მოხატვას, რომ იგი „შესრულებულია იმავე ხასიათის დამწერლობით, როგორცაა მოხატულობის დანარჩენი წარწერები (თ. ბარნაველი, დასახ. ლიტ. გვ. 282), ვერ გავიზიარებთ. ატენის სიონის მხატვრობის წარწერები დახვეწილი ჩამონაკეთული პალეოგრაფიით ხასიათდება. რაც კალიგრაფ მხატვრის ვაჭაფულ ხელზე მიგვითითებს. ატენის მხატვრობის წარწერათა საერთო ხასიათი, მათი განთავსება ამა თუ იმ კომპოზიციაში მხატვრულ-დეკორატიულ ფუნქციათა მატარებელია. ამ მხრივ სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის დამწერლობასთან ვვაქვს საქმე ატენის სიონის საქტიტორო წარწერაში. მათი სტრიქონები ცერადაა დამხრობილი, რაც სრულიად არ შეეფერება ატენის მხატვრობის წარწერათა მკაცრ პორიზონტალობას. ამავე დროს, საქტიტორო წარწერის სტრიქონები არათანაბარი ზომისანი არიან და ერთგვარად დაუდევრად შესრულებულის იერს ატარებს. ეს არის ორი, სრულიად სხვადასხვა ხასიათის წარწერა, რომელთა შორის შეინიშნება პალეოგრაფიული სხვაობაც. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც რამოდენიმე ასოს მოყვანა შეგვეძლოს, რაც ცხადყოფს მათ ანაქრონიზმს.

ატენის მოხატულობის „ა“ ხასიათდება უღლის მსხვილი წერტილებით და ბოლოებული კიდურებით. „ანი“ რკალურად მოხაზული სხეული ჯერ თანაბრად მიმსხოთი მიემართება ასოს უღლის მიმართულებით, შემდეგ მისი ზედა ნაწილი მკვეთრად წვრილდება, ასოს უღელს უერთდება და ამ ადგილზე ერთგვარ შეერილს წარმოქმნის. ატენის საქტიტორო წარწერაში კი „ანი“ სულ სხვაგვარი ხასიათისაა. მისი ქვედა ნაწილი ქვევითაა ჩამოზიდული, ხოლო უღელი ასოს ტანს არ უერთდება. ასევე სხვაობაა „გ“ ასოს დამწერლობაშიც. ატენის წარწერებში ეს ასო საკმაოდ დაბლა ჩამოზიდული ცხვირით და ორსაფეხურიანი ტიხილი კუდით იწერება, რაც მსხვილი წერტილით ბოლოვდება. საქტიტორო წარწერაში კი „გ“ საგრძნობლად პატარა ცხვირითა და მხოლოდ მარჯვნივ წარზიდული მოკლე ხაზით — კუდით გამოისახება. ჩვენ ასეთი შედარებები საკმაოდ შორს წაგვიყვანდა, რადგან საქტიტორო წარწერის ყოველი ასო სხვაობას ამჟღავნებს ატენის მხატვრობის წარწერებთან, მაგრამ ასო „დ“-ზე მაინც გვინდა ყურადღება შევანეროთ. ატენის სიონის მხატვრობის წარწერებში „დ“ მეტწილად წრიული ტიხით იწერება, რაზეც ყელია აღმართული და მასზე მსხვილი წერტილებიანი კიდურებით შემკული უღელია დამყარებული. რიგ შემთხვევაში ასოს წრიული ტიხი მის ზედა ნაწილზე ოდნავ ვიწროვდება, რაც შედარებით მოგვიანო ხანის XII—XIV საუკუნეთა ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი.

ატენის საქტიტორო წარწერაში „დ“-ს შესამჩნევად წაგრძელებული ფორმა აქვს მიღებული. რიგ შემთხვევაში კი ეს ასო, განსაკუთრებით მეორე და მერვე სტრიქონებზე, მსხლისებურ ფორმას იღებს. ერთ შემთხვევაში ასოს ყელი ორადაა გაყოფილი. ასევე განმხოლოებულია მათი უღელიც. მსგავსი მოხაზულობის „დონი“ გვხვდება ბეთანიის კედლის მხატვრობაშიც, კერძოდ. სუმბატ დიდის ვინაობის



აღმნიშვნელ წარწერაში (1207—1213 წწ.). ატენის საქტიტორო წარწერის „დ“ ბეთანიისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ „დონის“ ტანის კონფიგურაცია უფრო მეტად მსხლისებური ფორმისაა, ყელით და უღელით კი მასთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. ასო „დ“-ს ასევე წერს აბულასანის მიერ შეწერილი ჭედური ხატის ოსტატი (XIII ს). აქ სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ამ უკანასკნელის უღელის კიდურები ზევითაა აგრებული. მისი, როგორც უღელი, ასევე ყელი ორადაა გაყოფილი. ატენის სიონის საქტიტორო წარწერაში ამ ასოს უღელი ოდნავ დაბლა იხრება და წერტილით ბოლოვდება, რითაც ბეთანიის „დ“-სთან მეტ მსგავსებას ამჟღავნებს. ამ ასოს ზედა ნაწილის მსგავს მოხაზულობას გვხვდებით წყაროსთავისა და ბერთის სახარების ყდებზე. XIII-XIV სს ზემოდასახელებული მოხაზულობის „დონი“ უფრო ხშირად გვხვდება. ასეთებია უბისის ფერწერული კარედი ხატი (XIV ს), ანჩისხატის კარედის შიდა მოჭედილობა (XIV ს) და სხვა, რომელთა, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამგვარად, ორმაგყელიანი და განმხოლოებული უღლიანი „დონი“, ძირითადად, XII—XIV სს და შემდეგი ხანის წარწერებში გვხვდება. ჩვენს წარწერაში ასეთი, მოგვიანო ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა უფლებას გვაძლევს მისი თარიღი უფრო გვიანი ხანით განვსაზღვროთ, ვიდრე ის იყო მიჩნეული. კერძოდ, XII—XIV სს.

სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა ატენის სიონის მოხატულობის შესრულების თარიღმა — 1080 წელმა. მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწვიოთ ძნელბედობის ხანას, რაც საქართველოს სწორედ 1080 წელს დაატყდა თავს. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვაუწყებს, ამ ხანაში თურქები „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუყანისასა, ვითარცა მკალნი, და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღიესო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუყანათა მკვიდრი ყოველი... მოჭამეს ქუყანა და მოსწყვიდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი“. (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 319). ეს კი სწორედ 1080 წელს უდრის. ასეთ რთულ ვითარებაში ძნელად დასაჯერებელია, რომ ატენის სიონის მოხატვის დრო და საშუალება ჰქონოდათ. ეს რომ ასე არ ყოფილა სავსებით დაადასტურა საქტიტორო წარწერის ულტრაიისფერი სხივებით გაშუქებამ, რამაც ცხადყო რომ აქ მოხსენიებულია არა მეფე გიორგი II, არამედ ვინმე გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძე, რომლის მეოხებითაც დასავლეთის კედლის მხატვრობა გაუცხოველებიათ. თუ ვინ იყო გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძე, ან რა უფლებებით სარგებლობდა ამ ხეობაში, ჩვენთვის უცნობია. წარწერის პალეოგრაფიული მხარე XIII—XIV სს უნდა მივითითებდეს. ამდენად, გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძეც ამ ხანის ფეოდალთა შორის არის საგულვებელი.

ლიპარიტ თორელი იხსენიება XIV საუკუნეში შექმნილ საისტორიო თხზულებაში „ქამთაღმწერელში“. იქ, სადაც ულუ დავითის ქართლიდან გაქცევა და დასავლეთ საქართველოში გადასვლა აღწერილი, „ქამთაღმწერელი“ შემდეგს მოგვითხრობს: „... და მოიწია თორს, ლიპარიტ თორელისასა, რომელსა დევის-ყურცა ეწოდებოდა, და მან უძღვნა ცხენი და შესამოსელი, და წარპყვა ქუთათისს, ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სუნათა, დადიანთა, ბედიანმან, რაჰის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა, და მეფე ყვეს დავით რუ-




სულანის ძე აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე" (ქ. ც. II, 1959, გვ. 229) ამასვე მოხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი თავის ისტორიაში (ვახუშტი, საქ. ისტ. 1885, გვ. 238—239).

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ეს ფაქტი 1259 წელს მომხდარა (ქ. ერის ისტ. ტ. III, 1949, გვ. 154—157). სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არ გვაჩნია ლიპარიტის შვილის ვინაობის შესახებ. ეს კი ჩვენთვის საინტერესო იყო, რადგან ატენის საქტიტორო წარწერაში გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძე მოიხსენიება. თუმცა წარწერის პალეოგრაფია ამ ხანაზე XIII—XIV სს მიგვითითებს, მაგრამ დღესდღეობით არ შეგვიძლიან კატეგორიულად ვასაბუთოთ „ქამთაალმწერლისა“ და ატენის საქტიტორო წარწერაში მოხსენებული ლიპარიტ თორელის ერთიდაიგივეობა, მით უფრო, რომ არ ვიცით რა უფლებებით სარგებლობდნენ თორელები ატენში. გარდა ამისა. არც გრიგოლი ვეხვდება თორელთა გენეალოგიაში. შესაძლოა, ეს სახელი თორელთა სახლში იმ ხანიდან გაჩნდა, როდესაც თორელთა ძირითადმა შტომ დაკარგა თავისი საგამგებლო და ძირითადი მამული-ჯავახეთი და თორი (XIII ს. II ნახ.) და ქართლში ჯავახიშვილების საფეოდალო შექმნეს. XIV საუკუნეში თორელი-ჯავახიშვილი კიდეც იხსენიება, XV საუკუნიდან კი თორელთა ნაცვლად ჯავახიშვილები ჩანან. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ჩვენი წარწერის თარიღი, უფრო XIII ს. II ნახევრისა და XIV ს. დასაწყისის ახლო ხანებით უნდა განვსაზღვროთ (თორელთა შესახებ იხ. „საქ. მუზ. მოამბე“, X—B, 1940, გვ. 23—47; „შოთა რუსთაველი“, ისტ. ფილოლ. ძიებანი, 1966, გვ. 7—77)

ატენის სიონის საქტიტორო წარწერის ულტრაიისფერი დასხვივებით გადაღება და ტექსტის ცალკეული ნაწილების მკაფიოდ გამოვლენა შემდეგი დასკვნის საშუალებას გვაძლევს:

1. საქტიტორო წარწერა ატენის სიონის მოხატულობის დასავლეთის აფსიდის ერთი ნაწილის გაცხოველება-შეკეთებას ეხება, რაც XIII-XIV სს. შეუსრულებიათ.
2. აღნიშნული სამუშაოები ვინმე გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძის საქტიტორო მოღვაწეობას მიეწერება.
3. წარწერა ქრონიკონს არ შეიცავს, რაც საფუძველს გვაძლევს უარყოფით სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თარიღი ატენის სიონის მხატვრობის შესრულებისა — 1080 წელი.



მახუნეთის ხიდი

ნიკოლოზ მგვიშვილი-კოპაძე

ახლანს, ცნობილ ინჟინერს, გზათამშენებელსა და პედაგოგს ნიკო ივანეს ძე კვეციანი-კოპაძეს შეუსრულდა 80 წელი.

ეს თარიღი აღნიშნავს ჩვენმა ტექნიკურმა საზოგადოებრიობამ და პრესამ.

„ქველის მეგობრის“ რედაქცია უერთდება ამ მილოცებს და უანგარო მზოგვან მოღვაწეს უსურვებს კეთილდღეობას..

რედაქცია.

საქართველოს ძველი ხიდების მთავარი სახეები

საქართველო ძველად წარმოადგენდა იმ ხელსაყრელ ასპარეზს, სადაც ადამიანის საზოგადოების ჩასახვასთან ერთად ხიდებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის არსებითი, სასიცოცხლო მნიშვნელობა უნდა მისცემოდა. მართლაც, მრავალრიცხოვანი ფაქტიური მასალის გამოყენებით და ზოგიერთი შემონახული, განსაკუთრებით დამახასიათებელი ნიმუშების გაშუქებით, ჩვენ თვალწინ იშლება ნათელი სურათი იმ მძლავრი და იმავე დროს მოწესრიგებული საგზაო-სახიდე მეურნეობისა, რომელმაც ფართო განვითარება მიიღო საქართველოს ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ძველად ხიდების მშენებლობა ქართველი



ხალხის ტექნიკურ შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად თვალსაჩინო დარგს, მობილურ მოადგენდა.

საკმარისია გავეცნოთ არსებულ წყაროებს და მატერიალურ ძეგლებს, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად განვითარებული და გავრცელებული ყოფილა საქართველოში სახიდე ნაგებობანი.

ამას ადასტურებენ ძველი ქვის ხიდები, რომელთა ცალკეულმა ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწიეს და ის აუარებელი ხიდების ნარჩენები და ნაშთები, რომლებიც ჩვენ გვხვდებიან წარსულ დროიდან საქართველოს თითქმის ყველა მდინარეზე. ამჟამად ისინი სრულუფლებიან კულტურის ძეგლებად გვევლინებიან და მათი შესწავლა-დაცვა ჩვენი ვალია.

ამასთან ერთად არსებობენ რეალური ცნობები შესანიშნავი ქართული ხიდების შესახებ, როგორც ანტიკურ მწერლობის ნაწარმოებებში, ისე უფრო გვიანდელ ავტორთა წერილებში. ყველა ისინი ადასტურებენ, რომ ძველად საქართველო, ხიდმშენებლობის ხელოვნებაში, მაღალ დონეზე იდგა.



ქუთაისის ძველი ხიდი

ავიღოთ თუნდაც XII ს., მეფე დავით აღმაშენებლის (1084—1125 წწ) ისტორიკოსის ცნობა, რომელიც წერს — მეფე დავითმა „აღაშენა რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ საგალნი, ქვა-ფენილ ყენა“ („ქართლის ცხოვრება“, წიგნი I, თბილისი, 1955 წ., გვ. 353).

შუა საუკუნის ქართველი ავტორის ხატოვან აღწერაში ჩვენ თვალწინ იშლება X—XI სს. საქართველო კეთილმოწყობილი გზებით და მკვიდრი ხიდებით, ეს იმ დროს, როდესაც მისი თანამედროვე ფეოდალური ევროპის გზები გაუვალ ტალახებში იფლობოდნენ და თითო-ორილა ქვის კაპიტალური ხიდი ამშვენებდა მხოლოდ მსხვილ საეპრო ცენტრებს.



სავარაუდოა, რომ საქართველოს ისტორიის უფრო ადრეულ ეტაპებზე რესად გავრცელებული იქნებოდა ხის ხიდები, რაც განპირობებული იქნებოდა ადგილობრივი მშენებლობისათვის ხელსაყრელი მაღალხარისხოვანი ხის მასალის დიდი მარაგით. მასთან ერთად მისი დამუშავების სიადვილით და სიმარტივით.

მაგრამ მათი ნარჩენები ჩვენამდე ვერ მიაღწევდნენ. ისინი უძველეს ხანაშივე განადგურდებოდნენ, თუმცა გამორიცხული არ არის მათი ნაშთების გაძლება ღრმა მიწის ფენებში.

არქეოლოგმა ბ. კუფტინმა ქ. ოჩამჩირეს ფარგლებში, თავისი არქეოლოგიური გათხრების დროს, მიაკვლია ერთ ხიდის ნარჩენს — ძველი ხის ხიმინჯების სახით, რომელნიც მდებარეობდნენ ზღვის დონის დაბლა. (Б. А. Куфтин. Материалы по археологии Колхиды, том II. Тбилиси, 1950, стр. 260).



ჩკონის კამაროვანი ხიდი მდ. თეძამზე

მომდევნო ხანაში, ქართული სამშენებლო ხელოვნების განვითარების შემდგომ საფეხურზე, ადგილობრივი მაღალხარისხოვანი სამშენებლო ქვის და შემაკავშირებელი მასალის (უმთავრესად კირის) საფუძველზე შეიქმნა, გაჩნდა უფრო მტკიცე და ხანგამძლე ქვის, თაღოვანი და კამაროვანი ხიდების მშენებლობის პირობები.

ამგვარი ხიდები გამოირჩეოდნენ თავისი სილამაზით, მოხდენილობით, სიმტკიცით. პირველ ხანებში მდინარის გადახურვის მალი შეზღუდული უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 10—15 მეტრის ფარგლებში. შემდეგში ისინი თანდათან



ნობით მატულობდნენ და მიაღწიეს 25 და მეტ მეტრამდე („გატეხილი ხიდი“ და სხვა).

მეტად საინტერესო დახასიათებას აძლევს ამ ნაგებობებს საქართველოს ძველი ხიდების მკვლევარი ინჟინერი ბ. მ. ნადეჟინი.

„ქართველებმა ჯერ კიდევ საუკუნეთა სიღრმეში პრაქტიკულად იპოვეს ის ყველაზე რაციონალური ფორმა კამარებისა, რომელმაც მათ მისცა საშუალება ხიდების მშენებლობისას ძვირადღირებული სოლისებრივი ქვების გამოყენების გარეშე და მათი ზედაპირის გულდასმით გათლის მაგიერ, აეგოთ მეტად თხელი თალი თითქმის დაუმუშავებელ ფილებისაგან, და აეგოთ ისე მკვიდრად, რომ ეს ხიდები დღევანდლამდე დგანან და იწვევენ განცვიფრებას თავისი დამრეცი კამარის გამოსახულების გამძლეობით.

ამ სახის თაღების მშენებლობა დაიწყო მეტად ადრეულ ხანაში, რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე იქნებოდა დადგენილი სტატიკის კანონები, და გაანგარიშების გზით ნაპოვნი იქნებოდა ის ფორმა, რომელსაც იყენებენ თანამედროვე ხიდმშენებლები.

(ბ. მ. ნადეჟინი. საქართველოს და სომხეთის ძველი ხიდები. ჟურნალი «Строительство дорог» მოსკოვი, 1949 წ. № 4, გვ. 22.)

კვლევითი შესაძლებლობის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ სხვადასხვა სახის ასზე მეტი საქართველოში არსებული ძველი სახიდე ნაგებობა, — ისინი, რომელნიც დღემდე მთლიანად შემონახულია და ისინიც, რომლებმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია, ან მკაფიო ასახვა პპოვეს წერილობით წყაროებში.

საქართველოს ხიდმშენებლობის ქვის ძეგლები შეიძლება აღვნიშნოთ ორი მთავარი სახის: ქვის თაღოვან-კამაროვანი ხიდები და ქვის ბურჯებზე (საყრდენებზე) დაყრდნობილი ხის კოჭოვანი კონსტრუქციები.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ რამდენიმე ტიპიურ ნიმუშს ამ ორივე სახის ხიდებისა და დავასახელებთ უმთავრეს ლიტერატურას.

1. ქვის კამაროვანი ხიდი მდ. თეძამზე.

მეტად ლამაზი ერთმალისანი, თხელთაღოვანი ქვის ხიდი მდებარეობს ძველ მონასტერ რკონთან, კასპის რაიონში. იგი გადატყორცნილია მდ. თეძამის ერთ ნაპირიდან მეორეზე. მისი განი უდრის 1,5 მეტრს.

ნაგებობა მეტად მარტივია, მაგრამ იმავე დროს დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს, მეტადრე ადგილობრივ ბუნებრივ გარემოცვაში.

რკონის ქვის ხიდის შესახებ აღნიშნავს პროფესორ-არქიტექტორი ნ. პ. სევეროვი — „აქ ადგილი არა აქვს არავითარ მოპირკეთებას, იგი შთაბეჭდილებას ახდენს თავისი კონსტრუქციული და მხატვრული თვისებებით“.

მკვლევარი ბ. მ. ნადეჟინი ამგვარად ახასიათებს თეძამის ქვის ხიდს — კასპის რაიონის სოფელ რკონში, მეტეხიდან 10 კმ. დაშორებით მდინარე თეძამზე არსებობს ძველი ხიდი. ხიდის კამარა დაწყობილია არა სწორი ფორმის ბრტყელი ქვის ფილებისაგან.

შესანიშნავია, რომ ეს კამარა გამოხაზულია არა წრის რკალის მიხედვით: მისი სიმრუდე მცირდება ცენტრიდან ქუსლებისაკენ და კამარის მოხაზულობა მიემსგავსება დიდ მალთან კამარების ფორმას, პარაბოლას, რომელიც მიღებულია ქვის მშენებლობაში, როგორც უფრო ხელსაყრელი, მიღებული სტატიკურ გამო-



ანგარიშების საფუძველზე" (ბ. ნადეჟინის ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 22).

თქმის ხიდი ემსახურებოდა არა მარტო ადგილობრივ სამონასტრო დანიშნულებას, არამედ იგი მდებარეობდა მნიშვნელოვან გზაზე (ბილიკზე), რომელიც მიემართებოდა შუა ქართლიდან — მესხეთ-ჯავახეთისაკენ.

ქ. სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 6 კილ. დაშორებით, მდ. ბესლეთზე მდებარეობს მშენიერი, ერთმალისანი ქვის თაღოვანი ხიდი.

ბესლეთის ხიდს დაწვრილებით აღწერს მრავალი მკვლევარი და მოგზაური. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ლ. რჩელიშვილის, და ნ. ჩუბინაშვილის შენიშვნებს ამ ხიდის შესახებ.

წინათ ამ ხიდის მშენებლობას მიაწერდნენ ბერძენ ან გენუელ კოლონისტებს, რომელნიც ერთ დროს სახლობდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

მაგრამ 1936 წელს აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ ამ ხიდის დეტალურმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ეს ხიდი წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართველი ხალხის ქმნილებას.

ხიდი აგებულია ქვისაგან, კირის დულაზე, შიგადაშიგ გამოყენებულია ქართული ბრტყელი აგურის ფენები.

ხიდის თალი გამოხაზულია 2 წრიული მრუდით.

მისი საგალი ნაწილის სიგანე — 4,7 მ.

მანძილი ნაპირის ბურჯებს შორის — 13,3 მ.

თალის სიმაღლე წყლის დონიდან — 8,4 მ.

ბურჯების სიმაღლე წყლის დონიდან — 2,5 მ.

თალის სისქე წყლის დონიდან 0,5 — 0,6 მ.

თანამედროვე ხიდმშენებლობის ტექნიკის თვალაზრისით მომხდარა ამ ხიდის სტატიკური შემოწმება, რომელსაც დაუმტკიცებია, რომ ხიდის თალის მაღალხარისხოვანი ღირსება, ე. ი. თალის სისქის სწორად შერჩევა, საანგარიშო მალის მოფიქრებულად აღება და მალისათვის თალის მრუდის ზუსტად შერჩევა, თანამედროვე ხიდთა მშენებლობის კანონებსაც კი მთლიანად აკმაყოფილებს. მას 2 ტონიანი მანქანების მთელი შეუწყვეტელი რიგის სიმძიმის ატანაც კი შეუძლია. ასეთი მძლავრი და ტექნიკურად მაღალხარისხოვანი ხიდი დიდი სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის გზაზე უნდა მდგარიყო, რასაც, სამწუხაროდ, სათანადო ცნობები არ მოეპოვება. (ლ. რჩელიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, XI—XII სს. ხიდი მდინარე ბესლეთზე, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბილისი, 1938, გვ. 267—269).

მეტად საინტერესო დახასიათებას აძლევს ბესლეთის ხიდს არქიტექტორი ნ. პ. სევეროვი.

„სოხუმის აღმოსავლეთით, მდინარე ბესლეთზე, ხიდის თალი მოწყობილია მსხვილ ქვაკირის ფილებისაგან 1 მ სიმაღლით და 30—35 სმ. სიგანით. ქვებს შორის 2 რიგი თხელი აგურის ფენაა, გაქვავებული დულაბის სქელ შრეში. თვითეულ თალის ქვაზე გამოკვეთილია, კარგი გამოხატულობის თითო ქართული ასო, ზომით 25 სმ. პოლიგრაფიული ვარაუდის თანახმად, წარწერა მიეკუთვნება XI—XII საუკუნეებს (ნ. პ. სევეროვი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 209.)

ხიდის თალზე აღმოჩენილმა ქართულმა წარწერამ საბოლოოდ გააქარწყლათ ის ყიფინა და მითქმა-მოთქმა, რომელიც არსებობდა ამ ნაგებობის ირგვლივ.



„ვენეციელები“, „გენუელები“, ვინ გინდათ რომ არ იყო მისი მშენებელი გარდა ქართველებისა.

ამ შესანიშნავი ნაგებობის გარეგანი სილამაზე მომხიბლავ ლანდშაფტთან ერთად ქმნიან თვალწარმტაც და ნიშანდობლივ სურათს.

1. მახუნცეთის თაღოვანი ხიდი მდ. აჭარისწყალზე.

სოფ. მახუნცეთი მდებარეობს დაბა ქედიდან 10 კმ დაშორებით, ჰიდროელსადგურ „მახუნცეთესთან“.

მრავალ მნახველს აქვს აღწერილი ეს მშვენიერი ხიდი.

1913 წელს იგი ნახა ცნობილმა რუსმა ექიმმა — ა. ა. კისელმა, რომელიც წერს: — „მდინარე აჭარის წყალზე გადაებულია, ძველი, მეტად კოხტა ვენეციური ხიდი. ამგვარი ხიდები ამ მხარეს ცოტა არ არის, მაგრამ ყოველთვის უნებლიედ



ბესლეთის ხიდი

შეჩერდები ხოლმე ძრავალ საუკუნეთა მსგელობაში გადარჩენილ ხელოვნების მშვენიერი ქმნილების წინაშე. რა გასაოცარი სიმსუბუქეა ნაგებობისა — მეტად თხელი ნახევარწრიული კამარა, დაყრდნობილი ორივე ნაპირზე. პირველად დიდხანს ვერ ვზედავდი ამ ხიდზე გავლას“.

ინჟ. ზ. ნაღეჯინიც (გვ. 22) აღნიშნავს მახუნცეთის ხიდს.

— „იგი (ხიდი) ქვის ფილებისაგან არის, კირის დულაბზე. კამარის მალი — 17,5 მ. აქ გაოცებას იწვევს ის გაბედულება, რომლითაც მდინარეზე გადატყორცნილია ამგვარი თხელი და დამრეცი კამარა. იგი თითქოს „ჰკიდია“ წყალზე და ალბათ მთელი რვა საუკუნე“.

ამ ძველ ხიდით ამჟამადაც სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა.

აჭარის წყალზე მახუნცეთის ხიდის მახლობლად მდებარეობენ — ამგვარივე ძველი უნიკალური ხიდები, დანდალოსა და სხალთისა.



ჩვენ აქ დავასახელებთ რამდენიმე ტიპიურ ტართულ ქვის თალოვანი ხიდს, რომელნიც დამაჯერებელ წარმოდგენას იძლევიან იმ დიდ გამოცდილებაზე, რითაც აღჭურვილი ყოფილან ჩვენი წინაპრები ხიდმშენებლობის ხელოვნებაში.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით რამდენიმე ათეულ თალოვან და კამაროვან ქვის ხიდს, მათ შორის იყვნენ 2, 3, 4 და 5 მალიანი ხიდებიც კი.

საქართველოს ძველი ხიდების მეორე სახეს წარმოადგენენ ქვის სანაპირო საყრდენებზე (ბურჯებზე) დაყრდნობილი ხის კოჭოვანი კონსტრუქციები, რომელნიც მეტად გავრცელებული ყოფილან ნაპირების დაბლობ ადგილებში — მდინარეების განიერ კალაპოტებზე.

აქაც აღვნიშნავთ მხოლოდ ამგვარ ორ ტიპიურ სახიდს გადასასვლელს.

1. მცხეთის მოგვთა ხიდი მდ. მტკვარზე. ამ ისტორიულ ხიდის შესახებ ჩვენ დაწერილებით ვწერდით „ძველის მეგობრის“ № 14-ში (1968 წ.).

1. ქუთაისის ხიდი მდ. რიონზე.

ეს შესანიშნავი ხიდი მეტად ტიპიურია ამგვარ ხიდებს შორის.

ქუთაისის ძველი ხიდის პირველი აღწერა ეკუთვნის აკადემიკოს ა. გიულდენშტედტს. იგი მოგზაურობდა საქართველოში 1770—1772 წწ. და ქუთაისის ხიდიც აღწერილი აქვს, მისი ზომების მოყვანით.

— „... რიონზე არის 80 ნაბიჯი სიგრძისა და 8 ნაბიჯი სიგანის ხიდი. ორივე ნაპირზე არის 2 თალი, რომლებიც მდინარეში აღწევენ 25 ნაბიჯამდე და შეერთებული არიან 30 ნაბიჯის სიგრძის ხის ხიდით“. (ა. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი I, თბილისი, გვ. 141).

1953 წ. «Кавказский календарь»-ის ოფიციალური გამოცემაში მოყვანილია ხიდის შუა მალის ზუსტი ზომა. კალენდარში წერია — „ძველი ხიდი აგებულია ჯერ კიდევ იმერეთის მეფეების მიერ. იგი აკავშირებს ძველ ქალაქს ახალთან და შესდგება ერთი მთავარი კამარისაგან 12 საყ. (25,0 მ) და ოთხი მცირე“.

ამრიგად, თუ ხიდის მთელი სიგრძე შეადგენდა 80 ნაბიჯს (60 მეტრამდე) შუა მალი კი — 25,6, მაშინ ხიდის გვერდის თალოვანი ნაწილები შეადგენენ 17,2 მ. ე. ი. მთელი ნაგებობა შესდგებოდა — 17,2 + 25,6 + 17,2 — 60 მეტრ.

როგორც ჩანს, 1853 წლისათვის ქუთაისის ძველი ხიდი ჯერ კიდევ მოქმედებდა.

ქუთაისის ძველი ხიდის შესახებ ცნობას იძლევა ამ ქალაქის ისტორიის მკვლევარი ვლ. ჩიკვაიძე. იგი აღნიშნავს; — „ქუთაისში მე-8 საუკუნის მეოთხედში აგებულ საყოველთაო სახალხო მნიშვნელობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაგებობას მდ. რიონზე აგებული ხიდი ეკუთვნის.“

ისტორიკოსი საგანგებოდ მოგვითხრობს, რომ ლეონ მეორემ აღნიშნული ხიდი ქვის საფუძველზე ააგო. ამით ირკვევა, რომ ქვის საფუძველზე პირველი ხიდი ქუთაისში მე-8 საუკუნის 90-იან წლებში იქნა აგებული“. (ვლ. ჩიკვაიძე. ქუთაისის ისტორიიდან. თბილისი, 1960, გვ. 35).

როგორც ჩანს, შუა ხის კოჭოვანი მალი გარდა თავისი პირველადი დანიშნულებისა, გამოყენებული იქნებოდა აგრეთვე თავდაცვითი მიზნებისათვის, მტრისათვის გზის ჩასაშლელად, უცხო შემოსევათა დროს. გვერდებიდან კი, ორივე მხრიდან მიდგმული ჰქონიათ მაღალი ქვის თალოვანი მისასვლელები.

ამგვარი შერეული ხიდები (ხისა ქვასთან) კეთდებოდა უფრო ფართეკალა-



პოტიან დაბალნაპირებიან მდინარეებზე. თუმცა აქაც შეიძლება გამოეყენებინათ რამდენიმე მალიანი, ქვის თაღოვანი ხიდი, როგორც მაგალითად ახალდაბისა (ბორჯომის ხეობა), ყაურმის — (ჯაეახეთში) 5 მალიანი „გატეხილი ხიდი“ — 4 მალიანი (ქვემო ქართლში) და სხვა.

მდ. მტკვრის ხეობა, რომელიც წარმოადგენს მრავალ საუკუნეთა მანძილზე ირან-თურქთა შემოსევების ასპარეზს, მთლიანად მოფენილი იყო ამგვარი შერეული კონსტრუქციების ხიდებით.

როგორც ჩანს, ეს იყო მთელი სისტემა ამგვარი მდ. მტკვარზე გადასასვლელებისა დაწყებული „გატეხილი ხიდის“ (ძველი ხიდის ნანგრევების მიხედვით) — ვიდრე არტაანამდე (ამჟამად თურქეთის ფარგლებში) — თითქმის 330 კმ. მანძილზე. აქ შეიძლება აღინიშნოს 20-მდე ამგვარი ხიდი, გარდა ახალდაბისა, რომელიც მთლიანად ქვის თაღებისაგან შესდგებოდა.

შეიძლება აქ დავასახელოთ მტკვარზე ზოგიერთი ხიდი, რომლებმაც თავი ისახელეს შემოსეულ მტრისათვის გზის შეფერხების საქმეში. თბილისის, მეტეხის ხიდი — ალა-მაჰმად ხანის შემოსევისას (1795 წ.), მცხეთის ხიდი — პომპეუსის შემოსევისას (1 ს. ძვ. წ.), გორისა — თათარ ხანის ლაშქრობისას (1609 წ.), ასპინძის ხიდი — თურქებთან მეფე ერეკლეს ბრძოლაში (1770 წ.).

კიდევ ბევრი ამგვარი შემთხვევა ყოფილა საქართველოს ისტორიის მანძილზე, მაგრამ ჩვენ აქ მოგვყავს მხოლოდ უმთავრესი ფაქტები.

უფრო ვიწრო კალაპოტიან და მაღალ კლდოვან ნაპირებიან მდინარეებზე კეთდებოდა ქვის კაპიტალური კამაროვანი ან თაღოვანი ხიდები. ვიწრო კამაროვანი-ფეხოსანი და სასაბაღნე მოძრაობისათვის და განიერი-თაღოვანი ბორბლიან ტრანსპორტისათვის.

მთელი აჭარა, შავშეთი, ლაზეთი ძველ დროიდან მოფენილი ყოფილა ამგვარი, მეტად მკვიდრი და იმავე დროს გარეგნულად ლამაზი სახიდე ნაგებობებით. მათი ნაშთები და ნარჩენები დღესაც მოწმობენ მათ არსებობას. თუ მრავალი მათგანი დაინგრა და განადგურდა, დარჩენილები იწვევენ ალტაცებასა და განცვიფრებას.

ვაკვირდებით რა ძველი ქართული ხიდების ნაგებობებს, ვრწმუნდებით, რომ მათ მშენებლებს ჰქონიათ ხიდების მშენებლობის საქმეში დიდი გამოცდილება, ცოდნა და დაკვირება. მათ მთლიანად შეუთვისებიათ სიმეტრიის პრინციპები, ცოდნა პარამონიული პროპორციებისა, ქვის მასალის და შემაკავშირებელი დუღბის შერჩევის მაღალი ოსტატობა.

ისინი დაუმუშაებელ ქვის ფილებს და ლოდებს ერთმანეთთან აკავშირებდნენ დიდი ოსტატობით და ქმნიდნენ მეტად თხელ, დამრეც მტკიცე და ლამაზ თაღებს — განიერ და მჭკეფარე მდინარეებზე.


ამგვარი ჰაეროვანი, ცისარტყელად გადახურული კონსტრუქციები ჰქმნიდნენ შთაბეჭდილებას, თითქოს მათ შიგ ჩატანებული ჰქონდათ ხის ან რკინის შემაკავშირებელი ღეროები (არმატურა), რომელნიც აკაებდნენ მათ მდინარეში ჩაყარდნისაგან. გასაოცარი ის არის, რომ ამ სახით ისინი დგანან გაშმაგებულ მდინარეებზე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

არსებული ძველი ხიდების ნაშთები ეკუთვნიან სხვადასხვა ისტორიულ ხანას, ე. ი. ძველ წელთაღრიცხვასაც. მაგრამ გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მათი უმრავლესობა IX—XII და XVI—XVII საუკუნეებს მიეკუთვნებიან.



საქართველოს ძველი სახიდე ნაგებობანი წარმოადგენენ ჩვენი კერძო სიამაყის მატერიალურ ძეგლებს, ისევე როგორც საკულტო ნაგებობანი, ტიხეები, კოშკები და სხვა. ისინი წარმოადგენენ მრავალ თაობის სამშენებლო მოღვაწეობის შესანიშნავ ნიმუშებს.

ჩვენი ჯალა მემართოთ ყველა ზომებს მათი განადგურებისაგან დასაცავად. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მათ ესაჭიროებათ უფრო მეტი მოვლა-პატრონობა, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა არქიტექტურულ ან მატერიალურ ძეგლს, რადგან მათ, გარდა დროისა და ატმოსფერული გააღენისა, უხდებათ აგრეთვე წინააღმდეგობის გაწევა მძლავრ, მჩქეფარე მდინარეებთან.



ნარკვევი წარმოადგენს არქიტექტურის კანდიდატ ილია ადამიას გამოკვლევად გამოზადებულ კრედიტულ გამოკვლევას „ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების“ III წიგნის ზოგიერთ საკითხზე მოკლე შიშობილეს, რედაქცია მას მადლობას მოახსენებს ზენაწერისა და საილუსტრაციო მასალის მოწოდებისათვის.

ძველი ჰერათის ხუროთმოძღვრული ძეგლები

საინგილო ანუ შიგა კახეთის ისტორიული ნაწილი, სახელდობრ, ჩრდილო-აღმოსავლეთი კახეთი, რომელსაც „გალმა მხარს“ ეძახდნენ, მდებარეობს ისტორიული პერეთის ტერიტორიაზე.

საინგილო უძველეს დროიდან წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ სა-




კახა — პატარა ალავერდი. საერთო ხედი დასავლეთიდან



ერისთავოს და როგორც იბერიის აღმოსავლეთ პროვინციას უდიდესი ცენტრალური ული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იყო საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭე, ისეთივე მნიშვნელობისა, როგორც „დარიალის კარი“ და მისი ხეობა, ამიტომაც ხშირად მას „რკინის ჭიშკარს“¹ უწოდებდნენ, იგი იყო სამშობლოს საიმედო ფარი.

მისი ტერიტორია მოიცავს: ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებს. ამჟამად იგი შედის მოქმე აზერბაიჯანის სსრ საზღვრებში. მას უკავია კავკასიის ქედის სამხრეთი ფერდობების ტყით დაფარული ხეობები და მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირის დაბლობები, რომლებიც სულ მთლიანად ტყის საფარშია ჩაფლული.

ქრისტიანული მონუმენტური ძეგლებისა და ძველ ხალხურ ნაგებობათა




მადლის ველსია (ნურქილისა) XIV ს.

სიუხვისა გამო კახის რაიონს ცენტრალური ადგილი უკავია.



მის ტერიტორიაზე ნანგრევების სახით დღემდე კიდევ შემორჩენილია ქრისტიანული არქიტექტურის მეტად საყურადღებო ძეგლები. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი ტაძრები, როგორცაა: ლექართის, ყუმის, ბახთალოს, ქურმუხის, მცირე ალავერდის, კასრის, სამების ტაძარი და სხვ.

ლექართის ტაძარი. ქ. კახიდან ჩრდილო-დასავლეთით 12 კილო-

1. ა. ზენკელი, შიან სინჯილოში. თბ., 1957 წ. გვ. 7.



სოფ. ლეჯანის ტაძარი-გეგმა.




სოფ. ყუმბის ტაძარი — გეგმა
 (VI—VII ს. ს.)



მეტრის დაშორებით მდებარეობს უძველესი ქართული სოფელი ე. წ. ლეკართი
„აწ უწოდებენ ლეკები ლეკეთ“.

ტერმინი „ლეკართი“ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვანაირადაა მოხსენებული. ქართულ წყაროებში მოხსენებულია — ლეკართი ანუ ლეკეთი (მ. ჯანაშვილი, ზ. ედილი, ა. ჩხენკელი, მ. დუმბაძე და სხვ.) რუსულ წყაროებში — лекит ლეკით (И. Д. Барановский, М. А. Казнев и др) Лякит — ლიაკით — (А. С. Хаханов, К. В. Тревер) და სხვ. საჭიროა გარკვევა რომელია სწორი მათ შორის?

სახელწოდება „ლეკართი“ ქართული წარმოშობისაა; ამ სიტყვის ფუძეა ქართველური სატომო სახელი „ქართი“. აქედან — სა-ქართ-ველო“ ადგილი.



ბახთალას ლეთისშობლის ტაძარი XVI ს.

სადაც ქართველები ცხოვრობენ, ქართველებით დასახლებული ქვეყანა“ (არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ. 1952 წ., გვ. 203) „სა“ არის წინსართი (ბრეფიქსი), რომლის სინონიმია მეგრულ დიალექტში „ლე“ (ლე-სა). აქედან ლეკართი ქართველებით დასახლებული ადგილია, ისე როგორც ეს სამეგრელოს ზოგიერთ სოფლის სახელწოდებაშია მოცემული; მაგალითად: ლექაძამე, ლესიჭინე, ლეხაინდრე და სხვ., რომელიც ნიშნავს ამათუ იმ გვარით დასახლე-



ბულ ადგილს — სოფელს. მეგრულ დიალექტზე საქართველოს დედაქალაქს — თბილისს დღესაც „ქართი“ ეწოდება. ამრიგად, სწორი იქნება ვიხზაროთ, როგორც უძველესი ქართული სოფლის სახელწოდება — ლექართი.

სოფ. ლექართის ჩრდილოეთით, 3 კილომეტრის მანძილზე, კავკასიის ხეობის ერთ-ერთ დავაკებულ ადგილზე მდებარეობს ე. წ. „ლექართის მონასტრის“ შენობათა ნანგრევები, რომლებიც მთლიანად ნარ-გელებითა და ტყითაა დაფარული.

ამ ადგილებს იქაური მოსახლეობა ამჟამად „ქილისალარს“ ეძახის, რაც მათ ენაზე ეკლესიებს ნიშნავს.

ლექართის მონასტრის არქიტექტურული კომპლექსი ჯერ-ჯერობით კარგად შესწავლილი არ არის. ნანგრევების მიხედვით ვარაუდობენ, რომ სხვადასხვა სახის სამონასტრო დანიშნულების ნაგებობათა შორის ათამდე, თუ თორმეტამდე ეკლესია უნდა იყოს, რომელთა დათვალიერებას ხელს უშლის ბარდ-ეკლებში ჩახვეული ტყე-ჯაგნარის მჭიდრო საფარველი. „მეოცე საუკუნის დამდეგამდე შემოუნახავთ ამ ეკლესიებს ძველი ბრწყინვალეების ნიშნები — ჩუქურთმები, წარწერები, მხატვრობა, რომლებიც დღეს უკვე აღარ შეიმჩნევიან“.¹

ლექართის მონასტრის ანსამბლი ძველად გალავნით ყოფილა გარშემორტყმული, რომლის ნანგრევები დღესაც შეიმჩნევა. ლექართის კომპლექსი თავისი სამონასტრო ცხოვრებითა და მრავალი სასწავლებლით გელათის მონასტრის ანსამბლს მოგვაგონებს. ლექართის მონასტერი შუა საუკუნეებში, შეიძლება ითქვას, აღმოსავლეთ კახეთის სწავლა-განათლების კერას წარმოადგენდა, მაგრამ დღეს კედლების ნანგრევებია დარჩენილი. ეს ნანგრევები ორ ჯგუფად იყოფა და შესაბამისად მათ ზემო და ქვემო ეკლესიებს ეძახიან.

ლექართის ტაძრის შესახებ ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა.

ზემო ეკლესიების ნანგრევთა შორის დამთვალიერებლის ყურადღებას იქცევს ერთი დიდი ტაძარი, რომელიც ყველაზე უძველეს და უკეთეს შენობად უნდა ჩაითვალოს... აგებულია ცუდად ნათალი კლდის ქვით, მხოლოდ კარები და ფანჯრებია ამოყვანილი მშვენიერად ნათალი ოთხკუთხედი ქვით. თვით ეკლესია ჯვარედინ გეგმაზეა აგებული და ადამიანს აკვირებს თავისი სიმაღლითა და ბუმბერაზობით.“²

მეორე ტაძარი, რომელიც ქვემო ეკლესიების ჯგუფს ეკუთვნის, გამოკვლეულია 1940 წ. არქიტექტორ პ. დ. ბარანოვსკის მიერ; ეს ტაძარი, რომელიც თოლოსის ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, უნიკალურ ძეგლთა ნიმუშებს მიეკუთვნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ლექართის მონასტრის ხსენებულ ტაძარს პ. დ. ბარანოვსკი მიაკუთვნებს შიგა ტეტრაკონქურ „ცენტრალური გეგმის“ მქონე ნაგებობათა ტიპებს³ მისი წრიული მოხაზულობის გეგმის კომპოზიცია თავისი

¹ მ. ლუშაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 25.

² ზ. ედილი, საინჯილო, თბ., 1947, გვ. 156.

³ П. Д. Барановский, დასახელებული ნაშრომი — Лекетский храм представляет собой здание, так называемого «центрального плана», с внутренним тетраконхом на колонах и круговым обходом», стр. 32.



როული შიგა ტეტრაკონქური (ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული ტიპით ნათესაურ კავშირშია ისეთ ძეგლებთან, როგორცაა: ბანას ტაძარი VII—IX სს. (ამჟამად მოქცეულია თურქეთის საზღვრებში), ზვარტნოცის ტაძარი—VII ს. და სხვ.

ლექართის მონასტრის ტაძრის გეგმის მონაზულობა, როგორც ცილინდრული ნაგებობა წესიერ წრეხაზს წარმოადგენს, რომელსაც მთელ პერიმეტრზე გარშემოვლებული აქვს მონუმენტური სვეტნარი.

ლექართის ტაძრის კედლები აგებულია რიყის ქვისაგან კირის ხსნარზე; რიყის ქვა აქ ყველაზე ხელმისაწვდომ ადგილობრივ საკედლე მასალას წარმოადგენს. ინგილოები ასეთი ქვებისაგან აგებულ შენობას „ნარიყალასაგან“ შენებულს ეძახიან.

ტაძრის გარშემო არსებული დაქცეული სვეტების დღემდე გადარჩენილი ფრაგმენტების სიმაღლე ორ მეტრამდე აღწევს. სვეტების წყობა შესრულებულია კირის ხსნარზე უხეშად გათლილი („დატარადებული“) ე. წ. „შირიმის“ ქვისაგან; ასეთ საშენ ქვებს ადგილობრივნი „შირიმდაშს“ უწოდებენ;

შეენიშნავთ, რომ აღნიშნული ტაძრის ნანგრევებში, ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი, არც მიწის ზემოთ და არც არქეოლოგიურ გათხრებით ძეგლის ხუროთმოძღვრული მორთულობის რაიმე ელემენტები—სამკაულები. ამ თვალსაზრისით იგი ძალზე ჩამორჩება მის მონათესავე იდენტური ძეგლების — ბანასა და ზვარტნოცის მრავალფეროვან ბრწყინვალე ორნამენტალურ-დეკორულ გადაწყვეტას.

შეიძლება ითქვას, რომ იგი უკან იხევს, აგრეთვე ქრონოლოგიურად. ბანასა და ზვარტნოცის ტაძრებთან შედარებით მისი სამშენებლო ტექნიკა რამდენადმე არქაულად გამოიყურება და მრავალი საყურადღებო განმასხვავებელი, მკაცრი სამშენებლო ტრადიციებით ხასიათდება. ეს არქაულობა არ არის შედეგი პროვინციური ჩამორჩენილობისა, არამედ იგი წინ უსწრებს ბანასა და ზვარტნოცის მშენებლობის პერიოდს, რის გამოც ლექართის მრგვალი ტაძრის სამშენებლო ტექნიკა ადრინდელი ეპოქის დამახასიათებელ ელემენტებს ატარებს. ამიტომ მას, როგორც ცნობილია, ყველაზე უძველესი იდენტური ძეგლის — სირიის ე. წ. ბოსრეს ტაძრის (512 წ) მშენებლობის პერიოდს აკუთვნებენ, ამის გამო ლექართის მრგვალი ტაძარი შეიძლება ჩაითვალოს ბანასა და ზვარტნოცის ტაძრების წინამორბედ ძეგლად.¹

ამრიგად, იგი შეიძლება აღიარებულ იქნას V—VI საუკუნის ერთ-ერთ საყურადღებო ძეგლად.

ყ უ მ ი ს ტ ა ძ ა რ ი. სოფ. ყუმი ქართველთა უძველესი სოფელია, რომელიც მდებარეობს სოფ. ლექართის აღმოსავლეთით, დაახლოებით 8 კილომეტრის მანძილზე (ამჟამად ლეკებითაა დასახლებული).

სოფ. ყუმის ე. წ. „ღვთისმშობლის ტაძრის“. შესახებ პირველი ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულია ა. ხახანაშვილის მიერ 1895 წ. (ექსპედიცია ს შედეგები).


აღნიშნული ძეგლის მეცნიერულ შესწავლას ხელი მოჰკიდა არქიტექტორმა

¹ П. Д. Барановский — დასახელებული ნაშრომი — «Таким образом, не лишено оснований предположение о возможности трактовать Лекит как один из памятников Кавказа предшествующих Звартноцу в формировании — этого типа здания».



ბ. დ. ბარანოვსკიმ, რომელმაც პირველად აწარმოვა ყუმის ტაძრის [არქიტექტურული] ური გათხრები 1940 წ.. როგორც თვით ბარანოვსკი აღნიშნავს, მას მთლიანად არ დაუმთავრებია ძეგლის გამოკვლევა, რისთვისაც გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ შემდგომში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ძეგლის ვრცლად შესწავლის გაგრძელება.¹

ყუმის ტაძარი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს, რომელიც გეგმის კომპოზიციითა და სივრცობრივ-ხუროთმოძღვრულ ბაზილიკურ ფორმით ენათესაება ბოლნისისა და ვაზისუბნის ტაძრებს; შეიძლება ითქვას, რომ ყუმის ტაძრის გეგმა ზემოთხსენებული ტაძრების გეგმის კომპოზიციების განმეორებას წარმოადგენს.



სოფ. ზემო ფიფინეთი. კოშკური ტიპის საცხოვრებელი XVI ს.

აღსანიშნავია აგრეთვე ზ. ედილის ცნობები იმ გაგებით, რომ იგი გადმოგვცემს იმ დროისათვის ძეგლის მდგომარეობას, სამშენებლო ელემენტების დახასიათებას და სხვ. ყუმის ტაძრის «გეგმა ბაზილიკას წარმოადგენს და აგებულია რიყის დიდი ქვებისაგან და ძველებური ქართული აგურისაგან. სიგრძით 30 მეტ-

¹ П. Д. Барановский, დასახელებული ნაშრომი გვ. 29.



რია, სივანით — 18, ხოლო საკუთრხეველი კიდეც სამი მეტრით წინააღმდეგობა ული" ... ეკლესიას არ ეტყობა ამჟამად, თუ შიგნიდან გალესილი ყოფილა, ან თუ რამე კედლის მხატვრობა ჰქონია, რადგან დიდი თალი დიდხანია ჩამონგრე-
ვია და წვიმასა და თქმს ყოველივე ჩამოურცხია".¹

ხანდაზმულ ადგილობრივ მცხოვრებთა (ინგილოებისა და ლეკების) გადმო-
ცემებიდან ირკვევა, რომ ყუმის ტაძარზე ყოფილა ასომთავრული ქართული წარ-
წერები, მაგრამ ამჟამად წარწერებიანი ქვები ყველა დაკარგულია და სადღეი-
სოდ ამ ძეგლის შესახებ ადგილზე არავითარი ეპიგრაფიკული სახის ნიშნები
ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება.

1946 წ. არქიტექტორ პ. ბარანოვსკის მოწვევით, ქართველმა მეცნიერმა აკა-
დემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა ადგილზე დაათვალიერა, ეს ძეგლი.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, ყუმის ბაზილიკის დათარიღების საკითხი, ძალზე
გართულებული და გაძნელებულია. ისეთი სამშენებლო ელემენტების გამოყენე-
ბა, როგორცაა ნალისეური მოყვანილობის თაღები, ასევე რიყის ქვებისა და
აგურის ერთობლივი გამოყენების ტრადიცია კედლის წყობაში და სხვა ძეგ-
ლის დათარიღებისათვის, რომელსაც პ. ბარანოვსკი ეყრდნობა, არ არის
დამაჯერებელი. ქართველი მეცნიერი იქვე დასძენს, რომ ყუმის ბაზილიკის
ფორმა, გეგმის კომპოზიცია, ტრომპების გამოყენება და მრგვალი მოხაზუ-
ლობის აგურის ბურჯების ამოყვანა, რა თქმა უნდა, თავისთავად არ ეწი-
ნააღმდეგება, რომ ყუმის ტაძარი მივაკუთვნოთ VI—VII სს.

მ ა დ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა. მდებარეობს ბელაქნის მახლობლად ლაგოდეხ-კა-
ხის მაგისტრალური გზის მარჯვენა მხარეზე დაახლოებით 5 კილომეტრის და-
შორებით. მას ადგილობრივი მცხოვრებნი ნურ-ქილისას ეძახიან. აღ-
ნიშნული ძეგლი „1518—1574 წლამდე კარგად შენახული და მოქმედებაში ყო-
ფილა. ამას ამტკიცებს ლევან მეფის მეუღლის თინათინის გუჯარი, რომელიც
მიუცია შუამთის მონასტრისათვის. (იხ. გუჯრები).

სამწუხაროდ, იგი ამჟამად ნახევრად დანგრეული დგას უპატრონოდ დიდ
ველზე — ძეგლი ახლო სოფლებიდან მორეკლი ნახირისა და მწყემსების სა-
თარეშოდაა მთლიანად ქცეული და ყოველდღე ნგრევისა და დაკნინების სა-
ფრთხეშია.

ძეგლის გეგმის კომპოზიცია და საშენი მასალა, რომლითაც იგი აგებულია,
აშკარად მიუთითებენ მშენებლობის ორ პერიოდზე: პირველ პერიოდს ეკუთვნის
თვით ეკლესია, რომელიც წარმოადგენს წრიული მოხაზულობის ერთ აბსიდიან
ბაზილიკისებრივ სივრცობრივ ფორმის ნაგებობას, რომელიც აგებულია ადგი-
ლობრივი საშენი მასალისაგან, ე. წ. „ნარიყალასაგან“ კირის მოჭარბებულ ხსნარ-
ზე; მეორე პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ აგურისაგან აგებული სამრეკლო, რომელიც
დასავლეთ მხარეზეა ეკლესიის კარიბჭის კედელზე მიშენებული.

ეკლესიის განი 7 მეტრამდე აღწევს, ხოლო სიგრძე 9 მეტრს აღემატება;
სამრეკლოს გეგმა კვადრატულია — 6,2 X 6,2; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზ. ედი-
ლის მიერ მოცემული ზომები — „სიგრძე ეკლესიისა 20 მეტრია, სივანე — 14“.
სინამდვილეს არ შეეფერება.


ძეგლის თარიღის დადგენა ეპიგრაფიკული მასალის უქონლობის გამო ძნელ-

¹ ზ. ედილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 160.

² Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб. 1959 г. стр. 130—131.



დებ. ამიტომ ჯერჯერობით ხუროთმოძღვრულ ანალიზს, მის სწავლას ელემენტებისა და ტექნიკის დონის განსაზღვრას უნდა დავეყრდნობოდეთ. ნულ ძეგლს პარალელები ეძებნება თვით საინჟინოს ტერიტორიაზე. ასევე იდენტური ტიპის ძეგლების არსებობა დამოწმებულია საქართველოს სხვადასხვა მხარეში; აგრეთვე ისტორიული ტაოს მიწა-წყალზე. ამ ძეგლის ერთ-ერთ იდენტურ ტიპს წარმოადგენს იშხანის ტაძრის გვერდით მდებარე ე. წ. „მცირე ეკლესია“, რომელიც აგებულია 1006 წ., ხოლო მშენებლობის მეორე პერიოდის მიშენებული ნაწილი — სამრეკლო, დღევანდელი კახეთის ტერიტორიაზე გავრცელებული



ქუმისის წმ. გიორგის ტაძარი — საერთო ხელოვნობიდან

ბული ქართული ხუროთმოძღვრების გვიან პერიოდის დამახასიათებელი ტიპური სამრეკლოების² განმეორებას წარმოადგენს. სამრეკლოს პირველი სართულის გეგმის კვადრატული მოხაზულობა და მეორე სართულის რვაწახნაგოვანი ტიპური ღია ფანჯატურისებრივი გადაწყვეტა თავისი სივრცობრივი ფორმითა და კონსტრუქციული სტრუქტურით XII—XIII სს. არ სცილდება, ხოლო ეკლესიის მშენებლობის პირველი პერიოდი XI—XII სს. უნდა ვივარაუდოთ.

¹ E. Такайшвили, Адхеологическая экспедиция в южные провинции Грузии, Тб., 1952 г., стр. 42, см. табл. I.

² Г. Н. Чубинашвили, დასახელებული ნაშრომი. გვ. 492—493.



ღვთისმშობლის ეკლესია. იგი მდებარეობს სოფ. ბახთალას (ზაქათალის რაიონი) რაიონული ცენტრიდან სამხრეთით 20—22 კილომეტრის დაშორებით, მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე „იქ სადაც გაშენებული იყო ქალაქი ბაზარი“¹ — გაღმა მხარის საეპარო ცენტრი. ამ ეკლესიას ხშირად ფალდახლოს ტაძარსაც უწოდებდნენ — „ლექები ამ ეკლესიას ფერიყალას ეძახიან, რაც თამარის ციხესა ნიშნავს.“²

აღსანიშნავია, რომ მიწის თხრის დროს 1858 წ. ინგილოებს აქ უპოვნიათ ზარი, რომელსაც ჰქონია მხედრულ-ქართული წარწერა. ამ წარწერიდან ირკვევა, რომ ზარი ბახთალას ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავს კახეთის მეფეს ლეონს, რომელიც მეფობდა 1520 წ. — 1574 წლამდე, ამიტომ ამ ძეგლის მშენებლობასაც კახეთის მეფე-ლეონს მიაწერენ (XVI ს.). რა თქმა უნდა, ძეგლის დათარიღებისათვის ეს სრულიად არ არის დამაჯერებელი საბუთი, რადგანაც ზარზე არსებული წარწერა ძეგლის ეპიგრაფიკულ რაიიმე სამშენებლო ხასიათის უშუალო ამსახველ მასალას არ წარმოადგენს.

პირველი ცნობები) და ფოტოგრაფიული სურათი ამ ძეგლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულია ა. ხახანაშვილის მიერ 1898 წ.

სოფ. ბახთალას ღვთისმშობლის ეკლესია ეკუთვნის მაღალ გუმბათოვან ეკლესიებს, რომელიც აგებულია კარგად გამოშვარი ქართული აგურისაგან იმ ყაიდაზე, როგორც ეს ახასიათებს კახეთის ამ სანის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეკლესიის კედლები მდიდრულად ყოფილა მოხატული, მაგრამ იმდენად დაზიანებულია, რომ უმეტესი ნაწილი ჩამოფხეკილია და გამქრალი ზოგიერთი გადარჩენილი ფრაგმენტი ძალზე დასაბიზრებელია, ვახუშტის ფრესკებსაც კი „თვალეში დანის წვერითა აქვთ ამოჩიქნილი, მაგრამ მაინც ეტყობა მირქმა ქრისტესი მიძინება ღვთისმშობლისა“¹.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ძეგლი დღესაც სავალალო მდგომარეობაშია. როგორც ჩანს, მისი დასახიზრება-განადგურება უპატრონობისა და მოუვლელობისა გამო დღესაც გრძელდება.

ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია. მდებარეობს მდ. ქურმუხის ხეობაში, (კახის რაიონი) რაიონული ცენტრიდან დაახლოვებით 2 კილომეტრის დაშორებით, ნუხისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეზე.

იგი აგებულია ე. წ. „კანგარაკის“ მთის კლდოვან წვერზე. აქედან იშლება თვალწარმტაცი სანახაობა მდინარე ალაზნისა და ქურმუხის ბარაკიანი ველმინდვრებ-ქალაქებისა და დაბურული ტყის ზოლებისა.

ასევე წმ. გიორგის ტაძარი შორიდან ბოეტურ სანახაობას წარმოადგენს თავისი ჩინებული ადგილმდებარეობის გამო. მისი მოცულობითი სილუეტური ფორმები ცის ლაქვარდოვან ფონზე ისე მკვეთრად და ხატოვნად ისახება, რომ მნახველზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ქურმუხის გუმბათოვანი ტაძარი აგებულია ე. წ. „ტინისა“ და „კაჭარის“ ქვისაგან კირის ხსნარზე, იმ ადგილზე, სადაც ადრე წმ. გიორგის პატარა უკომ-

¹ ზ. ედილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 151.
² ზ. ედილი, იქვე, გვ. 152.
³ ზ. ედილი, იქვე, გვ. 152.



ბათო ეკლესია იდგა. აღნიშნული ეკლესია დადგმული ყოფილა ანტიკური სიდიდის მთლიან ლოდზე. „რომლის საძირკველი და კედლების ნანგრევები დღესაც მოსჩანს.“¹

ზემოთხსენებული პატარა ეკლესია და არც დღევანდელი ქურმუხის ტაძარი ჯერ კიდევ ზუსტად არ არის დათარიღებული; იგი მრავალჯერის დარბეულ და აოხრებული იყო მტერთა შემოსევების დროს, რომელიც უკანასკნელად ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ განახლდა 1896 წელს.



სოფ. ძაგამი. კასრ-ბელელის ტიპური სახეები (მორული და წნული)

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ გარემოებას, რომ ძველის დაცვისა და ხელშეუხებლობის მდგომარეობა უყურადღებობის გამო თანდათან უარესდება.




პატარა ალავერდი. მდებარეობს ქ. კახში; ქართულ წყაროებში კახი მოხსენებულია კაკის სახელწოდებით. ძველ დროში კახი დასახლებული იყო გვარებად, ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია. ყოველ გვარს თავისი საყდარი ჰქონია.

ძველ დროში (XIII ს.) კახში თორმეტი ეკლესია ყოფილა, რომელთა ნანგრე-




¹ ზ. ედილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 164.



ქართული
ენების ინსტიტუტი



სოფ. თოდუბი. (ქაბის რაიონი)
თ. ნურაშვილის დარბაზულ-აფარაინი ზის საცხოვრებელი სახლი.
რეკონსტრუქციამდელი გეგმა.



სოფ. კახ-თეგლო (კახს რაიონი).
 გ. თამაზაშვილის მეგაბონული ტიპის ქართული დარბაზულ-აყარბანი ჭვის-საცხოვერებელი სახლი.
 რეკონსტრუქციამდელი უსასი და გეგმა.



გები მეტნაკლებობით ან ნასაყდრალი ადგილები დღესაც დაცულია. ეკლესიიდან დღემდე შემორჩენილია მხოლოდ სამი — წმ. გიორგის საყდარი „შუაგულ სოფელში“ (კახინგილოში), „კასრის საყდარი“ საყარაულოს მთაზე (ნანგრევებია დარჩენილი) და „პატარა ალავერდის“ საყდარი კახის თავეში (კაჯკასში).

„პატარა ალავერდი“ შიგა-კახეთის — დიდი ალავერდის სახელზეა აგებული და მისი ნაწილია. „ესეც საალავერდოა“. იგი „იმ დიდი ალავერდის ძმია“. ყოფილი წლის 14 სექტემბერს (ძველი სტილით), ისე როგორც კახეთში — „დიდი ალავერდობა“. აქაც იმართება, იგივე „ალავერდობა“ ე. წ. „ალავერდის ხატობა“, ისეთივე წეს-ჩვეულებით. ასეთია ხალხური გადმოცემა ამ ძეგლის შესახებ.

„პატარა ალავერდის“ გუმბათიანი ტაძარი აგებულია „ძველი უგუმბათო ეკლესიის ადგილზე“.

ეს იყო უკანასკნელი ტაძარი საინგილოს ტერიტორიაზე, რომელიც აგებულ და აღდგენილ იქნა ხალხის მიერ თავისივე სახსრებით 1888 წ.

საინგილოში ყველაზე კარგად ეს „პატარა ალავერდია“ დღემდე შემონახული. მაგრამ ამჟამად ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია — თუნუქით დახურული გუმბათის პირამიდული წახსნაგები, ირგვლივ ისეა დაზიანებული, რომ წვიმის წყალი უკლებლივ ჩადის გუმბათის ყელის კედლებში.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს დ ი დ ი კ ე დ ე ლ ი. ძველი ჰერეთის ნაწილი ე. წ. ვალმა მხარი, გარდა მონუმენტური ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლებისა, მდიდარია, აგრეთვე თავდაცვითი დანიშნულების ძეგლებითაც. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ე. წ. კავკასიის დიდი კედელი ანუ ვალვანი. ცნობილია, რომ ასეთი კედლები მხარეთა დაცვის მიზნით იყო აგებული ევრაზიის სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა დროს, დაწყებული დასავლეთიდან რომის limes-ით და დამთავრებული აღმოსავლეთით ე. წ. „ჩინეთის დიდი კედლით“.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი დანიშნულების ორი ძეგლია ნანგრევების სახით შემორჩენილი.

ერთი მათგანი მდებარეობს ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზე — ქვლასურთან, „აფხაზეთის დიდი ვალვანის“ სახელწოდებით, ხოლო მეორე მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს კარიბჭესთან „კავკასიის გრძელი კედლის“ სახელწოდებით.

იგი უძველესი დროიდან უცხოელ მწერალთა და მოგზაურთა ყურადღებას იპყრობდა. მოხსენებულია არაბულ წყაროებშიაც. ხალხური გადმოცემით, აღნიშნული კედელი აგებულია თამარ მეფის მიერ (XII ს.).

ამ კედლის შესახებ ცნობები მოცემული აქვთ; ა. ხახანაშვილს, ზ. ედილს,¹ ა. პოსერბსკის,² პოხომოვის³ და სხვ.

მკვლევართა შორის ჯერ კიდევ არ არის მტკიცედ დადგენილი აზრი ამ

¹ ზ. ედილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 169—174.
² А. Посербский, Закавказский округ, Кавказ, 1864, № 48.
³ Е. А. Похомов, «Закавказья «длинная стена», 1950 г.



ქველის დათარიღების შესახებ; ა. პოხომიოვმა აწარმოვა გათხრები ქველის მიდამოებში 1936 წ. თუ ა. პოხომიოვის აზრს გაეზიარებთ, იგი აგებული უნდა იყოს სასანიდების მიერ (V—VII ს.) ყველაზე კარგად „კავკასიის დიდი კედლის“ ნაშთები შემორჩენილია ბელაქნისა და ზაქათალის რაიონებში, მაგისტრალური გზის მარცხენა მხარეს — სოფ. კატეხთან. ზოგიერთ ადგილებში კედლის სისქე 150 სმ. აღემატება, სიმაღლე — 250 სმ. აგებულია რიყისა და კაჭარის ქვისაგან კირის მოჭარბებულ ხსნარზე, ისე როგორც „აბხაზეთის დიდი გალავანი“.

აღნიშნული ქველის ნაშთების არსებობა ძალზე შორს აღწევდა, (დაწყებული ლაგოდეხიდან — ნუხამდე), მაგრამ თანდათანობით დანგრევამ და მოსახლეობაში სახლების მშენებლობისათვის და გზების გასაყვანად მისმა გამოყენებამ ამ კედლის კვალი ბევრგან წაშალა. როგორც ირკვევა, ამ კედლის სისტემაში მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობაა შიგ ჩართული — კოშკები, სამლოცველოები, საცხოვრებლები და სხვ.;

ერთ-ერთი ასეთი ნაგებობის ნაშთი დარჩენილია დღემდე მდ. მაწის წყლიდან ოცდამეშვიდე კილომეტრზე. ამ ნაგებობას გეგმაზე წესიერი წრეხაზის მოხაზულობა აქვს, რომლის შიგა დიამეტრი 36 მ მეტია. კედლის სიმაღლე ამ ცილიანდრული „კოშკისა“ 240 სმ უდრის, სისქე — 120 სმ აღნიშნული ცილიანდრული ნაგებობის შიგა სივრცე (ა. ასპახოვას კარმიდამოზე) გამოყენებულია სამეურნეო დანიშნულების ეზოდ. ამ ნაგებობას გზის გაყვანის დროს ნაწილი ჩამოაცალეს და შიგ ახალი ზღუდეა გატარებულია.

უნდა აღინიშნოს, ის გარემოება, რომ ამ კედლის წყობიდან ქვების გამოცლა და გაზიდვა ახლაც წარმოებს. თუ ეს შემდეგშიაც ასე გაგრძელდა, ცხადია, ამ მეტად საინტერესო ძეგლს, რომლის მშენებლობის ისტორია ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული, სრულიად გაქრება მოელის.

ხ ა ლ ხ უ რ ი ძ ე გ ლ ე ბ ი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკა, მათი ზოგიერთი ხუროთმოძღვრული ფორმა და კონსტრუქციული სტრუქტურა, როგორც ირკვევა, მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია ხალხურ ძეგლებთან. ამ თვალსაზრისით ნაშრომში სრული სურათის წარმოსადგენად საილუსტრაციოდ მოტანილი გვაქვს ზოგიერთი ძეგლი ხალხური ხუროთმოძღვრების საგანძურებიდან, როგორც ფოტო, ისე მათი გრაფიკული მასალა ანაზომების სახით.

საინგილოს ტერიტორიაზე ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან დიდ ინტერესს იწვევს ძველ საცხოვრებელთა და სამეურნეო ნაგებობათა უნიკალური ტიპები.

საცხოვრებელთა ძველი ტიპებიდან საყურადღებოა: კოშკური ტიპის საცხოვრებლები (XVI ს), მეგარონის ტიპის „დარბაზული“ — აყარიანი საცხოვრებლები (XVII—XVIII სს), ქართულ-ანფილადური („გრძელი სახლის“ ტიპის საცხოვრებლები (XVIII—XIX სს), ოდა-სახლის ტიპის საცხოვრებლები (XIX—XX სს), ასევე უნიკალური სახეობა ე. წ. „ბჭე“ ანუ კარიბჭის ტიპის საცხოვრებლები (XVI—XVII სს) და სხვა.



სამეურნეო ნაგებობებიდან საყურადღებოა: საქონლის სადგომები ურუსულნი
 როზე სახლი", დინგები (სამეგველი), დიდტანიანი მთლიანი მორისაგან დასაწყისი
 რული — „კასრები“, ასევე წნულკედლებიანი კასრ-ბელლები და სხვ.

კოშკურ საცხოვრებელთა ძველი ტიპები გავრცელებულია მდ. კატეხის ხე-
 ობის მთის სოფლებში: ასევე ზოგიერთი სახესხვაობით გვხვდება აგრეთვე დაბა-
 ლი ზონის სოფლებშიაც. საყურადღებოა ის გარემოება, რომ კოშკური ტიპის
 საცხოვრებელთა უმრავლესობა გვხვდება „კაკასიის დიდი კედლის“ გადაღმა,
 ჩრდილოეთ მხარეზე.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოჩამოთვლილი ხალხური ძეგლების
 განხილვა ჩვენ აქ მიზნად არ გვაქვს დასახული, ამიტომ ჯერჯერობით მოტა-
 ნილი ილუსტრაციებით უნდა დაგვკმაყოფილდეთ. ზემოთხსენებული ქართული
 ხალხური ხუროთმოძღვრების ამსახველი მასალის ვრცლად გაშუქება — კი შემ-
 დეგისათვის გვაქვს გათვალისწინებული.



ლონგინოზ სუმბაძე
არქიტექტორი

ბექან ლორთქიფანიძის ხსოვნას
(1908—1969)

ქართველმა საზოგადოებრიობამ ამას წინათ დიდუბის პანთეონში მშობლიურ მიწას მიაბარა ჩვენი ძველთა დიდი მოამაგე ბექან ლორთქიფანიძე.

სულ ექვსიოდე თვით ადრე ჩვენი ქვეყნის არქიტექტორებმა და მშენებლებმა ზეიმით აღნიშნეს ამ შესანიშნავი ადამიანისა და მოქალაქის ნი წლისთავი, პიროვნებისა, რომელიც ჭარბად იყო დაჯილდოვებული საუკეთესო ადამიანური თვისებებით, უბადლო ნიჭით, გამჭრიახი გონებით, მაღალი კულტურითა და უმაგალითო ზნეობრივი სისხეტაკით.



ბექან ლორთქიფანიძე

იმ საზეიმო დღეებში მეგობრებმა და თანამშრომლებმა მას ერთ-ერთი შეხვედრა არაგვის ხეობაში მოუწყვეს. მისი სურვილით გზაში ზედაზენი მოვინახულეთ.

მან გაიხსენა სტუდენტობის ნათელი წლები, ის დღე, როდესაც რამოდენიმე ახლო მეგობართან ერთად პირველად ავიდა ზედაზენზე.

ის იყო მათი პირველი ღამისთევა ამ დიდებულ ნანგრევებში. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ ამ არაგვსა და მტკვარში, მაგრამ ეს დრო სამუდამოდ ჩარჩა მის მეხსიერებაში... აი ახლაც, მივიდა იგი ამ პატარა მიწის კიდეზე, რომლის წინაც აუწერელი სანახაობა იშლებოდა. დიდხანს გასცქეროდა არემარეს, სადაც დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. ამ საოცარი პანორამის შუაგულში, რძისფერი ნისლიდან,

ჯვარის საყდარი ამოტივტივდა, ძვირფას თვალად აელვარდა ამ უკიდევანო არეში.

ბექან ლორთქიფანიძე თავდადებით იცავდა ქართველ ინჟინერთა მცხეთა-ჯვარი-ზედაზენი-საგურამოს კიდული საბაგირო გზის თამამ იდეას... ახლაც გატაცებით ლაპარაკობდა მის შესახებ. ბექანს სწამდა წარსულის დიდებულ ნანგრევთა მაგიური ზემოქმედება ადამიანზე და მიაჩნდა, რომ მათ შესწავლა-შეგრძნობას ჩვენი ხალხისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, უდიდესი კულტურული და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს.

მან კარგად იცოდა მსოფლიო ხალხთა არქიტექტურის ისტორია; თავგამოდებულად უყვარდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, და არა მხო-



ლოდ უყვარდა, არამედ იცოდა მზრუნველი სიყვარული თავისი ქვეყნის მდინარე კულტურული მემკვიდრეობისა, გრძობდა მის გამაგრებელ სურნელს. სწამდა მისი ცოცხალი ზემოქმედების ძალა ნათელი მომავლის მშენებლობაში.

რთული გზა განვლო მან ამ ცხოვრებაში და სამამულო ომის ქარცეცხლიან გზაჯვარედინებზე.

მამა, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ ლორთქიფანიძე ადრე გარდაიცვალა, სამი წვრილ-შვილის აღზრდის მთელი სიმძიმე დედას — ეკატერინეს დააწვა, პროფესიით აგრეთვე პედაგოგს. მე ახლოს ვიცნობდი ამ შესანიშნავ ოჯახს. მთაწმინდაში მათ მეზობლად გვატარე სტუდენტობის წლები. დედამისი შემკული იყო უჩვეულო სათნოებითა და მაღალ ზნეობრივი თვისებებით, რომლებიც მან თავის შვილებს დაანათლა და უანდერძა.

1932 წელს ბექან ლორთქიფანიძემ საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით წარმატებით დაამთავრა და იქვე დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. ამავე წელს იწყებს იგი მუშაობას ქალაქთ გეგმარებისა და ცალკეული ობიექტების დაპროექტების დარგში — ცნობილ პედაგოგ-არქიტექტორების ი. ყირჩქესელის, მ. შავიშვილისა და ა. ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით. ეს ის დრო იყო, როდესაც დაიწყო საქართველოს ქალაქების პირველი გენერალური პროექტების შედგენა, ადგილობრივი კადრების შემწეობით. იგი აქტიურად ებმება ამ საქმეში, მონაწილეობს რესპუბლიკურ კონკურსებში, იმსახურებს საბატიო პრემიებს. მისი პროექტით შენდება არა ერთი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, მუშათა უბანი.

ამ დამაბული შემოქმედებითი და პედაგოგიური მუშაობის პარალელურად ეცნობა და სწავლობს ჩვენს ხუროთმოძღვრულ მემკვიდრეობას. იმ დროის უმაღლესი არქიტექტურული განათლების პროგრამებიდან ხომ სულ ამოღებული იყო არქიტექტურისა და, საერთოდ, ხელოვნების ისტორიის სწავლება. იგი თავის უახლოეს მეგობრებთან ლ. რჩულიშვილთან, ვ. ბერიძესთან, ამ სტრიქონების დამწერთან და ვალერიან კედიასთან ერთად (რომელიც ერთი წელიც არ არის, რაც მშობლიურმა მიწამ მიიბარა), რიგი წლების განმავლობაში მუშაობდა არქიტექტურული ლექსიკონის შედგენაზე ვუკოლ ბერიძის ხელმძღვანელობით.

ამ ხუთთოდე წლის წინ ბექან ლორთქიფანიძის ინიციატივით, განახლდა ამ ლექსიკონზე მუშაობა. იგი ახალგაზრდული ენთუზიაზმით გაუძღვა ამ საქმეს, მაგრამ ვერც იგი და ვერც მისი გულითადი მეგობარი ვალერიან კედია ვერ ეღირსა ამ შრომის დასრულებას!

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ბექან ლორთქიფანიძე ბრუნდება თბილისში ინჟინერ-კაპიტნის ხარისხით, ორდენებითა და მედლებით მკვრდ-დამშვენებული. ფართოვდება მისი შემოქმედებითი შრომის მასშტაბი — იგი გამოდის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ვრცელ ასპარეზზე.

1949 წლიდან — უბრუნდება თავის მთავარ მოწოდებას — არქიტექტურას და მუშაობს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენის უფროსის მოადგილედ, 1957—1958 წლებში კი ხელმძღვანელობს საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირს. 1958 წლიდან ხუთი წლის განმავლობაში იგი უკვე საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენის თავმჯდომარეა და მისთვის დამახასიათებელი ენერგიითა და გამჭირახობით ხელმძღვანელობს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და მთავარი ობიექტების დაპროექტება-მშენებლობას.



1963 წლიდან სიციოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი სათავეში მდებარეობდა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დაწესებულებას — ზონალურ სამეცნიერო-კვლევითს და ტიპობრივი დაპროექტების ექსპერიმენტულ ინსტიტუტს.

ბეჟან ლორთქიფანიძის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში, რომლის წაკითხვაც მას ვერ ეღიარსა — ჟურნალი «Архитектура СССР» წერდა,



სპეთის კანკელის ფრაგმენტი

ფოტო ბეჟან ლორთქიფანიძისა

რომ იგი იყო აქტიური მონაწილე არქიტექტორთა ყველა საკავშირო ყრილობისა, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის მრავალი კონგრესისა, ხელმძღვანელობდა მშენებლობის ინდუსტრიულიზაციის კომიტეტს 1963 წელს ქაიროში ჩატარებულ აფრიკა-აზიის ქვეყნების საბინაო მშენებლობისადმი მიძღვნილ კონგრესზე.



ქაიროდან დაბრუნებისას მან თბილისის არქიტექტორებს ვრცელად მოუხსენიებდა წაუკითხა ეგვიპტეში მოგზაურობის შესახებ. მას ჰქონდა უნარი ხელოვნების ნაწარმოების განსაკუთრებული ხედვისა, თავისებური ასპექტის მიგნების ნიჭი.

ეროვნული მემკვიდრეობის, ნაციონალური ფორმების მნიშვნელობა თანამედროვე ზოგადსაბჭოურ ხუროთმოძღვრებაში მისი მეცნიერული ძიების მთავარ თემას წარმოადგენდა; ამ საკითხს მიუძღვნა მან მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელიც მოხსენებად წაიკითხა 1968 წელს ბაქოში ჩატარებულ საკავშირო თათბირზე...

მან შესანიშნავად იცოდა თავისი ქვეყნის ისტორია, ხელოვნება. მახსოვს, რა აღფრთოვანებული ჩამოვიდა იგი პირველი სამეცნიერო ექსპედიციიდან, რომელიც მოეწყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის კათედრის დაფუძნებით, 1938 წელს ყვირილას ხეობაში. ამ მოგზაურობისას მან და მისმა ახლო მეგობარმა ვახტანგ ბერიძემ, საგულისგულოდ მოიარეს საქართველოს ეს შესანიშნავი კუთხე, შეისწავლეს მისი საუკეთესო არქიტექტურული ძეგლები, შეასრულეს პირველი მეცნიერული ანაზომი საშუალო საუკუნეების ხუროთმოძღვრების ისეთი ობიექტებისა, როგორც არის სავანეს, სპეთის, ეხვევის ეკლესიები.

ამ მოგზაურობამ, ისევე როგორც ალბინისტურ ექსპედიციაში მონაწილეობამ სვანეთში (გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით), დიდი გავლენა მოახდინა მის შემდგომ ცხოვრებაზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებით გატაცებას მცირე როლი როდი უნდა ეთამაშა არა მხოლოდ მის სულიერ, თუ მეცნიერულ მისწრაფებათა ჩამოყალიბებაში, არამედ თავისი მეგობრისა და მეუღლის პროფესიის არჩევანშიც: რუსუდან გვერდწითელი ხომ ერთ-ერთი ცნობილი რესტავრატორი და ბეჯითი მკვლევარია ჩვენი ხუროთმოძღვრული ძეგლებისა!

ვახტანგ ბერიძემ სავანის ეკლესიას ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა საკანდიდატო დისერტაციის სახით, რომელიც გამქვეყნდა „არს გეორგიკა“-ს პირველ წიგნში. ტაბულებში, რომლებიც ამ გამოკვლევას ერთვის, ფოტო-სურათების უმეტესობა გადაღებულია ბექან ლორთქიფანიძის მიერ. მათში ჭარბად ჩანს ავტორის მხატვრული ალღო და სათუთი გემოვნება.

წვლილი, რომელიც ბექან ლორთქიფანიძემ შეიტანა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შესწავლაში, მხოლოდ ერთი მხარეა იმ დიდი ღვაწლისა, რომელიც მან დასდო ჩვენი ქვეყნის კულტურის ძეგლთა დაცვისა და შესწავლის ეროვნულ საქმეს.

1949 წლიდან მოყოლებული, 7 წელზე მეტი, როგორც მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, ხელმძღვანელობდა და წარმართავდა ჩვენი ქვეყნის კულტურის ძეგლთა შესწავლას, დაცვასა და აღდგენას. ამ დროის განმავლობაში არა ერთმა მნიშვნელოვანმა ძეგლმა განიმტკიცა კედლები და დაიწყო მეორე ცხოვრება.


ვინ მოსთვლის, რამდენი მონუმენტური, თუ ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლის ანაზომი შესრულდა. ზოგი დღეს უკვე აღარ არსებობს და მათ შესახებ მხოლოდ მაშინდელი გრაფიკული და ფოტო-მასალები შემოგვრჩა!

იგი საოცარი სიფრთხილით ეკიდებოდა ყოველ ცოცხალ აზრს, ღრმად იზედებოდა არა მხოლოდ ნაწერში მოთხრობილ იდეათა ფარგლებში, არამედ მათ



მიღმაც. მას გააჩნდა სხვის თუ თავის ნაწერ-ნაფიქრალში „გამჭულდღი დღისს“ (გაბა მოვლინების საოცარი უნარი, მსხვილი პლანებით წერისა და ცალკეულ მოვლენათა ფართედ განზოგადოების დიდი ნიჭი. ვფიქრობ, რომ სწორედ ეს ღირსება აძლევდა მის ნაწერებს მასშტაბურობას.

ღრმა ცოდნა ჩვენი წარსულისა, მისი კულტურული მემკვიდრეობისა, სამშენებლო საქმისა, გულითადი სიყვარული ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და მხატვრული გემოვნება, ჭარბად გამოავლინა მან საქართველოს კულტურის



კობტას ციხე. ნახაზი შესრულებულია ბეჟან ლორთქიფანიძის ანაზომების მიხედვით


ძეგლთა დაცვის საზოგადოებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის დროს. დღიდან დაარსებისა ბეჟან ლორთქიფანიძე იყო საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, ხოლო 1961-63 წლებში მისი თავმჯდომარე. იგი ერთ-ერთი მოთავეა ამ საზოგადოებაში წამოწყებული საშვილიშვილო საქმისა — ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის დაარსებისა, მოამაგე და მრჩეველი გენერალურ პროექტზე მუშაობის დროს, მისი პირუთენელი და პრინციპული ექსპერტი. ბეჟან ლორთქი-

ფანიძის არა ერთი შენიშვნის გათვალისწინებამ, ბევრი რამ შემატა მსუქების დაგეგმარების სქემას, რომლის განხორციელებასაც იგი ვერ მოესწრო.

ჩვენს ქვეყანას გამოაკლდა ფართე გაქანების მოღვაწე. მაგრამ მარტო ამის გამო როდი გლოვობენ მეგობრები და მახლობლები ბექან ლორთქიფანიძის დაკარგვას.

ჩვენს ახალგაზრდა თაობას ძალა შესწევს გააგრძელოს წასულ მამათა ნაღვაწი. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ამ ნიჭიერ ახალ თაობაზე, ჩვენს შვილებზე, თავის პირმშოზე, რომელსაც არქიტექტორის კეთილშობილი პროფესია შეაყვარა და უანდერძა...

ბევრი მისი დაწყებული საქმე კეთილად დაგვირგვინდება, ბევრი მისი ნააზრევი შეისხამს ფრთებს. მის მიერ გადარჩენილი ბევრი ძველი განაგრძობს ცხოვრებას, მაგრამ მისი მახლობლებისა და მეგობრების გულში ვერავინ შესცვლის ყოველმხრივ შემკულ ადამიანსა და უზადო მეგობარს.



თავდადებული მცველი

თავდადებული მცველი და გულმხურვალე მფარველი არმაზის სამარხ მუზეუმისა — მიხეილ იოსების ძე ქიქოძე, დაიბადა 1889 წ. სოფ. ბახვში. სწავლობდა ქუთაისში. ადრევე გათვალისწინებული და დავაჟაკაცებული, თავიდანვე ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში.

1910 წელს კი უკვე მიდის სვანეთში, მასწავლებლად. ამ „ძეგლების მხარეში“ იწყება მისი პირველი სიყვარული ძეგლებისადმი.

1921 წ. მიხეილ ქიქოძემ მოაშურა თბილისისა და კოჯორის, ობოლ ბავშვთა



მიხეილ ქიქოძეს არა მარტო ძეგლები უყვარს, არამედ მომავალი თაობაც...
მათთვის უფლის ძეგლებსაც

სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. იყო საინჟინოში, ისევ და ისევ მასწავლებლად, ქართულ სკოლაში.

ცნობილმა მხატვარმა, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, დავით შვეარდნაძემ, მიიყვანა იგი მუზეუმში.

ამის შემდეგ მიხეილ ქიქოძე სულ ხშირად მონაწილეობს დიდ ექსპედიციებ-



ში. იგი იყო დავით გარეჯაში აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილთან ერთად, თრიალეთში პროფ. კუფტინთან ერთად და ა. შ.

1938 წლიდან ივ. ჯავახიშვილის განკარგულებით დაინიშნა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მწედ. თხუთმეტობედ წელიწადი დაპყო მან მცხეთა-არმაზ-ბაგინეთ-კარსანში. დიდი გულმოდგინეობა და შეგნებული შრომა შეაწია მან ჩვენი ისტორიის გუთნისდედას ივ. ჯავახიშვილსა და მის შემდეგ ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილს.

ასე გახდა სახალხო მასწავლებელი და ობლების აღმზრდელი, ჩვენი ძეგლების მესაიდუმლედაც და მცველადაც.

ასე შეაბერდა იგი ჩვენს ძეგლებსა და ბავშვებს!

არის ამ თავისებურ ცხოვრებაში დიდი შინაგანი მთლიანობა და სიბრძნე — იგი ხომ მომავალ თაობებს უნახავს ძეგლებს. იგი ხომ ჩვენს წარსულს უზრდის მომავალ თაობას!

მას ახლაც, მუდამ მშვილდდევით მოზიდულს, არმაზის ისტორიულ ნაქრძალში ნახავთ. დადის ეს 80 წლის „ძეგლების ჭირისუფალი“, უვლის თავის საჭირისუფლოს, დიდი ცოდნითა და გატაცებით უჩვენებს უამრავ მნახველს თავის „საპიტიახშოს“ აღმოჩენების შედეგებს.

უნებურად იმსჭვალეობით აზრით, ნეტავ ყოველ ჩვენს დიდ ძეგლების ნაერთს ჰყავდეს ასეთი ახოვანი და გულოვანი მოამაგე!

მისი სახელი ცნობილია არა მარტო საარმაზოში, სადაც იგი უშუალოდ თავს დასტრიალებს დიდებულ აკლდამებს, სერაფიტას სტელას, ქვის ვერძებს, უძველეს აგაზებსა თუ სხვა ანტიკურ ნაშთებს. ვუსურვოთ მას კვლავ და კვლავ დაუღალავობა და ჯანმრთელობა.

მას ხომ ყოველდღე მრავალი შინა და უცხო სტუმარი ჰყავს, დედამიწის თითქმის ყოველ კუთხიდან. იგი ყველასთან ჰპოულობს საერთო ენას. ეს ხომ ჩვენი ძეგლების დიდი სიყვარულის ენაა!

ყველას ჰხიბლავს მისი უანგარო მოღვაწეობა არმაზში. აქ საზომიც სხვანაირია — ძეგლის სამსახური დღეს ხომ ერის სამსახურია!



მზალაბა საქარტველოს კულტურის ქველთა დაცვის საზოგადოების IV რესპუბლიკური ყრილობისათვის

კონფერენციები

ქუთაისი. 1969 წ. 16 იელისს ვ. აბაშიძის სახ. კულტურის სახლში გაიმართა კულტურის ქველთა დაცვის საზოგადოების ქუთაისის საქალაქო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ **ა. ბარათაშვილმა**.

მოსხენებით საანგარიშო პერიოდში ქველთა დაცვის საზოგადოების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი **მ. ნიკოლიევილი**.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ქუთაისის საქალაქო საბჭოს მიერ გაწეულ მუშაობას ოთხი წლის მანძილზე. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალი პირველადი ორგანიზაციების შექმნას და არსებული ორგანიზაციების საბჭოების მუშაობის შესწავლას. დღეისათვის ქალაქში 200 პირველადი ორგანიზაცია, 100 იურიდიული წევრია. სულ საზოგადოების წევრთა რიცხვი 16.000 მდეა.

სარევიზიო კომისიის ანგარიშის შემდეგ (**გ. ქაჩია**) გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეები. ელექტრომექანიკური ქარხნიდან — **გ. მინდიაშვილი**, საკონსტრუქტორო ბიუროდან — **ტ. ძივრაშვილი**, სატყეო ტექნიკუმიდან — **მ. ორდენიძე**. აგრეთვე სარესტავრაციო უბნის უფროსი **გრ. ასათიანი**.

სიტყვით გამოვიდა საქ. კულტურის ქველთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლული მდივანი **ირაკლი ზაქარიაშვილი**. რომელმაც საინტერესო მაგალითებით გააშუქა მატერიალური კულტურის ქველთა დაცვის მდგომარეობა.

კონფერენციამ აირჩია კულტურის ქველთა დაცვის საქალაქო, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და IV რესპუბლიკური ყრილობის დელეგატები.

საქ. კულტურის ქველთა დაცვის საზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ისტ. მეცნ. კანდიდატი **მ. ნიკოლიევილი**.

ზუგდიდი. საქართველოს კულტურის ქველთა დაცვის საზოგადოების ზუგდიდის საქალაქო კონფერენციამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. ზუგდიდის საქალაქო საბჭოს ანგარიში.

2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.

3. არჩევნები.

ა. საზოგადოების საქალაქო საბჭოს ახალი შემადგენლობა.

ბ. სარევიზიო კომისია.

გ. დელეგატები საქ. კულტურის ქველთა დაცვის საზოგადოების



IV რესპუბლიკურ ყრილობაზე წარსაგზავნად.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. თოლორაია, რომელმაც ილაპარაკა საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ლექციური პროპაგანდისა და პირველადი ორგანიზაციების ზრდის საკითხებზე.

სიტყვებით გამოვიდნენ: ვ. კემულარია (კულტურის განყოფილების გამგე), ბ. ქირია (პენსიონერი მასწავლებელი), ლ. ფიტელავა (წყალსადენის მეურნეობის პარტიზეროს მდივანი), ნ. ხაბუზანია (ქალაქის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელი), ვ. ქორთუა (ქალაქის პირველი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი).

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სწავლულმა მდივანმა ირაკლი ზაქარიაშვილმა.

კონფერენციამ დაამტკიცა საზოგადოების სარევიზიო კომისიის ანგარიში და მიიღო დადგენილება მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

არჩეულია საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ზუგდიდის საქალაქო საბჭოს, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, დელეგატები საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების IV რესპუბლიკურ ყრილობაზე წარსაგზავნად.

საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ზუგდიდის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ა. თოლორაია, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ი. არქანია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე — ლ. ნადარეიშვილი.

ასევე მაღალ დონეზე ჩატარდა ზუგდიდში საზოგადოების რაიონული კონფერენცია. საზოგადოების ზუგდიდის რაისაბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია საქ. კპ. ზუგდიდის რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე — შ. ქობალია.

ცხაკაია. საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ცხაკაიას რაიონულ კონფერენციაზე მოხსენება საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ გააკეთა საზოგადოების რაისაბჭოს თავმჯდომარემ, ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. გაბისონიამ.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საანგარიშო პერიოდში საბჭოს მიერ გაწეულ საქმიანობას და აღნიშნა, რომ რაიონში შექმნილია ძეგლთა დაცვის 71 პირველადი ორგანიზაცია, სადაც გაერთიანებულია 5.000-მდე წევრი.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელიც რაიონის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების მოვლისა და დაცვის მიზნით.



კონფერენციაზე სარევიზიო კომისიის ანგარიშით გამოვიდა **სარევიზიო**
კომისიის თავმჯდომარე — **ე. ძაძაძია**.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: **ი. მი-
ლორაავამ**, (საქართველოს ალკე ცხაკაიას რაიკომის მეორე მდივანი), **ო. ცაქა-
შვილმა** (ნოქალაქევის რეაწლიანი სკოლის დირექტორი), **ლ. ვადილიამ** (რაი-
ონულ გაზეთ „კოლხეთის“ რედაქციის განყოფილების გამგე), **ა. ბერაიამ**
(ცხაკაიას მემორიალური მუზეუმის დირექტორი), **ალ. მილორაავამ** (ნოსიარის
სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), **უ. გვათუამ** (ნოქალაქევის სა-
შუალო სკოლის დირექტორი).

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის სა-
ზოგადოების პრეზიდიუმის სწავლული მდივანი **ირაკლი ჯაქარიაშვილი**.

კონფერენციამ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ცხაკაიას რა-
იონული საბჭოს მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, დაამტკიცა სარევი-
ზიო კომისიის ანგარიში და დასახა ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაუმ-
ჯობესებისათვის.

კონფერენციამ აირჩია კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ცხა-
კაიას რაიონული საბჭოს და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, სა-
ქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების IV რესპუბლიკური
ყრილობის დელეგატები.

პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ცხაკაიას მშრომელთა დე-
პუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე — **ამხ. გ. ვ. ვაბი-
სონია**, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — **ე. ძაძაძია**.

სამტრედია. — ა. წ. 24 ივნისს, სამტრედიაში ჩატარდა საქ. კულტურის
ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული კონფერენცია. კონფერენციას
114 დელეგატიდან ესწრებოდა 98.

კონფერენციას ესწრებოდა პრეზიდიუმის აპარატის მთავარი ბუღალტერა
ქ. მეფარიშვილი.

მოსმენილ იქნა საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონ-
ული საბჭოს თავმჯდომარის **ამხ. ჯ. გოგავას** მოხსენება, გასულ საანგარიშო
პერიოდში საზოგადოების სამტრედიის რაისაბჭოს მიერ ჩატარებული მუშაო-
ბის შესახებ. თანამოხსენებით გამოვიდა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. —

მ. შუბლაძე. კამათში მონაწილეობა მიიღეს დელეგატებმა, რომლებმაც ილაპა-
რაკეს საზოგადოების მუშაობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარე-
ებზე.

საზოგადოების სამტრედიის რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია:
ამხ. ჯ. გოგავა, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — **მ. შუბლაძე**.

ქ ა ს პ ი. ყრილობისათვის მზადების დღეებში კასპში ჩატარდა საზოგადო-
ების რაიონული კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ პრეზიდიუმის
წევრები — **პროფ. ვ. ბერიძე**, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი **ვ. ცინცა-
ძე**, პრეზიდიუმის სწავლული მდივანი **ირაკლი ჯაქარიაშვილი**.

კონფერენცია მაღალ დონეზე ჩატარდა. როგორც მომხსენებელი (**ი. მუ-
ხიგულაშვილი**) აგრეთვე კამათში გამოსული ამხანაგები, შეეხნენ მატერიალუ-
რი კულტურის ძეგლების დაცვისა და პროპაგანდის საკითხებს. კონფერენ-



ციამ ცხადჰყო, რომ რაიონში 7000 წევრიანი ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვისა და პროპაგანდისათვის.

აღსანიშნავია სამთავისის, ერთაწმინდის, კასპის, კავთისხევის, ახალქალაქისა და სხვა პირველადი ორგანიზაციები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების რაიონული კონფერენციის დელეგატებმა, რომლებმაც ილაპარაკეს ადგილებზე გაწეული დიდი მუშაობის შესახებ.

გამოითქვა აგრეთვე შენიშვნებიც. მაგალითად: ერთ-ერთ ძეგლში, კასპის რაიკავშირის გამგეობას მალაზია აქვს გახსნილი. VI საუკუნის იდლეთის ნათლისმცემელი მოუვლელი და დანაგვიანებულია.

კონფერენციაზე ვრცელი და მეტად საინტერესო სიტყვით გამოვიდა საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე — პროფ. ვ. ბერიძე.

საზოგადოების კასპის რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ი. მუხიგულაშვილი, მოადგილედ — გ. ხორგუაშვილი.

გ უ რ ჯ ა ა ნ ი. საზოგადოების გურჯაანის ძეგლთა დაცვის რაიონულ საბჭოს გაწეული აქვს საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა. გამოვლენილი და აღრიცხვაზე აყვანილია 7 მნიშვნელოვანი ძეგლი. ძეგლების უმრავლესობას შეფობას უწევენ პირველადი ორგანიზაციები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, სოფ. შრომის სასკოლო პირველადი ორგანიზაცია, საკონსერვო, ღვინის ქარხნის და სხვა.

თუმცა იყო ნაკლოვანებებიც: მიუხედავად იმისა, ვაზისუბნის ეკლესიას მკველი ჰყავს, ძეგლს მზრუნველი ხელი მაინც არ ეტყობა.

საერთოდ, გურჯაანის რაიონში ძეგლთა დაცვის საზოგადოების საქმიანობა კარგად არის დაყენებული. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ წევრთა რაოდენობა 12 000 აღემატება.

როგორც მომხსენებელმა (საზოგადოების ძეგლთა დაცვის რაისაბჭოს თავმჯდომარე გ. ოქროშიძემ) აგრეთვე კამათში გამოხატულმა ამხანაგებმა დაწვერილებით ილაპარაკეს საზოგადოების საქმიანობაზე დ მისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე, რაც იხსიბა მიღებულ გადაწყვეტილებებში.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის წევრი — მწერალი ლ. გოთუა.

საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების გურჯაანის რაისაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია გ. ოქროშიძე.



უნივერსიტეტის ახალგაზრდობის თაოსნობა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისა და კომკავშირის კომიტეტის თაოსნობით 1967 წლის ბოლოს შეიქმნა კიდევ ერთი ბირთვი „ძეგლის მეგობრის“ დიდი არმია, საუნივერსიტეტო საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ასეული სტუდენტი, „ფიზიკოსიცა და ლარაიოსიც“. გაერთიანდა. სტუდენტ ენთუზიასტთა ამ ბირთვს სათავეში ჩაუდგა ქართული ხელოვნების მკვლევარი და ტრფიალი დოცენტი **ო. ფერაძე**, საზოგადოების ძირითადი ამოცანაა — სტუდენტთა აქტიური ჩაბმა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლისა და დაცვის საქმეში, მათი მონაწილეობა იმ სამუშაოებში, რომელსაც სათანადო ორგანიზაციები ეწევიან. სტუდენტები უშუალოდ იღებენ მონაწილეობას გათხრა-სარესტავრაციო სამუშაოებში, ეცნობიან მუშაობის სპეციფიკას.

უნივერსიტეტის ახალგაზრდობის თაოსნობას მხარი დაუჭირეს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნომ, ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურმა საზოგადოებამ და სხვ. დიდი გულისყური გამოიჩინა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, რომელმაც გადაწყვიტა სტუდენტთა ჯგუფის მივლინება ერთ-ერთი თვალსაზრისით ძეგლის შესასწავლად.

არჩევანი შეჩერდა ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქ კვეტერაზე, სადაც გაიშალა დიდი არქეოლოგიური და სარესტავრაციო სამუშაოები (ექსპედიციის ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **გ. ლომთათიძე**, ხუროთმოძღვარი **ო. თორთლაძე**), რომელსაც უნდა თვალსაზრისით წარმოეჩინა გრანდიოზული ხუროთმოძღვრული კომპლექსი შესანიშნავად ნაშენი კედლებითა და გულსიით, კოშკებითა და სასახლით, კარიბჭითა და წყალსაცავით...

1968 წლის ივლის-აგვისტოში უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტთა 35 კაციანი რაზმი იღებდა მონაწილეობას ექსპედიციის მუშაობაში. მომავალი ისტორიკოსები და ფილოლოგები გაეცნენ არქეოლოგიური ძიების თავისებურებას, გათხრითი სამუშაოების ანა-ბანას, მათ მოისმინეს საუბრები კახეთის ხუროთმოძღვრებაზე, კუთხის ისტორიაზე და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტურ ექსპედიციას, მით უმეტეს უნივერსიტეტის საიუბილეო წელს, დიდი გამოძახილი ჰქონდა რაიონის მშრომელთა შორის. კვეტერას ამდენი მოამზავ სტუდენტთა მისი დანგრევის შემდეგ ვგონებ არც სწვევია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახმეტის რაიონის მშრომელებისა და ხელმძღვანელობის გულისხმიერი დამოკიდებულება ექსპედიციისადმი. ადგილობრივი გაზეთი სისტემატურად ამუშავდა სტუდენტთა მუშაობას, ხოლო ერთი ნომერი, რომელიც მოამზადეს ეურნალისტების განყოფილების სტუდენტებმა, მთლიანად ექსპედიციას მიეძღვნა.

თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდობის თაოსნობა პირველი ცდა იყო სტუდენტთა აქტიური და უშუალო ჩაბმისა ძეგლთა შესწავლა-დაცვის საქმეში.

სტუდენტთა თაოსნობა მისაბამი უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოებრიობისათვის.

СЕРИЯ „ПАМЯТНИКИ МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ“

А Н Н О Т А Ц И И:

Л. В. ГУДИАШВИЛИ

Народный художник СССР

В ПЛЕНУ ПРЕКРАСНОГО

Воспоминания посвящены экспедиции академика Э. Такайшвили в Южную Грузию (1917 г.) совместно с А. Н. Калгиным, Д. Шеварднадзе, М. Чиаурели, И. Зданевичем и автором.

Подробно рассказано о замечательных памятниках грузинского зодчества: Ишхани, Хахули, Ошки, Бана, Пархали и др.

Экспедицией были уточнены даты памятников, впервые собраны, прочтены многочисленные надписи. Выявились новые имена исторических лиц.

С большой любовью упоминается, неоценимый научный вклад в историю грузинской культуры, проникновенного исследователя Э. Такайшвили.

Наряду с некоторыми биографическими деталями и характеристиками, автор очень правдиво дает картины того «самобытного мира красочных видений, которые на него произвели неизгладимое впечатление и помогли ему как художнику, углубиться и ближе подойти к первоизданной красоте.

А. М. АПАКИДЗЕ

Член-корреспондент АН СССР, профессор

ДРЕВНИЙ ГОРОД — АРХЕОПОЛИС—НОКАЛАКЕВИ

В статье рассматриваются данные грузинских и греческих исторических источников о городе — крепости Цихе-Годжи.

Основание этого, одного из древнейших городов Грузии, приписывается эриставу Куджи (начало III в. до н. э.); следовательно, согласно грузинской исторической традиции Цихе-Годжи является городом рап-

неэллинистической эпохи. В греческих источниках раннего средневековья столица Западногрузинского царства (Лазики) известен под названием «Археополис», что, видимо, является греческой передачей грузинского «Дзвели Калаки («древний город»).

Современное название «Нокалакеви», нужно полагать, появилось



позже, по всей вероятности, после восьмого века, т. е. после основательного и, видимо, окончательного разрушения города Мерваном Глухим.

Археологическими исследованиями в 1930-31 гг. и разведками 1966 года выявлены остатки культурных слоев Византийской, позднеримской и, что особенно важно, т. н. Ранне-

эллинистической эпох; как бы подтверждающих указания древнегрузинских исторических источников о времени основания Цихе-Годжи.

В статье сообщается и о реставрационных работах, начатых в 1968 году и о запланированных археологических раскопках на территории Нокалакеви.

Л. П. ГОТУА

Писатель

ЖИТИЕ ПАМЯТНИКОВ

Очерк с некоторыми художественными обобщениями о народе творце и его вековых монументах.

Живые предки. Наши памятники — непосредственные, вечно живые участники «Летописи Грузии». Зародились они как проявление культа предков. И теперь, когда, большинство из них утратило былые функции, они остались «жить» как духовное наследие прошлого и приобрели новую научно-эстетическую ценность.

500.000. В наше время охрана памятников, и у нас в Грузии обрели новые высокие возможности. Все на подъеме: материальные средства, научная работа, методика и практика. Есть целый ряд хорошо реставрированных первоклассных памятников и особенно отраден факт, что к 10-ой годовщине основания Грузинского Общества охраны памятников культуры — количество членов превысило 500.000 человек.

Разные судьбы — двух па-

мятников. Сравнивается судьба Тианетского Сиони (VIII в), который был разобран и перенесен из Иорского водохранилища и вновь воздвигнут в окрестностях Тбилиси (Музей под открытым небом), с судьбой древней базилики в Цалкинском водохранилище, которая показывается при спаде и вновь уходит в глубину при большой воде.

Новые обязанности хевисбери. В сел. Млета старый хевисбери (древний и по ныне бытующий в горах институт — старейшины ущелья) Шио Бурдули, спас и сохранил для потомства прекрасные образцы древнегрузинской чеканки (См. статью О. Санеблидзе «Клад Св. Ломиси»). Экспедиция общества охраны памятников культуры не только зарегистрировала весь клад, — но и поручила ему же — Шио Бурдули и в дальнейшем охранять народное творение, избрав его общественным хранителем Ломисских ценностей. Так старо-древ-



ний хевисбери включился в современность!

2250 Годовщина древней крепости — В этом году торжественно справляли 2250-летие Шорапанской крепости, развалины которой величаво висят на хребте у слияния рек Дзирулы и Квирилы.

Главный приток Риони — Квирила по данным древних географов также считалась — Фазисом. У Шорапани кончалась водная часть караванного пути с Запада на Восток. Эта, первая античная дата, отмеченная в Грузии. А сколько памятников

этого периода ждут своих исследователей? Раскрытие Античной Грузии — почетная задача нашего поколения.

Незабываемое путешествие в «Грузинскую Палестину» — Подробный анализ цветного, документального фильма, заснятого в грузинских местах Палестины, Джвари, Бетлеми, Сабацминда, Малка и т. д.).

Автор дает высокую оценку работе творческого коллектива (И. Рурца, Г. Патарая, Г. Мелкадзе).

О. В. САНЕБЛИДЗЕ

Зам. председателя Президиума Общества охраны памятников культуры

КЛАД СВ. ЛОМИСИ В СЕЛ. МЛЕТА

В экспедиции в сел. Млета, принимали участие: Писатель Леваи Готуа, ученый секретарь Президиума Общества Ираклий Закариашвили, Зав. сейфом Госмузея искусств — Гурам Абрамишвили и автор статьи.

Автор в кратком экскурсе по истории развития чеканки в Грузии, упоминает богатейшие фонды, в Музеях истории и искусства. Но еще много памятников древнего чеканного искусства находится в частных руках (Напр. в Сванетии в др. частях Горной Грузии).

Президиумом Общества охраны памятников культуры была направлена экспедиция в сел. Млета. (Мтиулетия), где в недействующей церкви св. Ломиси, на попечение местного хевисбери оказались замечательные образцы чеканного ис-

кусства, имеющие определенное историческое значение. Описаны некоторые из них:

1. Выносной крест-серебрянный 44×39 см.

2. Выносной крест — позолоченный — 98х65 см.

3. Рапида серебрянная — 37,5х28,6, уникальной чеканки (позд. феод.) 6 м. и т. д.

Надпись (асомтаврული) гласит, что крест (1) раставрирован местным жителем из рода Бурдули, проживавшего во время Нугзара Эристава (XVI в.) Примерно также датируются и другие кресты и рапиды.

Здесь же хранятся целый ряд икон, серебрянных чаш, рогов разного периода и представляет весьма ценный материал для соответствующих отраслей.

Г. В. АБРАМИШВИЛИ

Кандидат искусствоведения



КТИТОРСКАЯ НАДПИСЬ АТЕНСКОГО СИОНИ

Определение даты росписи Атенского Сиони долгое время было одним из вопросов в грузинском искусствоведении. В научной литературе по этому вопросу существуют различные мнения (904—906 г. г.; после 1072 г.).

В 1955-56 годах в Атенском Сиони были выявлены несколько фресковых надписей исторического характера.

Содержание одной из надписей касается росписи храма, которая дважды публиковалась Т. Барнавелем (1956, 1957 г. г.). Исследователь считает, что роспись была выполнена на восьмом году царствования Георгия II, т. к. он читает в надписи имя Георгия Новолисимоса, а на VIII строчке хороникон—«Т», что и значит — 1080 год.

В 1966 году методом освещения ультрафиолетовыми лучами, проведенным И. Н. Гильгендорфом, ясно выявлена и зафиксирована вышеуказанная надпись, что существенно изменило как чтение Т. Барнавеля, так и ее интерпретацию. Выяснилось, что на V и VI-ой строч-

ках читается не царь царей Георгий Новолисимос, а Григорий Липарит Торелис-дзе (Сын Липарита). Ошибочно так же чтение последних строк, где Т. Барнавель видел хороникон 1080 годом. В действительности, выявилось следующее: «Которым была расписана стена сия западная».

Несмотря на то, что надпись палеографически носит характер XIII—XIV вв., и упомянутый в надписи Липарит Торели по историческим источникам известен как деятель XIII века, не можем категорически утверждать их тождественность, за неимением дополнительного материала. Не известна личность Григория, который в надписи именуется сыном Липарита Торели.

Выявление надписи дают возможность сделать заключения о частичном обновлении и ремонте росписи западной абсиды, а не об ее первоначальном исполнении. Надпись не содержит хороникона, что и дает право отрицать 1080 год как дату, выполнения росписи стен Атенского Сиони.

Н. И. КВЕЗЕРЕЛИ-КОПАДЗЕ

Инженер

ОСНОВНЫЕ ВИДЫ ДРЕВНИХ МОСТОВ ГРУЗИИ

Автор статьи имея в своем распоряжении данные о более ста древних мостовых сооружений страны, как сохранившихся до наших дней,

так и описанных в многочисленных письменных источниках, приходит к выводу, что в разных частях Грузии, во все периоды ее истории, на-



ходились в действии два рода этих сооружений:

Каменные арочные или сводчатые мосты.

Деревянные балочные конструкции, уложенные на прочные каменные опоры.

Типичными образцами каменных арочных мостов автор считает:

1. Мост через р. Тедзами, в Каспском районе,
2. Мост через р. Беслети, близ Сухуми,
3. Мост через Р. Аджарис-Цхали, у сел. Махунцети.

Каменные мосты, в основном, сооружались через горные реки, с удобно расположенными берегами.

К лучшим образцам деревянных балочных мостов, на каменных опорах, можно отнести следующие сооружения:

1. Мухетский (Могвский) мост через р. Куру,

2. Кутайский мост через р. Риони.

Эти деревянные балочные конструкции на прочных каменных опорах располагались на более широких речных течениях и они помимо своих основных функциональных назначений, в качестве речных переправ, являлись также военно-оборонительными сооружениями, которые при вражеских нашествиях, путем разборки деревянных пролетов, могли преградить путь к главным стратегическим частям страны.

Существовали и другие разновидности речных переправ, через бурные горные потоки, но они являлись произведениями грузинского народного творчества: висячие мосты (бонди), переправы из прутьев и др.

И. В. АДАМИА

Кандидат архитектуры

АРХИТЕКТУРНЫЕ ПАМЯТНИКИ ДРЕВНЕЙ ЭРЕТИ

Территория исторической Эрети в т. ч. и Саингило, которая ныне находится в пределах братской Азербайджанской ССР, составляла часть Кахетинского царства. Эта сторона известна своими памятниками монументальной архитектуры вплоть до XVI — XVII вв. т. е. до нашествия турок, персов и лезгин.

В Саингило и до настоящего времени сохранились замечательные памятники христианской и гражданской архитектуры. (Многие в развалинах).

В указанной работе рассматривается как монументальная архитектура, так и памятники народного зодчества.

• • •

Большой интерес вызывают: храм Лекарти (V—VI вв), храм Куми (VI—VII вв), Курмухский храм (XIV—XV вв), храм Бахтало (XV—XVI вв), храм «Маленький Алаверди» (XVI—XIX вв), «Мадлис эклесия» — Нур-Килиса (первый период строительства XI—

XII вв; второй период XII—XIII вв) и др.

Интересно также древнейшее фортификационное сооружение, так называемая «Кавказская длинная стена» (V—VII вв).

На территории Санигило — до наших дней сохранились пять основных типов старых народных жилищ: жилище башенного типа (XVI в), жилище типа Мегарона «Дарбазного» перекрытия, т. н. «Гвиргвини», совместно стропильно-скатной структуры крыши — «акари» (мансардная система для хозяйственного назначения—XVII—XVIII вв); жилище типа «Бче» —

(надвратное сооружение) XVI—XVII вв и жилище типа Ода-Сахли (XIX—XX вв).

Среди хозяйственных построек особенно интересны с характерными объемными композиционными уникальными формами для хранения зерна, так называемые «Касри» (тахка) выдолбленного из одного громадного бревна и также плетеные виды вышеуказанной хозяйственной постройки.

В труде также освещены некоторые вопросы о положении охраны памятников Грузинской архитектуры на территории древней Эрети.

Л. З. СУМБАДЗЕ

Архитектор

ПАМЯТИ Б. В. ЛОРДКИПАНИДЗЕ

(1908—1969)

Статья посвящена недавно скончавшемуся, видному грузинскому архитектору и общественному деятелю Б. В. Лордкипанидзе.

Б. В. Лордкипанидзе с 1932 г., после окончания Инженерно-строительного Института, немедленно приступил к работе городского планирования и проектирования под руководством известных архитекторов — И. Квасашвили, М. Шавишвили, А. Николаишвили.

Одновременно изучает грузинское архитектурное наследие, историю искусства и вместе со своими друзьями и коллегами: Л. Рчеулишвили, В. Беридзе, В. Кедия, Л. Сумбадзе, работает над созданием архитектурного словаря.

Участник Отечественной войны. Масштабы его работы по возвращении, расширяются. Он уже зам. председателя Госстроя, в 1957-58 гг. руководит Союзом архитекторов Грузии. Вскоре уже председатель Госстроя и проектировка городов и почти всех крупных объектов Грузии проходит при его участии.

С 1963 года до последних дней Лордкипанидзе Б. В. возглавлял Зональный Научно-исследовательский институт типовых проектов.

Он был членом Президиума Грузинского Общества охраны памятников культуры, а в 1961-63 годы его председателем.



საქართველოს
ენციკლოპედია

САМООТВЕРЖЕННЫЙ ТРУЖЕНИК (Блюститель Армазского Некрополя)

М. И. Кикодзе родился в 1889 году в сел. Бахви. Учился в Кутаиси. Еще в молодости включился в революционную борьбу.

В 1910 году направляется в Сванети. В этот «Мир памятников» работает народным учителем. Здесь и начинается его любовь к людям и памятникам.

В Музей Грузии его привел художник Д. Шеварднадзе. Здесь ра-

бота его свела с академиком Г. Чубинашвили, проф. Куфтиным. В 1938 г. назначается завхозом Мцхетской археологической экспедиции, которую возглавлял ак. Ив. Джавахишвили.

Так народный учитель стал блюстителем памятников и по сей день 80 летний старик самоотверженно трудится. У него всегда много гостей.

კოლაუ ნადირაძე — ძეგლთა მშენება (ლექსი)	3
К. Г. Надирадзе — Краса памятникoв (Стихoтворение).	
ლადო გუდიაშვილი — მშენებნიერების ტყვეობაში (მოგონება)	5
Л. В. Гудиашвили — В плену прекрасного (Воспоминание)	
ანდრია აფაქიძე — ძველი ქალაქი — არქეოპოლისი — ნოქალაქევი	10
А. М. Анакидзе — Древний город — Археополис—Нокалакеви	
ლევან გოთუა — ძეგლების ცხოვრება (ფიქტები და ფაქტები)	15
Л. П. Готуа — Жизнь памятников	
ოთარ ხანებლიძე — სოფელ მღეთში დაცული ღომისას საგანძირი	25
О. В. Санеблидзе — Клад св. Ломиси в сел. Млета	
ღომისას მისაღები	29
გურამ აბრამიშვილი — ატენის სიონის საქტიტორო წარწერა	30
Г. В. Абрамишвили — Ктиторская надпись Атенского Сиона	
ნეკო კვეზერელი-კოპაძე — საქართველოს ძველი ხიდების მთავარი სახეები	38
Н. И. Квезерели-Копадзе — Основные виды древних мостов	
ილია ადამია — ძველი პერეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები	47
И. В. Адамия — Архитектурные памятники древней Эрети	
კულტურის ძეგლთა მცველნი და მოამაგენი	
ლონჯინოზ სუმბაძე — ბეგან ლორთქიფანიძის ხსოვნას	60
Л. З. Сумбадзе — Памяти Б. В. Лордкипанидзе	
თავდადებული მცველი მიხეილ ქიქოძე	66
Самоотверженный труженник — Михаил Кикодзе	
შაღდმა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების IV რესპუბლიკური ყრი- ლობისათვის (კონფერენციები)	68
Подготовка к IV республиканскому съезду Грузинского Общества охраны памя- тников культуры	
ქრონიკა	72
Хроника	
Аннотации на русском языке	73

243/1058



Грузинское общество охраны памятников культуры

Серия «Памятники материальной культуры»

Выходит на общественных началах

ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Сборник девятнадцатый

(На грузинском языке)

Редактор серии—ОТАР ВАСИЛЬЕВИЧ ТАКТАКИШВИЛИ

Редактор номера—ЛЕВАН ПАРФЕНОВИЧ ГОТУА

სერიის რედაქტორი ოთარ თაქთაქიშვილი
რედაქტორი ლევან გომთუა
ყდა ელგუჯა ამანუშკაელიძე

ტიპრედაქტორი გ. ამანუშკელი
კორექტორი ი. წიკლაური

ფრადი ფოტო-ილუსტრაციები დაბეჭდილია ფრადი ბეჭდვის სტამბაში

გარეკანზე: კოლხეთის დედა. სკულპტურა, აღმართულია ქ. ფოთში.

ჭადაცა წარმოებას 19VI 1969 წ. ზელმოწერილია დასაბუქდად 1 |IX 1969 წ.

ნაბეჭდი თაბ.—5 სააღ. საგამომ. თაბ. 5

ანაწყობის ზომა 7 x 11,5 ქალღლის ზომა 70x103 1|16

ფასი 72 კაპ.
Цена 72 коп.

რედაქციის მისამართი: ძვრეთის ქ. 19, ტელ. 99-84-47

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

შეკვეთა 2215

უე 00899

ტირაჟი 3000

